ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№187 (246) 11-18 სექტემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

გულდაწყვეტილ წალენჯიხელთა წერილი ქალბატონ სანდრა რულოვსს..

გამარჯობათ, ქალბატონო სანდრა!

ჭეშმარიტი გულწრფელობით მოგესალმებით, რადგან, თუ დღეს, მიხეილ სააკაშვილს რაიმე ამშვენებს მის პირად ყოფაში, ეს მხოლოდ თქვენ და თქვენი უდავოდ ნიჭიერი შვილები ხართ. სხვა დანარჩენზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან დღეისათვის სრულიად გაკოტრებულ სახელმწიფო მოღვაწე სააკაშვილს სხვა რამ პოლიტიკური თუ პირადი სამშვენისი აშკარად აღარ აქვს შერჩენილი.

ასეა, ქალბატონო სანდრა, ავტორიტეტის მოპოვებას წლები სჭირდება, მისი გაფლანგვისათვის კი წუთებია საჭირო, მაგრამ წუთებს კი არა წლებს ითვლის სააკაშვილის მმართველობის ის მძიმე ჟამი, რომელმაც ქართველ ხალხს იმედი წაართვა, სააკაშვილს კი ავტორიტეტი.

მაშინ, როცა თქვენი მეუღლე მხოლოდ პარლამენტარი იყო და თურმე დაუოკებლად მიილტვოდა საქართველოს პრეზიდენტის სავარძლისაკენ, ჩვენ მას უსამართლობასთან მებრძოლ დონ-კიხოტად მივიჩნევდით და ღრმად ვიყავით დარწმუნებულები, რომ მხოლოდ იგი შესძლებდა შევარდნაძის მძიმე მემკვიდრეობის დამარცხებას, თავისი უშრეტი ენერგიის, ახალგაზრდული შემართებისა და რამდენიმე უცხოური ენის ბრწყინვალედ ფლობის წყალობით.

ჩვენი აღტაცება და რწმენა მიხეილ სააკაშვილისადმი იმანაც განამტკიცა, რომ თქვენ, უცხო ქვეყნის შვილმა, პირმშვენიერმა (ეს არ გახლავთ უადგილო კომპლიმენტი) ჰოლანდიელმა ქალბატონმა რამდენიმე დღეში შეისწავლეთ მეგრული ენა და წალენჯიხელებს გვიმღერეთ ტკბილი მეგრული “ოუ, ნანა”, რამაც, როგორც იტყვიან, წელში გატეხა ის ადამიანებიც კი, ვისაც მაინც ეჭვის ჭია უღრღნიდა გულს და დიდ იმედად არ ესახებოდა სააკაშვილის გაპრეზიდენტება. მაშინ ვინმეს რომ გაებედა იმის თქმა, მხარს არ დავუჭერ სააკაშვილსო, ხალხი ალბათ ქვებით ჩაქოლავდა (სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი პირიქითაა), რადგან თუ ვინმეს უჭირს ამ ქვეყანაზე, ყველაზე მეტად სწორედ იმ წალენჯიხელებს უჭირთ, რომლებიც წინ უძღოდნენ ედუარდ შევარდნაძის გასაძევებლად და მიხეილ სააკაშვილის გასაპრეზიდენტებლად თბილისისაკენ დაძრული ავტომანქანების ვეებერთელა კოლონას!

არავის ეჭვი არ ეპარება, რომ თქვენ მაშინ გულწრფელად უმღეროდით მეგრელებსა და სამეგრელოს, რადგან, ალბათ, გჯეროდათ, რომ თქვენი მეუღლე გაამართლებდა ქართველი ხალხის ნდობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით მოხდა და თქვენი მაშინდელი კეთილი განზრახვა და ძალიხმევა ხალხის მიერ ფასდება როგორც უბედურების მომტანი პიარი მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ!

რა იზამ, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანს მის მიერ ქმნილი კეთილი საქმე უბედურებად შეუტრიალდება ხოლმე...

ქართული საზოგადოების ღირსეული ნაწილი დიდად აღაშფოთა ევროპარლამენტართა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საქართველოში შეინიშნება “ლენინიზმის” იდეოლოგიური თუ ადმინისტრაციული წიაღსვლები. უფრო მეტად კი ნაციონალების პრესსპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის უტიფარმა განცხადებამ, აღგვაშფოთა იმის თაობაზე, რომ ევროპარლამენტართა აღნიშნული განცხადება არა სააკაშვილსა და ნაციონალებს, არამედ “ქართულ ოცნებასა” და ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნისო.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამ განცხადებამ ყველაზე მეტად თქვენ უნდა აღგაშფოთოთ, რადგან თქვენი მეუღლის ლენინთან შედარება, მაშინალურად, თქვენს ნადეჟდა კრუპსკაიასთან შედარებას ნიშნავს, რისთვისაც ქართველ ერს თქვენ ნამდვილად არ ემეტებით...

ხოლო, თუ ლენინისეულ პერსონაჟთა გალერეას ბოლომდე გავედევნებით, მაშინ გამოდის, რომ ჩიორა თაქთაქიშვილი ინესა არმანდი იქნება (აქვე მინდა გავიხსენო, თუ როგორ მიაკრეს პეტერბურგის ერთერთი შენობის კარებს სტუდენტებმა სახუმარო პოლიტიკური პლაკატი – “ამ შენობაში ვლადიმერ ლენინი და ინესა არმანდი ემალებოდნენ ნადეჟდა კრუპსკაიას”), ხათუნა გოგორიშვილი – კლარა ცეტკინი, მარიკა ვერულაშვილი – მარია კოლონტაი და ა.შ. აღარაფერს ვამბობ ძერჟინსკის მიმსგავსებულ მერაბიშვილ-ახალაიასა და სვერდლოვს მიმსგავსებულ გილაურ-ხეთაგურებზე...

წარმოგიდგენიათ, ტიპაჟთა როგორი გალერეა იქმნება – მადამ ტიუსოს მუზეუმიც კი მონაგონია!

ქალბატონო სანდრა!

თქვენ მაინც ხომ იცით, რომ აბსოლუტურად ილუზორულია თქვენი მეუღლის შეპირება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე. თქვენ ისიც კარგად გეცოდინებათ, რომ რუსეთის ქალაქ ულიანოვსკში უკვე მდებარეობს ნატო-ს დახურული სამხედრო ბაზა. ახლა, როგორ ფიქრობთ, რომელი ურჩევნია ნატო-ს – შფოთიანი საქართველოს მიღება თავის რიგებში თუ საკუთარი სამხედრო ბაზების განლაგება რუსეთის ტერიტორიაზე? ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ნატო-ს ხელმძღვანელობა რუსეთს გაერიყება და საქართველოს ჩაიხუტებს?

ეს ხომ მართლაც ბავშვური ილუზიაა?

იქნებ, ამის თაობაზე, თქვენი, როგორც ნატო-ს წევრი სახელმწიფოს მოქალაქის აზრი მოახსენოთ ქართულ საზოგადოებას?

თქვენ, როგორც ჰოლანდიაში დაბადებული და აზრდილი ადამიანი, ალბათ ჯერ კიდევ ვერა ხართ სრულად გარკვეული კავკასიის ქვეყნებში ისტორიულად არსებული ეთნიკური წინააღმდეგობების თაობაზე, რაც ხშირად საკმაო მწვავე შეხლა-შემოხლისა და ომების მიზეზადაც კი ქცეულა. ასეა საქართველოსომხეთის ურთიერთობებშიც – ისტორიული აუცილებლობიდან და ერების წინაშე წამოჭრილი რეალური საფრთხეების გამო ხან ქართველები სომხდებოდნენ, ხან კი სომხები იკეთებდნენ გვარს ქართულად და საქართველოს აფარებდნენ თავს. ცხოვრება მაინც მშვიდად გრძელდებოდა, ვიდრე არ შეიქმნა რეაქციონერ სომეხთა კასტა, რომელთაც არ გასჭირვებიათ გაქართველებული სომხებისაგან საქართველოში “მეხუთე კოლონის” შექმნა და ამ ადამიანების საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ გამოყენება. იგივე ხდებოდა თურქეთში, მაგრამ შედარებით ნაკლებტოლერანტულმა თურქებმა ძვირად დაუსვეს სომხებს ამგვარი პოლიტიკური ოინბაზობა, რასაც სომხების რამდენიმე გენოციდი მოჰყვა, თურქეთის ტერიტორიაზე. მაგრამ იციან რა, რომ მათ ისტორიულად ტოლერანტი და ინტერნაციონალური ბუნების მქონე ქართველი ხალხისაგან ამგვარი სასიკვდილო საფრთხე არ ემუქრებათ, განსაკუთრებით გააააქტიურეს ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და ეს აქტიურობა თვალნათელი ხდება მას შემდეგ, რაც შევარდნაძის გამყიდველური პოლიტიკის წყალობით საქართველოს სათავეში მოექცა სომხური კრიმინალური ბანდა ეთნიკურად სომეხი მიხეილ სააკაშვილის თავკაცობით!

ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ სწორედ თქვენი მეუღლის აღზევების შემდეგ მიმდინარეობს საქართველოში დაუნდობელი ბრძოლა ყოველივე ქართულისა და ქართველი ერის წინააღმდეგ: საქართველოდან, ეკონომიკური გასაჭირის გამო, ლუკმა-პურის საძებრად, გადაიხვეწა მილიონზე მეტი ქართველი, მმართველი ელიტის ბოროტი ნების ბრმა შემსრულებელი, ქართული, ე.წ. “სამართალდამცავები” დაუნდობლად არბევენ ოპოზიციურ დემონტრაციებს, ქუჩაში კლავენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, მიმდინარეობს ქართველი ხალხის ეკონომიკური და სოციალური გენოციდი, სააკაშვილის მიერ შექმნილი მონოპოლიური კლანები კიდევ უფრო აღატაკებენ სიღარიბისაგან ისედაც ქანცგაცლილ ადამიანებს, განუხრელად ძვირდება კომუნალური მომსახურეობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ბიზნესი მთლიანად სააკაშვილების ოჯახს აქვს მითვისებული, განათლების სფეროს დიდ ნაწილს უკვე ღიად აკონტროლებს თქვენი დედამთილი...

რომელი ერთი სიბოროტე უნდა ჩამოვთვალოთ, რომელიც თქვენმა ოჯახმა მოუტანა საქართველოს!

როგორ გგონიათ, ყოველივე ეს არ ამძაფრებს ქართველი ხალხის სიძულვილს თქვენი ოჯახისადმი?

ნუთუ არ უნდა შეიმეცნოთ, რომ, ამ სიძულვილმა შეიძლება მეტად სახიფათო შედეგი მოუტანოს თქვენს მეუღლესა და თქვენს ოჯახს?

ქალბატონო სანდრა, ისიც მწარე ფაქტია, რომ გახალისებული ქართველი თუ უცხოელი ჟურნალისტები მიხეილ სააკაშვილს ხშირად ჰიტლერს ამსგავსებენ ხოლმე. იმას კი არავინ უფიქრდება, რომ ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ კაცობრიობამ მიიღო საძირკვლამდე დანგრეული გერმანია, მისი ხელმეორედ აშენების შემდეგ კი მივიღეთ თურქების, ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების გერმანია, რომელშიც უკვე სულს ღაფავს დიდი ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული ტრადიციების მქონე გერმანელი ხალხი.

რა გარანტია გვაქვს, რომ “მოჰიტლერო” სააკაშვილის შემდეგ ჩვენც იგივე მახინჯ საქართველოს არ მივიღებთ? მით უმეტეს, რომ, საქართველოში, სწორედ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების (რა თქმა უნდა, თქვენი გამოკლებით) მცდელობით, უკვე შეინიშნება თურქების მოძალება და, სამწუხაროდ, არც ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების დეფიციტს განვიცდით! თუმცა, ხალხში მაინც დადის ხმა, რომ სწორედ თქვენი მცდელობით ივსება საქართველო სამხრეთ აფრიკიდან გამოძევებული ჰოლანდიური წარმოშობის მქონე ბურებით, რომლებიც, მართალია, მენტალიტეტით სომხებს ბევრად სჯობნიან, მაგრამ ქართული ფენომენის აღზევებას ისინიც დიდად ვერ შეუწყობენ ხელს!

თქვენ, როგორც დედამ, ნუთუ თუნდაც ერთხელ მაინც არ დააყენეთ თავი იმ გაუბედურებული დედების ადგილზე, რომელთაც თქვენი მეუღლის დანაშაულებრივი მოწოდების შემდეგ, “ნულოვანი ტოლერანტობის” თაობაზე, შვილები დღისით-მზისით, შუა ქალაქში ჩაუცხრილეს და კატაფალკებით მიუსვენეს სახლში. ხომ იცით, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენმა ადამიანმა ამქვეყნიურ სამსჯავროს რომ დააღწიოს თავი, ღვთის სამსჯავროს მაინც ვერ ასცდება! როგორ გგონიათ, თქვენი ოჯახის მიერ ჩადენილი ამგვარი უმძიმესი დანაშაული ზებუნებრივი ძალების მიერ უპასუხოდ დარჩება? ერთი მონანიების სიტყვა მაინც დაგცდენოდათ თუნდაც ადამიანის სახედაკარგული პოლიციელების მიერ სანდრო გირგვლიანის მხეცურად მოკვლის თაობაზე, რომლის საფლავსაც ლამის მთელი მისი ოჯახი დააკვდა!

უდანაშაულოდ ჩახოცილი ახალგაზრდების სისხლი ხომ “ცას შესჩუხჩუხებს” და სამართალს ითხოვს?!

იქნებ თქვენი მეუღლის მსგავსად თქვენც ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხი საბოლოოდ დამონებული და ქედდადრეკილია და აღარ ძალუძს საკადრისი პასუხი გასცეს მოძალადეს. საქართველო ჯერ კიდევ მოთმინებით ელოდება, რომ გაკადნიერებული ხელისუფალი დროულად მოეგება გონს და საქართველოს კვლავ დაუბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში, რომელიც მან თქვენი მეუღლისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მცდელობის შედეგად დაჰკარგა!

იქნებ გაიხსენოთ ქართველი პოეტის მიერ სიმწრით ნათქვამი: “საქართველოს მოთმინება იცის, მაგრამ საქართველომ აფეთქებაც იცის!”

მერე ხომ არავინ შეუდგება იმის დადგენას, ვინ შეგნებით უმტრო საქართველოს და – ვინ სიბრიყვით!

ქალბატონო სანდრა, მიუხედავად ყოველივესი, ქართველი ხალხი ჯერ მაინც პატივს გცემთ, რადგან იციან, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლასა და ერის დაკნინებაში თქვენი ხელი არ ურევია. მაგრამ, ნუთუ ერთხელ მაინც არ გითქვამთ თქვენი მეუღლისათვის, რომ ქართველი ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლების მიერ დათესილი უბედურება შეიძლება ამ ხელისუფლებამ თავადვე მოიმკას?

მოკლედ, უამრავი გასაჭირის გამო შემოგჩივლეთ, წალენჯიხელებმა, ქალბატონო სანდრა, მაგრამ ბევრად უფრო მეტი რამ უთქმელი დაგვრჩა. ისევე, როგორც შევარდნაძის ეპოქაში, არ გაგვაჩნია გზა, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, თავის რჩენის ელემენტარული საშუალება...

არა და, თუ გახსოვთ, პირველი დაძახებისთანავე უყოყმანოდ დაგიდექით გვერდზე და თქვენთან ერთად დავიძარით თბილისისაკენ, შევარდნაძის საძულველი რეჟიმისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად. მაგრამ, რა ვიცოდით, ჩვენ – უბედურებმა, რომ თურმე, ერთი საძულველი რეჟიმის მეორე რეჟიმით ჩანაცვლებისათვის ვირჯებოდით, სამეგრელოსა და სრულიად საქართველოსათვის კი სასიკეთოდ არაფერი შეიცვლებოდა!

“აჰავაი!” – ამოიოხრებენ ხოლმე დადარდიანებული მეგრელები, უდიდესი ჭირის ჟამს, გლოვის აღსანიშნავად და საკუთარი თავის გასამხნევებლად.

“აჰავაი” – ჩვენს თავს, ქალბატონო სანდრა, რადგან, თურმე, რვა წელიწადი ამაოდ ველოდით სიკეთეს და ახლაღა დავრწმუნდით, რომ ეს სიკეთე აღარასოდეს მოვა, ვიდრე თქვენი მეუღლე ქვეყნის სათავეში იქნება!

ასე რომ, როგორც ხედავთ, ქალბატონო სანდრა, წალენჯიხაში თქვენს მიერ სევდიანად ნამღერი “ოუ ნანა”, კიდევ უფრო დიდ სევდიან “ვაი ნანად” ექცა სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს!

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ფესვები

ერთი უნიკალური სურათი

არიან ადამიანები, რომელთა სახელი თავის მნიშვნელობით ძვირფასია საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ყველა ეროვნების წარმომადგენლებისათვის. ასეთ ადამიანებზე გვესაუბრება პუბლიცისტი იპოლიტე გამსახურდია, გალის რაიონულ გაზეთ "სათანჯოში" 1992 წლის 12 ნოემბერს გამოქვეყნებულ წერილში სათაურით "ერთი უნიკალური სურათი", სადაც მოგვითხრობს, რომ ქალაქ წყალტუბოში ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს მთელი აფხაზეთისათვის ცნობილი ადამიანი: არზაყან ემხვარის შვილი – გივი ემხვარი. აი, რას მოგვითხრობს ბატონი იპოლიტე გამსახურდია: "რამდენიმე ხნის წინ მე და ჩემი ერთი მეგობარი ვეწვიეთ მას, მაგრან ბატონი გივი შინ არ დაგვხვდა. სამაგიეროდ დაგვხვდნენ მისი სტუმართმოყვარე მეზობლები (ბატონი გივის ქალიშვილი სანქტ-პეტერბურგშია გათხოვილი), რომლებმაც გაგვიღეს სახლის კარი და საკადრისადაც გაგვიმასპინძლდნენ.

ჩემი ყურადღება მიიპყრო სურათების კოლექციამ, რომლებიც ოთახებში იყო გამოფენილი. განსაკუთრებთ დამაინტერესა იმ ფოტოებმა, რომლებზეც ილიას, აკაკის, გიორგი შერვაშიძის და დავით ჩქოტუას ეპოქის ადამიანებია გამოსახული.

სურათის უკანა მხარეს საინტერესო წარწერა შევნიშნე – გიორგი გვათუა, სირქვა ლაკერბაია, დათო ანჩაბაძე, ერასტი ემხვარი, გრიგოლ შერვაშიძე, ძაძვი მარდანია, ბეჯგი ემხვარი, ზურაბ ჩქოტუა, კვაჯი მარდანია, კვაჯი აქირთავა, ჩაჩი ემხვარი.

წარმოიდგინეთ, რა განძი ინახება ბატონ გივი ემხვარის ოჯახში..."

ამ ფოტოსურათებს ასევე გააჩნიათ ისტორიული დოკუმენტის ძალაც, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული თვალსაზრისით – ჩვენი საუკუნის მიწურულს, დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიული წრის ჩაცმულობა მშვენივრადაა წარმოდგენილი.

ახალ შევეცადოთ ამ პიროვნების ვინაობის დადგენას, გავარკვიოთ, თუ რით არიან ისინი საინტერესო, რა პროფესიისანი იყვნენ და რა დამსახურებათა გამო შემორჩნენ ისტორიას.

ამ წერილის ავტორს არა აქვს თვითეული მათგანის საქმიანობის სრულყოფილად დადგენის პრეტენზია. მას ისიც დიდ საქმედ მიაჩნია, რომ იპოვა და, საკითხის დასმის მიზნით, ფართო საზოგადოებას წარუდგინა გამოსაკვლევად მართლაც უნიკალური ფოტო.

ამ წერილში მხოლოდ ორ პიროვნებაზე შემიძლია საუბარი და არც ეს გახლავთ ურიგო საქმე, დანარჩენებს, ვიმედოვნებ, პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ გამოუჩნდება პატრონი.

პუბლიცისტი ი. გამსახურდია აგრძელებს საუბარს და გვამცნობს, რომ ბატონი ზურაბ ჩქოტუა გახლდათ აფხაზეთის სამთავროში დიდად პატივცემული და დამსახურებული სამხედო პირი. მას მინიჭებული ჰქონდა გენერლის წოდება, ცხოვრობდა სოფელ საბერიოში, მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების საომარ მოქმედებებში, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და ხელს უწყობდა სამურზაყანოს მოსახლეობაში განათლების მადალ წერილზე აყვანას. იგი გახლდათ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ერთგული მეგობარი, რის გამოც მიხეილმა მის ოჯახში გააძიძავა ვაჟიშვილი – გიორგი, შემდგომში ცნობილი პუბლიცისტი, დრამატურგი, პოეტი, ილიასა და აკაკის საუკეთესო მეგობარი. ზურაბის შვილი იყო ცნობილი ქართველი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს გაზეთ "ივერიის" ერთ-ერთ რედაქტორადაც ჰყავდა მიწვეული. რუსეთის მეფის "ოხრანკამ" ამ შეთითხნილი, ცილისმწამებლური ვითომ დანაშაულის გამო იგი 32 წლით გადაასახლა აღმოსავლეთ ციმბირში.

მეორე პიროვნება, რომელიც აღბეჭდილია სურათზე, არის სამურზაყანოელი კვაჯი აქირთავა, დაბადებული სოფელ ჭუბურხინჯში (გენათში), ენგურის მარჯვენა სანაპიროზე. აქ დღესაც ნახავთ ქვის კედლის ნამსხვრევებს, რომელიც კვაჯი აქირთავას სახლის ნანგრევებს წარმოადგენს.

ვინ იყო კ. აქირთავა – კვაჯი აქირთავა გახლდათ სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკის წოდებით. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ნოვოროსიისკ-ბათუმის საგზაო მაგისტრალის მშენებლობაში. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს კვაჯი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ღალიძგა-ენგურს შუა მოქცეული საგზაო მაგისტრალის მშენებლობას, ასევე მის შემდეგადაც.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის მთვარ საზრუნავს წარმოადგენდა ე.წ. "სამხრეთის ხაზის" მშენებლობა, რაც მიზნად ისახავდა რუსეთის ჯარის მიახლოვებას ყარსთან და ამ ქალაქის მიმდებარე ტერიტორიის ხელში ჩაგდებას.

კვაჯის დარჩა ერთი შვილი – მიხა. მიხას შვილი იყო ცაქა, რომელსაც შთამომავლობა არ დარჩენია, დავით ჩქოტუას მსგავსად.

კვაჯი აქირთავას ხელმძღვანელობით აშენდა ხიდები მდინარე ერისწყალზე, ხახაშის ღელეზე, კაჟამ ღალზე და სხვა დიდ თუ პატარა მდინარეზე.

სამხედროებს, მათ შორის კვაჯი აქირთავასაც, მხარი დაუჭერიათ, რათა ენგურის ხიდზე აშენებულიყო პონტონის ხიდი, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლებას ამ დიდებული იდეისათვის მხარი არ დაუჭერია.

ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე, სადაც დიდძალი სამშენებლო მასალა – წაბლის ხეები იყო, კვაჯი აქირთავამ რამდენიმე ხიდი ააგო, რომელთაგან ერთი დღესაცაა შემორჩენილი. ამიტომაც ეწოდება ამ სოფელს "ჭუბურხინჯი".

ასეთია აღნიშნულ უნიკალურ ფოტოზე აღბეჭდილი ორი პიროვნების მოღვაწეობის მცირე მონაკვეთი.

ამ უნიკალური სურათის გაცნობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნოვან დამოკიდებულებას, ძმობისა და ნდობის მაღალ ხარისხს. მიუხედავად სიძნელეებისა და სიდუხჭირისა, ადამიანურ ურთიერთობებს დღესაც ამყარებენ ერთმანეთთან აფხაზი და ქართველი გოგო-ბიჭები, იყვარებენ ერთმანეთს და ქმნიან შერეულ ოჯახებს, ჭირსა და ლხინში ერთად არიან, მტრობამ ვერ წაშალა და ვერც წაშლის ძმობას, ერთად ყოფნის ტრადიციას, რომელსაც ჩვენი ხალხები არასოდეს უღალატებენ.

ამიტომ, ახლა, საქართველოს მთავრობას, პოლიტიკოსებს და საღად მოაზროვნე ადამიანებს მართებთ სიბრძნის გამოჩენა, დასხდნენ ერთად შუამავლების გარეშე და მიაღწიონ შერიგებას, მართალია, ამის მიღწევა ადვილი არ არის, მაგრამ შერიგების გზა ერთადერთი გამოსავალია.

ლავრენტი ბერაძე,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი,
გალის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ანქვაბი: ისინი ვინც ამბობენ, რომ აფხაზეთი იოლად გაძლებს რკინიგზის გარეშე, მწარედ ცდებიან

"რკინიგზა ძალიან სჭირდება აფხაზეთს და მის გასარემონტებლად რუსული კრედიტის მიღება სავსებით გამართლებულია", – თვლის აფხაზეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი.

უპასუხა რა ჟურნალისტების შეკითხვებს აღნიშნულ კრედიტთან დაკავშირებით, ანქვაბმა განმარტა, რომ რკინიგზის აღდგენის საკითხი არაერთგზის იქნა წამოწეული.

"2006 წელს განიხილებოდა რკინიგზის კონსორციუმის შექმნის საკითხი, რაზედაც აფხაზეთის საზოგადოების რეაქცია არაერთმნიშვნელოვანი იყო – ზოგს ეს სურდა, ზოგს – არა. რა თქმა უნდა ვიცოდით, რომ პროექტი ჩავარდებოდა, რადგან ქართული მხარე მხარს არ უჭერდა ამ ინიციატივას, რადგან ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ხელს აძლევს რუსეთს და სომხეთს, მაგრამ არა საქართველოს".

ამასთან, როგორც ანქვაბმა განმარტა, აფხაზეთმა მაინც მიიღო გარკვეული მოგება ამ იდეისაგან. "ჩვენ უსასყიდლოდ მივიღეთ გზის სარემონტოდ აუცილებელი მასალები და ის სპეციალური ტექნიკა, რომელიც არ გაგვაჩნდა, რასაც რუდუნებით შევინახავთ სამუშაოების დაწყებამდე" – თქვა ანქვაბმა. პრეზიდენტმა უარყო ასევე ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტის მონაჭორი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ხელისუფლება რკინიგზის გაყიდვას აპირებს. "ჩვენ არავისათვის არაფრის გადაცემას არ ვაპირებთ და ამგვარი სურვილით არც არავის მოუმართავს ჩვენთვის", – დასძინა ანქვაბმა.

"აფხაზეთის რკინიგზა უპირატესად თვით აფხაზებს სჭირდებათ. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში აწგანსვენებულ პრეზიდენტ ბაღაფშს, როცა დააყენა რკინიგზის სარემონტოდ კრედიტების მოზიდვის საკითხი. პირველ რიგში საჭირო იყო სამი მილიარდი რუბლი, რომლის ფარგლებშიც გამოიყო ორი მილიარდი რუბლი. თავდაპირველად რემონტი მიმდინარეობდა ძლიერ დაზიანებულ მონაკვეთებზე, რათა იგი საბოლოოდ არ გამოსულიყო მწყობრიდან. ჩვენ დილემის წინაშე აღმოვჩნდით: ან საერთოდ უნდა შეგვეწყვიტა რკინიგზით სარგებლობა, ან მოგვენახა სახსრები გზის აღსადგენად. სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა შპს "რუსეთის რკინიგზა". ჯერ კიდევ არაა ათვისებული 400 მილიონი რუბლი" – დასძინა ანქვაბმა.

სახელმწიფოს მეთაურმა კატეგორიულად უარყო ვიღაცეების მიერ წარმოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რკინიგზას უკავია განსაკუთრებით ძვირადღირებული მიწის ნაკვეთები, რომელიც მოსახლეობას უნდა დაუბრუნდეს. "არავითარი ფასეული მიწები რკინიგზას არ უჭირავს. იგი ურთულეს მონაკვეთებზე გადის, სანაპიროზე კი ძირითადად უკავია 20-40-მეტრიანი ზოლი", – დააზუსტა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა.

"თუ ვინმეს ჰგონია, რომ აფხაზეთი რკინიგზის გარეშეც იოლად გავა, ძალიან სცდება და სხვებსაც ატყუებს. ჯუგბაში შექმნილმა მდგომარეობამ თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა სიძნელეების წინაშე შეიძლება დაგვაყენოს ავტოსტრადის დაზიანებამ. საბორნე გადასასვლელით გამორიცხულია ტვირთების სწრაფად გადაზიდვა. ამ მხრივ, რკინიგზას, დღესაც კი ვერაფერი სჯობნის", – თქვა ანქვაბმა.

პრეზიდენტმა მწვავედ გააკრიტიკა პირები, რომელთაც დაარღვიეს რკინიგზის რემონტთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალაში შესვლის შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. მან ყოველივე ამას "უპასუხისმგებლობა და დანაშაული" უწოდა.

"არ მესმის, რატომ უნდა მოგვეტყუებინა რუსული მხარე, რატომ მოიქცა ასე საგარეო საქმეთა სამინისტრო, როცა გააგზავნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პარლამენტმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია", – გულისტკივილით აღნიშნა ანქვაბმა და ყოველივე ეს არასერიოზულ საქციელად მოიხსენია.

ოჩამჩირეში ახალი სკოლა გაიხსნა

აფხაზმა ბავშვებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს – სექტემბრის დასაწყისში ქალაქ ოჩამჩირეში გაიხსნა ახალი სკოლა-ინტერნატი, რომელიც გათვლილია 400 ბავშვზე. ინტერნეტი აშენდა "აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური თანადახმარების კომპლექსური გეგმის" შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებულია 2010-2012 წლებში ჩასატარებელი სამუშაოები.

აფხაზეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ მშენებლობაზე, სულ დახარჯულია 277 მილიონი რუბლი. სკოლა-ინტერნატი აიგო ოჩამჩირის ს.პ. ბასარიას სახელობის №3 სკოლის ბაზაზე. წელს ამ სკოლას დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა.

ახალი ობიექტი – ესაა შენობა-ნაგებობების კომპლექსი, რომელიც შედგება ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსის, ინტერნატის სამსართულიანი შენობისა და კვების ბლოკისაგან.

სკოლას ასევე გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სააქტო და სპორტული დარბაზები, კომპლექსში ასევე შედის ღია სპორტული მოედანი.

სკოლა-ინტერნატში იმუშავებს რვა სექცია: ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ტენისის, შაშის, ჭადრაკის, ქორეოგრაფიის, მუსიკისა და თეატრის, სადაც ბავშვებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მიეცემათ.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის 169 სკოლაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო 3 სექტემბერს. სწავლას შეუდგა 26 ათას მოწაფეზე მეტი, რომელთა შორის 1.800 პირველკლასელია.

ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲚᲣᲒᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ“

დიდგორობის დღესასწაულზე, რომელიც დიდგორის ბრძოლაში სელჩუკთა ლაშქარზე ქართველების გამარჯვებას მიეძღვნა (1121 წ. 12 აგვისტო), ამერიკელმა სენატორმა – რესპუბლიკელმა რიჩარდ ლუგარმა, სტარტი მისცა საქართველოში აშშ-ის ახალი სამხედრო ობიექტების მუშაობას ძალზე მშვიდობიანი სახელწოდებებით. ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მდივნის თანაშემწე ენდრიუ ვებერსა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად მან საზეიმოდ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც განთავსდება აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და უოლტერ რიდის სახელობის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (აშშ) ოფისები.

ხოლო 2004 წელს თბილისის გარეუბანში (ალექსეევკის დასახლებაში სამხედრო აეროდრომის მეზობლად) გახსნილ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალურ საცნობარო ლაბორატორიას რიჩარდ ლუგარის სახელი მიენიჭა – აშშ-ის მთავრობის სპეციალური პროგრამის „ნან-ლუგარის“ ავტორისა, რომელიც საქართველოში 2005 წლიდან ხორციელდება და რომლის საფუძველზე ქვეყანაში ფუნქციონირებს რიგი ლაბორატორიები და ვირუსთა შტამების საცავები. ექსპერტთა აზრით, ამერიკული მხარის ეს აქტიურობა უკავშირდება საქართველოში ბიოლოგიური იარაღის სხვადასხვა სახეობის კვლევის, შენახვის, განადგურებისა და შექმნის ობიექტების გაშლის ამოცანას, იარაღის, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს მეზობელი ზოგიერთი ქვეყნის, კერძოდ – ირანის წინააღმდეგ.

„დღეს ისტორიული დღეა! საბჭოთა კავშირს არასოდეს ჩაუდია მსგავსი ინვესტიციები საქართველოში“. ისინი ძალიან ფრთხილობდნენ, რომ ეს ჩვენთვის მისაწვდომი არ გამხდარიყო! ზოგიერთი ამბობს – რა განსხვავებაა რუსეთსა და აშშ-ს შორისო?! აი, რაშია ეს განსხვავება!“ – გაახარა მიხეილ სააკაშვილმა ხანდაზმული სენატორი ტელეკამერების წინაშე თავისი გამოსვლით, და ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი სიმართლეს ამბობდა!

სააკაშვილი მართალია – ეს მართლაც ისტორიული დღე იყო, მაგრამ არა დიდგორის ბრძოლის 891-ე წლისთავის ისტორიული მიზეზით: საქართველომ გუშინ არდაბრუნების წერტილი გადალახა (ასე უწოდებენ პილოტები აფრენის ფაზას, რომელშიც აფრენის გაუქმება და თვითმფრინავის უკან დაბრუნება უკვე აღარ შეიძლება) და აშშ-მ მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ საქართველოში სამუდამოდ მოვიდა! საქართველოში განთავსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების მსგავს კაპიტალურ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებს ხომ საზღვარგარეთ ტყუილუბრალოდ არ აშენებენ და მილიარდობით დოლარს ქარს არ ატანენ, და სასიკვდილო-სახიფათო ობიექტების საკუთარ ტერიტორიაზე, ამერიკაში განლაგება კი საშიშია: დივერსიის ან ტერაქტის შემთხვევაში სასიკვდილო-სახიფათო ვირუსები მყისიერად გავრცელდება ქვეყანაში და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბაქტერიებისაგან საშინელ ეპიდემიებს გამოიწვევს!

სააკაშვილი მართალია – საბჭოთა კავშირს არასოდეს ჩაუდია მსგავსი ინვესტიციები საქართველოში! სსრკ-ის დროს საქართველოში ქარხნები და ფაბრიკები შენდებოდა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული მეკავშირე №1 2004 წლიდან დღემდე მხოლოდ იარაღის მოწოდებითა და საქართველოში სამხედრო ობიექტების მშენებლობით არის დაკავებული...

რატომ არ არის საქართველოში თუნდაც ერთი ამერიკული ბრენდის ფილიალი მაინც, თუნდაც ერთი ქარხანა, რომელიც რაიმე ამერიკულ პროდუქციას ააწყობდა, მაგალითად, ავტომობილებს, როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში, და მარტო რიჩარდ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკაა?! რატომ არის საქართველოში მხოლოდ პროგრამა „ნან-ლუგარი“, და არა წარმოება, სადაც ნანოტექნოლოგიები გამოიყენება?

სააკაშვილი მართალია – საბჭოთა კავშირში ძალზე ფრთხილობდნენ, რომ ქიმიური იარაღი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო, თუმცა საბჭოთა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელები, ახლანდელისაგან განსხვავებით, შეუდარებლად პასუხისმგებლები იყვნენ... მაგრამ აშშ-ს ეს ნაკლებად ადარდებს, ისევე, როგორც ის, – რომ საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელს 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთთან დაუმთავრებლად მიაჩნია;

– რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული და მათთან საზღვრისპირა რაიონებში საგანგაშო მდგომარეობაა;

– რომ არცთუ შორეული სამხედრო კონფლიქტების გამო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – პირობითი მცნებაა, და საზღვრის დელიმიტიზაცია აზერბაიჯანსა და სომხეთთან (რომელთაც საქართველოსთან თავიანთი ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ), და რფ-თან, ჩრდილოეთ კავკასიასთან მონაკვეთზე, ჯერჯერობით არ განხორციელებულა, რაც პერმანენტულად იწვევს მის „კორექტირებას“ და ლოკალური მნიშვნელობის „ЧП“-ეებს;

– რომ ვითარება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში არცთუ სახარბიელოა, ისევე, როგორც ურთიერთობა უახლოეს მეზობლებთან – სომხეთსა და აზერბაიჯანთან, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ;

– რომ კარს მოგვადგა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც, სავარაუდოდ, მოქმედი ხელისუფლების სასარგებლოდ გაყალბდება; რომ ერთგულება და სიმშვიდე არ სუფევს თვით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც, რომლის წმიდა სინოდი ორ შეურიგებელ ბანაკადაა გახლეჩილი – პროსამთავრობო და ანტისამთავრობო მიტროპოლიტ-ეპისკოპოსების, რომელიც პატრიარქს ნაკლებად ემორჩილებიან; რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა უკიდურესად პოლარიზებული და გაბოროტებულია, რომ ქვეყანაში უმუშევრობაა, რეალურად არ არსებობს არც მართლმსაჯულება, არც სახალხო დამცველი, რომ მასობრივად ფეხქვეშ ითელება ადამიანის უფლებები, მათ შორის – ჟურნალისტებისაც...

სააკაშვილი მართალია – ამაშია განსხვავება რუსეთსა და აშშ-ს შორის, და არა მხოლოდ ამაში: საქართველოს მოქალაქეებისათვის ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია „დაძმობილებული“ ქვეყნის დედაქალაქში – ვაშინგტონში – გასეირნება, სსრკ-ის მაშინდელი დედაქალაქის – მოსკოვისაგან განსხვავებით, სადაც ქართველები ხშირად, უბრალოდ, რესტორანში სავახშმოდ დაფრინავდნენ ხოლმე...

სხვათა შორის, სანამ ოფიციალური მოსკოვი მთელ აქცენტს აკეთებდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების განთავსების დაუშვებლობაზე, აშშ-მ მშვიდად განალაგა საქართველოში ობიექტი, ბევრად უფრო სახიფათო, ვიდრე სამხედრო ბაზაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტებით: არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერი რაკეტის აფეთქებას გარკვეული რაოდენობით ადამიანების სიცოცხლე ეწირება და მას მოქმედების განსაზღვრული გარკვეული რადიუსი აქვს, მაგრამ რამდენად შორს გავრცელდება და რამდენ სიცოცხლეს იმსხვერპლებს სასიკვდილო შტამი ლაბორანტის ხელიდან შემთხვევით დავარდნილი სინჯარიდან, არავინ იცის...

მაგრამ... დღეს მთელი ეს საუბრები ზედმეტია, არდაბრუნების წერტილი საქართველომ უკვე გაიარა: თავდაპირველად აშშ-თან პარტნიორობის მსხვერპლი ქართველი ჯარისკაცები გახდნენ ერაყსა და ავღანეთში, ახლა კი, ლაბორატორიაზე განხორციელებული დივერსიის, ტერაქტის ან, თუნდაც, შემთხვევითი „ЧП“-ს შედეგად, ვირუსის შტამის გაჟონვის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ რეგიონის ქვეყნების – აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, რუსეთის...

ხოლო სხვაგვარად მოაზროვნეთა – სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტების, სიცოცხლე ამიერიდან გახვრეტილი კაპიკიც არ ღირს: ნებისმიერ დღეს მმართველი პარტიის ცენტრალური ოფისისაკენ მიმავალმა სააკაშვილმა შეიძლება შეიაროს რიჩარდ ლუგარის სახელობის ცენტრალურ რეფერენტ-ლაბორატორიაში და აირჩიოს ამპულა – ივანიშვილისთვის, კუკავასთვის ან ბურჯანაძისთვის...

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: რიჩარდ ლუგარის სახელობის ცენტრალური რეფერენტ-ლაბორატორიიდან ორ ნაბიჯზე განლაგებულია კიდევ ერთი ლაბორატორია, სადაც ექსპერიმენტებს ცოცხალ ადამიანებზე ატარებენ: მმართველი პარტიის „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისი.

ᲘᲯᲓᲐ ᲨᲘᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲬᲔᲠ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲩᲐᲰᲙᲘᲠᲙᲘᲢᲔᲑᲓᲐ...

ქართველი ერისთვის მეომარი

თბილისში, 1940 წლის 19 ნოემბერს, ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნული იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ლექცია თემაზე "ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები". დარბაზი გაჭედილი იყო. ზუსტი დეტალებია ცნობილი: აკადემიკოსი მხოლოდ 38 წუთი კითხულობდა ლექციას, შემდეგ თავი ცუდად იგრძნო... პირველი სცენაზე აკაკი შანიძე აიჭრა. ავის მომასწავებელ დუმილში აუდიტორიას საშინელი ცნობა მოედო: აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა....

ივანე ჯავახიშვილი 1876 წელს თბილისში, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სოფიო ვახვახიშვილის ოჯახში დაიბადა. სწავლოდა პეტერბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა. მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოს პირველი პოლიტიკური რუკა. იკვლევდა საქართველოს ისტორიასა და ისტორიულ გეოგრაფიას, ეკონომიკას, ხელოვნებას, მუსიკას, არქიტექტურასა და საეკლესიო ცხოვრებას. წერდა საქართველოს ისტორიას... მაგრამ მისი ცხოვრება სულაც არ გახლდათ მშვიდ გარემოში თავაუდებელი შრომა... ეს იყო დრამატიზმით სავსე, განსაცდელის პირისპირ მდგომი კაცის თავგანწირვა იმისთვის, რომ შექმნილიყო მეცნიერული შრომები, რომელიც ერის ცნობიერების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს... სწორედ ამის გამო, 30-იან წლებში, კომუნისტებმა ქართული ინტელიგენციის დევნასთან ერთად ჯავახიშვილის შევიწროებაც დაიწყეს. არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ ჯერ უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შემდეგ კი გააძევეს უნივერსიტეტიდან. იმ მძიმე წლებშიც კი, როცა უმუშევრად დარჩენილი მეცნიერი იძულებული იყო, სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კონსულტანტად ემუშავა, საქართველოს ისტორიაზე ფიქრი და კვლევა არ შეუწყვეტია. მისკენ თითს იშვერდნენ, უკიჟინებდნენ, რომ მარქსიზმამდე ვერ ამაღლდა.

იჯდა შინ მრავალი წიგნის გარემოცვაში, საწერ მაგიდაზე ისევ ხელნაწერები ჰქონდა გაშლილი და თავისი ერის ისტორიას ჩაჰკირკიტებდა... მისი სახლის პირდაპირ კი, კათოლიკურ ეკლესიაში, მაშინ, როცა არც წირვა ტარდებოდა და არც რაიმე დღესასწაული იყო, მოულოდნელად აჟღერდებოდა ორგანი... მეცნიერს გულში სითბო ჩაეღვრებოდა ხოლმე და სარკმელს მიადგებოდა. ტაძარში მის მხარდასაჭერად უკრავდნენ, ორგანთან მისი ერთგული მეგობარი ზაქარია ფალიაშვილი იჯდა... ასეთი უსიტყვო აქცია ხშირი იყო....

არასოდეს მიუღია ჯილდო და პრემია, თუ არ ჩავთვლით მესამე კურსზე დაწერილი სამეცნიერო ნაშრომის გამო მიღებულ ოქროს მედალს... მეცნიერი რუდუნებით ინახავდა ამ ჯილდოს, მაგრამ მაინც ვერ გადაარჩინა გაყიდვას – ხელმოკლეობის ჟამს 120 მანეთად დააგირავა თურმე... გამოსატანად მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით მისულა. უარი უთხრეს: უკვე გაიყიდაო.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ივანე ჯავახიშვილს იმისი საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომ ორბელიანისეული სახლი, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, რიგიანად გადაეხურა და მუდმივად წვიმა არ ჩამოსულიყო მის საწერ მაგიდაზე...

ივანე ჯავახიშვილის არც ერთი ნაშრომი არ უნდა დაბეჭდილიყო – ასეთი იყო საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი ვერდიქტი. "ამაზე მეტი ვეღარაფერი გადამხდება... ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა, მეტადრე უკანასკნელ ათეულში და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის კვლევა-ძიება იყო. ყოველთვის ასეთ შემთხვევაში მღელვარება მიმშვიდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარე მავიწყდებოდა ხოლმე", – წერდა გულმოკლული მეცნიერი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლე იქნებ იმიტომ არ ხელყო, რომ მან ერთგვარ ხერხს მიმართა და სტალინის წარმოშობის შესახებ კვლევის დაწყებაზე თანხმობა განაცხადა. 1939 წელს ივანე ჯავახიშვილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, რაც იმ დროისათვის დიდ პატივად მიიჩნეოდა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარე იყო. მეცნიერთან ფარული დაპირისპირება არ შეწყვეტილა.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის არსშივე მიუღებელი იყო, რომ ვიღაც, მათთან შეუთანხმებლად, "ქართველი ერის ისტორიას" წერდა. ეს არავის სჭირდებოდა მოსკოვში... კავკასიის ულამაზესი ბუნებით ტკბობის მოჟვარულ მოძმე ქვეყნებს სულაც არ აძლევდა ხელს, რომ ამ წალკოტში მცხოვრებ ხალხს თავის დიდ ისტორიაზე ზღაპრად თქმული ამბებით კი არა, სამეცნიერო ნაშრომით ელაპარაკა.

საქმეც ეს იყო... დიდი მეცნიერი, რომელსაც თბილისში შინ წვიმა ჩასდიოდა, საკუთარ სახლში – ხოვლეში კი აღარ მიესვლებოდა, რადგან ხელისუფლებამ ერთი ოთახის დატოვებაზეც კი უარი უთხრა, რომელსაც საკუთარი გარდერობის გაახლების სახსრებიც კი არ ჰქონდა, მეომარივით იდგა ბრძოლის წინა ხაზზე და ხელიდან იარაღს არ უშვებდა... ოღონდ იარაღი ის ისტორიული მასალა გახლდათ, რომელიც გაიაზრა და სისტემურად დაალაგა ნაშრომში "ქართველი ერის ისტორია".

"ქართველი ერის ისტორიის" ხუთტომეულს საფუძვლად დაედო ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის I-III ტომები. აღსანიშნავია, რომ ხუთტომეულში შესულია მეცნიერის არქივში დაცული სხვა ნაშრომები, რომლებიც ძველ გამოცემებში არ შესულა. ეს წიგნი ჩვენი ბრძოლის სიმბოლოა და ეროვნული ცნობიერების გადარჩენის მეცნიერული საყრდენი. სწორედ ამიტომ არასოდეს დაკარგავს აქტუალობას, ამიტომ უნდა იყოს და იქნება კიდეც ყველა საქართველოს მოქალაქის ოჯახში. ვინც ეს მაშინ ვერ მოახერხა, როდესაც "ქართველი ერის ისტორია" პირველად დაიბეჭდა, "კვირის პალიტრასთან" ერთად ახლა მიეცემა ამისი საშუალება და თავის ბიბლიოთეკას გაამდიდრებს ერის საგანძურად ქცეული სამეცნიერო ნაშრომით...

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა ტოპოგრაფ ევგენი ბარამიძესთან ერთად შეადგინა საქართველოს ისტორიული რუკა, რომელიც შინაგან საქმეთა კომისარიატმა დაბეჭდა. წლების განმავლობაში რუკის დედანი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ამჟამად ის რესტავრირებულია და საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, პარლამენტში იქნება დაცული.

Ლ. ᲯᲘᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

რაც შეეხება ხლევნიუკის აღნიშნულ სტატიას, რომლის დიდი ნაწილიც, ჩემის ვარაუდით, წარმოადგენს თავისებურ რეცენზიას ემი ნაიტის წიგნზე, გორბაჩოვ-ფონდის ჟურნალში იგი შემთხვევით არ გამოქვეყნებულა. და არც იყო შემთხვევითი, რომ იგი გამოქვეყნდა სწორედ ემი ნაიტის წიგნის გამოცემის შემდეგ... მაშინ ხომ ეს წიგნი ფაქტიურად პირველი გამოცემა გახლდათ, რომელიც მოუწოდებდა ავტორებს, რომ უფრო "დაბალანსებული შეფასებები" გამოეყენებინათ ლავრენტი ბერიას პიროვნების თაობაზე, და ამ ფაქტის უგულვებელყოფა ხლევნიუკსა და მისი ტიპის ავტორებს არ შეეძლოთ. გამორიცხული არ იყო, რომ ემი ნაიტის ამ მოწოდების შემდეგ სამამულო ბეჭდვით სიტყვაში წინა პლანზე წამოწეულიყო ბევრად უფრო ობიექტური შეფასებები ლავრენტი ბერიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და კვლევებიც უფრო ობიექტურ გარემოებათა ფონზე წარმართულიყო.

და, როგორ გგონიათ, ამ ხლევნიუკებმა, ნაუმოვებმა და ვოლკოგონოვთა მსგავსმა "შემოქმედებმა" არ იცოდნენ ხრუშჩოვისა და ხრუშჩოველების ნამდვილი ფასი და ამ "კოჰორტის" სხვა წარმომადგენლების: დაწყებული ნიკიტას სერგის ძიდან და დამთავრებული ბრეჟნევით, ანდროპოვით, გორბაჩოვით, ელცინით და პუტინით, მათი "საგმირო" საქმეთა შესახებ?

არა მგონია!

განა არ იცოდნენ ამ "შემოქმედებმა" იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას ნამდვილი ფასი და მათ მიერ ქმნილი მართლაც საგმირო საქმენი, რითაც ამ ადამიანებმა უკვდავჰყვეს რუსეთის ისტორიის მეოცე საუკუნის უმძლავრესი ეპოქა?

არა მგონია!

უწყოდნენ რა ყოველივე ამის თაობაზე, რუსმა "დემოკრატმა ისტორიკოსებმა" ისიც კარგად იცოდნენ, რომ ლავრენტი ბერიას როლისა და მოღვაწეობის ობიექტურად ასახვა შექმნიდა მყარ ნიადაგს მისი სრული პოლიტიკური და ზნეობრივი რეაბილიტაციისათვის. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ლავრენტი ბერია წარმოჩინდებოდა მომავალი თაობის წინაშე არა მხოლოდ როგორც განუხორციელებელი რეფორმატორი, არამედ, სწორედ როგორც სოციალიზმის ინტერესების გამტარებელი რეფორმატორი და არა მისი "დემონტაჟის" კონსტრუქტორ-რეფორმატორი!

საჭირო იყო სასწრაფოდ ჩაეხერგათ ყველა ის გზა, რომელიც ჩამოაყალიბებდა ბერიას ჭეშმარიტ სახეს. საჭირო იყო ბერიას განუხორციელებელი ოცნება წარედგინათ საზოგადოების წინაშე როგორც გორბაჩოვის "პერესტროიკის" საპირწონის მსგავსი ღონისძიებების ციკლი. თითქოს, ბერია იყო გორბაჩოვის ალი-კვალი, ჩვენი სამშობლოს წარსულიდან. ოღონდ ეგ არის, რომ "გორბს" რეპრესიებში ბევრად აჯობა.

მაგრამ – არა და არა!

ისტორიულ პლანში გორბაჩოვი წვრილმანი არამზადაა, რომელსაც ბედმა მისცა მოღვაწეობის საშუალება, მან კი მთელი ეს საშუალებები საბჭოთა კავშირის დანგრევას მოახმარა.

ბერია კი, ისტორიულ პლანში, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა, გენიალური შემოქმედი, რომელმაც სახელმწიფო უზრუნველყო დიდების შარავანდედით, მოუტანა მას თავისუფლება და განვითარება! ლავრენტი ბერია, გარკვეული თვალსაზრისით – სამშობლოს განუხორციელებელი შანსია!

ამის აღიარება კი საშინელებაა თანამედროვე "ისტორიკოსებისათვის".

და არც თუ ხელსაყრელია.

თუმცა ისიც შეუძლებელია, რომ ბერია მხოლოდ "ჯალათად" იქნეს წარმოდგენილი – რადგან ამგვარი მტკიცებულება ეჭვის ქვეშ აყენებს თვით ავტორის რენომეს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბორის სტარკოვმა, 1993 წელს, ჟურნალ "როდინაში" (№11) გამოქვეყნებულ თავის სტატიას უწოდა "ლიუბიანკის მარშლის" ასი დღე". პირველად გამოჩნდა რა სამამულო "საინფორმაციო სივრცეში" 1989 წელს, ჟურნალი "როდინა" წამსვე იქცა იმ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ-ერთ რუპორად, რომელსაც ლენინი ახასიათებდა როგორც ერთი უკიდურესობა – "რევოლუციიდან" მეორე უკიდურესობა – "რეაქციონერობამდე" მოტორტმანე მასად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს "რუსული ისტორიულ-პუბლიცისტური ჟურნალი" გამოიცემოდა სსრკ მინისტრთა საბჭოს – ფაქტიურად, რუსეთის მთავრობის მიერ.

სტარკოვი თავის წერილს იწყებს ქვეთავით: "მეოცე საუკუნის უდიდესი დიქტატორის სტალინის გარდაცვალებით", შემდეგ კი მოგვითხრობს ბერიას თაობაზე. სტატია ამ სიტყვებით მთავრდება:

"არქივებში შემორჩა... ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ბერიას სამდივნოს მიერაა მომზადებული. ეს გახლავთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს იმ დადგენილებათა სია, რომლებიც უნდა შეცვლილიყო მისი დაძველების ან არამართებულობის მიზეზით. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ "ლუბიანკის მარშალს" მართლაც გააჩნდა რეფორმატორული განზრახულობები, და, თანაც, ძალიან სერიოზული. მაგრამ მისი რეფორმატორული გეგმები სხვებმა განახორციელეს.

ამიტომაც იყო ბერია განწირული".

სტარკოვი კი უწოდებს ბერიას "ჯალათს", მაგრამ მას ასევე წარმოგვიდგენს გორბაჩოვის პერესტროიკის გარკვეულ შემლოცველ-წინასწარმეტყველად. ესე იგი, ლავრენტი ბერიას თითქოს ეფერებოდნენ. მაგრამ მას ეფერებოდნენ და იუდას კოცნით ეამბორებოდნენ ისინი, ვინც ზურგი შეაქცია კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილ და გამძლავრებულ სამშობლოს. მიუხედავად ამისა, მაინც მინდა გაგაცნოთ ის ფაქტობრივი მასალები, რომელსაც გვაწვდის სტარკოვი:

"რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში, სადაც ინახება ბერიას სამდივნოს არქივები და დოკუმენტები, – ეს გახლავთ არქივის იმ ეპოქის ამსახველი ყველაზე ღარიბი ნაწილი (იგულისხმება პერიოდი 1953 წლის 5 მარტიდან 26 ივნისამდე – ს.კ.)...

(...)

გადაიკითხავ რა ნიკიტა ხრუშჩოვის მოგონებებს, უნებლიედ გიჩნდება ფიქრი, რომ იგი მაინც ცუღლუტობდა... ხელისუფლებისათვის ბრძოლა ძირითადად მიდიოდა ხრუშჩოვსა და მალენკოვს შორის და ბერია, უბრალოდ, გაიჭყლიტა მათ შუაში...

(...)

პროფესორი... ა.ს. ნორინსკი, რომელიც სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში მუშაობდა, იხსენებს, რომ, 1953 წელს, როცა ბერიამ გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაიბარა, სისტემის მრავალი მუშაკისათვის ეს "დღესასწაულის" ტოლფასი გახლდათ (როგორც ჩანს, მათ ყელში ამოუვიდათ იგნატიევის არაკომპეტენტურობა – ს.კ.)...

(...)

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა ამნისტიის წინადადება (და არა – რეაბილიტაციის! – ს.კ.) და გადაუგზავნა იგი გიორგი მალენკოვსა და ნიკიტა ხრუშჩოვს, რომლის თანახმად საპატიმრო ადგილები უნდა დაეტოვებინათ ყველა არასასამართლო ორგანოების, უპირველესად კი "სამეულების" მიერ გასამართლებულ მსჯავრდებულებს. *ბერიას ინიციატივით, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი, 30-40-იან წლებში რეპრესირებულის რეაბილიტაციის ყველა რადიკალური წინადადება უარყოფილი იქნა (აქაც და ქვევითაც დახრილი შრიფტით გამოყოფილი ყველა ციტატა სტარკოვის მიერაა შესრულებული – ს.კ.)...* ამავე დროს აღნიშნული იქნა, რომ ბერია ამ ღონისძიებას ატარებს "ზედმეტად ნაჩქარევად"."

(...)

ბერიამ პირველმა დააყენა საკითხი *სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან რიგი ქვედანაყოფების გამოყვანის შესახებ.*

(...)

"ლიუბიანკის მარშალს" კარგად ესმოდა, რომ... კოლექტიურობის პრინციპი მუშაობაში საერთოდ უგულვებელყოფილი იყო, რომ ხელმძღვანელობისათვის უცხო და მიუღებელი გახლდათ კრიტიკა და თვითკრიტიკა... (ბ. სტარკოვი აქ აშკარად ცდილობს სტალინის "ბოსტნისაკენ ქვების სროლას", მაგრამ სახალისო ისაა, რომ სტარკოვის "დემოკრატი" კოლეგები სტალინს ბრალად უყენებენ პარტიის XIX ყრილობის შემდეგ გამართულ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მალენკოვისა და მოლოტოვის "გამანადგურებელ" კრიტიკას – ს.კ.).

(...

ბერია აუცილებლად მიიჩნევდა პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებიდან სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც შეისწავლიდა სპეცგადასახლებულების შრომის, ყოფისა და დასვენების პირობებს...)".

დაბოლოს, უკანასკნელი ციტატა სტარკოვის სტატიიდან... მისი დასასრული, როგორც მკითხველი იოლად შენიშნავს, უშუალოდაა დაპირისპირებული ლეონიდ მლეჩინის "ფანტასმაგორიასთან":

"პოლიტიკური ინტრიგის დიდოსტატებს მყარად ეპყრათ ხელთ ბინძური შეთქმულების ძაფები. მისთვის კი (ლავრენტი ბერიასათვის – ს.კ.) დრო ჩვეულებრივად ილეოდა ყოველდღიურ საქმიანობაში: თათბირები, კოლეგიის სხდომები, გასვლითი ღონისძიებები, ახალი წინადადებების მომზადება სსრკ მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცეკას პრეზიდიუმისათვის. ერთ-ერთ ასეთ წერილში, რომელიც 16 ივნისითაა დათარიღებული, ბერია წინადადებას იძლეოდა, რომ მოეხდინათ შრომა-გასწორებითი დაწესებულებების მთავარი სამმართველოს (გულაგი) რეორგანიზაცია. კერძოდ, ბერია მთავრობას სთავაზობდა, რომ *მოეხდინათ იძულებითი შრომის სისტემის ლიკვიდაცია, ვინაიდან იგი არ გახლდათ ეფექტური და პერსპექტიული...* შეგახსენებთ, რომ ამ პერიოდისათვის შრომა-გასწორებითი დაწესებულებების მთავარი სამმართველო გამოყვანილი იყო სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობიდან და შედიოდა სსრკ იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში".

დიახ, ყველაფერი ყირაზე დადგა კრემლის შენობაში! "ჯალათი" ბერია გვევლინება განმანთავისუფლებლად, "დათბობის შემოქმედი" ნიკიტა ხრუშჩოვი კი ძალაუფლებას დახარბებული ნამდვილი დერჟიმორდაა. მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, განა მართლა ასე არ იყო ყველაფერი?

ვერგილიუსი ამბობს თავის ნაწარმოებში "ენეიდა": "**Timeo Danaos et dona ferentes** ("მეშინია დანაელების (ბერძნების), მათიც კი, ვისაც ჩემთვის ძღვენი მოაქვს"). ამ ფრაზამ ფრთები შეისხა და, მართლაც, ვერგილიუსის ეს გაფრთხილება მთლად უადგილო არ იყო. მათ ხომ გულუბრყვილო ტროელებს დიდი ხის ცხენი აჩუქეს, რომელშიც ბერძენი მეომრები (ანტიკური "კომანდოსები") იყვნენ დამალული. სწორედ ამ ვერაგული მეთოდით შესძლეს ბერძნებმა ტროას აღება.

მით უმეტეს უნდა ეშინოდეს დღეს ადამიანს პოლიტიკური "დანაელების". თუმცა, მათაც კი, მეოცე საუკუნის მიწურულს, ვერ გაბედეს ჩამოერთმიათ ბერიასათვის რეფორმატორის სტატუსი, თუმცა მაინც ცდილობდნენ, რომ ხოტბის შესხმით ჩამოეცილებინათ იგი სოციალიზმის იდეისაგან და შეექმნათ მისგან ლამის "წვრილბურჟუაზიული პრაგმატიკოსი".

მაგრამ ბერია არ იყო უბრალო "პრაგმატიკოსი". მას გააჩნდა სოციალიზმის რეფორმის რეალისტური გეგმა, რომელსაც ვერაფერი გაუგეს მისმა იმ კოლეგებმა, რომლებიც სოციალიზმის იდეის ერთგულები იყვნენ. მაგალითად, 1953 წლის ივლისის პლენუმზე თავის გულისწყრომას ამ სიტყვებით გამოთქვამდა კაგანოვიჩი:

"პარტია ჩვენთვის უპირველესი და უზენაესია. არამზადა ბერიას კი არაერთგზის უთქვამს, რომ პარტიის ცეკა დაკავებული უნდა იყოს მხოლოდ პროპაგანდით და, ნაწილობრივ – კადრებით – აი, სადამდე დაჰყავდა მას პარტიის როლი (ისევე, როგორც სტალინს – ს.კ.). ჩვენთვის, ძველი ბოლშევიკებისათვის, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი ჩვენი ცხოვრების... სამშობლოსა და სახელმწიფოს პარტიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელმძღვანელობას ნიშნავს..."

კაგანოვიჩისათვის 1953 წელსაც უპირველესი პარტია იყო. ბერიასათვის კი უპირველესი იყო სამშობლო, რომელიც შექმნა პარტიამ. ესე იგი, სოციალისტური სამშობლო, რომელიც არსებობდა ადამიანების სასიკეთოდ და სოციალისტური ჯანსაღი კოლექტიური შრომის გასაძლიერებლად.

კაგანოვიჩი არ იყო გადაგვარებული მედროვე და პირწავარდნილი მძარცველი, მაგრამ დროის მოთხოვნები მან მაინც ვერ გაიაზრა – ამიტომაც აღმოჩნდა დროის გარკვეულ მონაკვეთში ხრუშჩოვის გვერდით. კაგანოვიჩმა ვერასგზით ვერ შეიმეცნა, რომ იგი იდეურად ნამდვილი ძველი ბოლშევიკი იყო, სოციალიზმის წარმატებისა და გაძლიერების შემთხვევაში კი მედროვე სარფიან ადგილს სწორედ პარტიულ სტრუქტურებში მოძებნიდა და არა სამეურნეო დარგში. სწორედ მაშინ დაინგრეოდა პარტიაცა და სახელმწიფოც.

როგორც ჩანს, ბერიას ყოველივე ეს კარგად ესმოდა.

ადრე ჩვენს მიერ მოხსენიებული დიმიტრი შეპილოვის შვილისშვილი – დიმიტრი კოსირევი განიხილავს იმ ვარიანტს, თუ საითკენ წავიდოდა ქვეყნის ისტორია, 50-იან წლებში "დიმიტრი შეპილოვი რომ აერჩიათ ქვეყნის ხელმძღვანელად..."?

"ჩემის აზრით, – წერს იგი, – მაშინ ჩვენი ქვეყანა ასე მკვეთრად არ შემობრუნდებოდა აღებული კურსიდან... სიმინდს აღარ დათესავდნენ პოლარული წრის მიღმა... არ იქნებოდა კარიბის ზღვის კრიზისი... ხელოვნების სფეროს "დათბობა" ჩაივლიდა საკავშირო ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა მიერ შექმნილი შედევრების ბულდოზერით გადატკეპნის გარეშე... მაგრამ ყოველი სახის მოდერნისტების ყოფა-ცხოვრება მაინც არ იქნებოდა მხიარული და მიმზიდველი..." და ა.შ.

პოლარული წრის მიღმა არც "ხრუშჩოვის დროს" დაუთესიათ სიმინდი. რაც შეეხება კარიბის ზღვის კრიზისს, არც იგი გამოწვეულა ნიკიტა ხრუშჩოვის მიზეზით. ამ კონფლიქტის საფუძვლად იქცა ამერიკელთა მიერ "იუპიტერის" სისტემის რაკეტების განთავსება თურქეთის სამხედრო ბაზებზე, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ საბჭოთა კავშირის ნებისმიერი წერტილისათვის დარტყმების მიყენება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რას შეგპირდნენ „მეუფეო“ ასეთს, ნამუსზე ხელი რომ აგაღებინა?!.

უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ყველაფერს რომ უნდა მოელოდე, ამ აზრს დიდი ხანია შევეჩვიეთ, მაგრამ, თურმე, ქართველ ღვთისმსახურებსაც რომ უნდა ვერიდოთ, ამას კი ნამდვილად არ მოველოდით!

როგორც იტყვიან – ამასაც მოვესწარით:

„მე ხმას არ მივცემ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოში დემოკრატიის პრობლემაა",– ასე მიმართა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა აბრაამმა მიუნჰენის ქართულ სალოცავში შეკრებულ ემიგრანტებს. მეუფის 2 სექტემბრის ქადაგების ვიდეოჩანაწერი გერმანიაში მცხოვრებმა ქართველებმა გამოაქვეყნეს. კადრებში კარგად ჩანს, რომ საკვირაო ლიტურგიას თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანიც ესწრება. მიტროპოლიტ აბრაამი 1 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისგან დიდ ცვლილებებს არ ელოდება, მისივე აზრით, მორიგი არჩევნები წინამორბედის მსგავსად ჩაივლის. მიტროპოლიტმა ამბიონიდან ის სასულიერო პირებიც გააკრიტიკა, რომლებიც პოლიტიკური პარტიების აქციებს პერიოდულად უერთდებიან, თუმცა ქართველი ემიგრანტების აზრით, თავად მიტროპოლიტის ქადაგება არც ისე დაფარულ საარჩევნო აგიტაციას ჰგავდა მმართველი პარტიის სასარგებლოდ.“

რას შეგპირდნენ „მეუფეო“ ასეთს, ნამუსზე ხელი რომ აგაღებინა?!. თუ იგი – ნამუსი, იმდენად მძიმეა, ავიაკომპანიამ უფასოდ არ გადაგიზიდათ და არც ჩამოგყოლიათ მიუნხენში?!. ბარემ გეთქვათ პირდაპირ – მეც, ქუთაისელი კალისტრატე სულწაწყმედილის მსგავსად, „ძიშა-მაგარია“ დავით აღმაშენებლად მიმაჩნია და მიეცით მას და მის ნაციონალებს ხმაო!

ვის გულისხმობდით, როცა თქვით – „ვინც ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფას ფიქრობს... ვისაც აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ნაწილად არ მიაჩნია?“

აშკარად ჩანს, აქ სათქმელი აგერიათ და სახელი არ გააცხადეთ, თორემ ქვეყნის დამაქცევარ მიშა სააკაშვილზე და მის კრიმინალთა ბანდაზე საუბრობთ, 2008 წელს აფხაზეთი და სამაჩაბლო საბოლოოდ რომ გადააბარეს რუსეთს და კოდორის ხეობა – აფხაზეთის სვანეთი რომ ზედ „ფეშქაშად“ მიაყოლეს!

უფალს გაურბიხართ, მაგრამ მისი ძალა იმდენად დიდია, სიმართლე გათქმევინათ.! ამისთვის, მადლობა უფალს – ჩვენ ყველაფერი სწორად და ქარაგმის გარეშე შეგვასმინა თქვენი ბაგეთაგან ისე, როგორც ზემოთ განგიმარტეთ.

ეს მაინც რა ეშმაკმა გათქმევინათ – „მე ხმას არ მივცემ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოში დემოკრატიის პრობლემაა!“

ჩვენ არ ვიცით და თქვენ გეკითხებით – თქვენ საქართველოში არ ცხოვრობთ?

თუ არა, მაშინ გეპატიებათ ნათქვამი. ჩვენც ვიტყვით, ვიღაცამ მოატყუა, ყალბი სურათი დაუხატა დღევანდელ საქართველოზე და დავიჯერებთ თქვენს „აულწფლობას“!

მაგრამ, თუ პირიქითაა და იქაურ მრევლთან, ალალი, სულიერი ურთიერთობა გაქვთ და ვერ ხედავთ მათ დუხჭირ ცხოვრებას, რომელიც უმთავრესად არადემოკრატიული პრეზიდენტის და მისი უწიგნური და ყაჩაღი მთავრობის „მოღვაწეობის“ შედეგია, მაშინ მიუნხენში და ზოგადად უცხოეთში საქადაგებლად ნუ ჩამოდიხართ, სამკურნალოდ ჩამოდით და გპირდებით – ყველა ხარჯებს ჩვენ გავიღებთ, ჩვენი მწირი შემოსავლებიდან, რომელსაც აქ დროის სატარებლად კი არ ვაგროვებთ, არამედ, თქვენს მიერ „ეჭვმიუტანელ დემოკრატებად“ ნაგულისხმევი მიშა სააკაშვილის და მისი გარემოცვის მიერ გაღატაკებული, ჩვენი ოჯახის წევრების და ნაცნობ-მეგობრების გადასარჩენად ვაკოწიწებთ!

გემუდარებით, შეწყვიტეთ თქვენი მკრეხელური ვოიაჟი ევროპაში და დაგვასვენეთ!

ქართველი ხალხი (გვინდოდა მრევლი გვეხსენებინა, მაგრამ მას შეურაცხყოფას ვერ მივაყენებთ, მრევლი თქვენ არ გეყოლებათ, ფარისევლები კი გაგიხარიათ!), უთქვენოდ, თავადაც კარგად გადაწყვეტს, ვის უნდა მისცეს ხმა.

აქ, უცხოეთში, როგორც იქნა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ჩამოყალიბების გზას ადგას და კარგი მომავალიც უწანს. ამიტომ, საგანგებო წერილი უწმინდესსა და უნეტარესსაც უნდა გავუგზავნოთ, რომ შეაჩეროს გაპოლიტიკოსებული მეუფეების პარპაში ევროპაში, რადგან ისინი, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუკრავ მრევლს გაუფანტავენ ახალგაზრდა და უდავოდ ნიჭიერ მღვდელმსახურებს, უცხოეთში რომ მოიყარეს თავი ამ ბოლო წლებში!

მერამდენედ მოვისმინეთ ᲝᲣᲗᲣᲑᲘ-ში – ანაფორაში ჩაცმული წვეროსანის „ქადაგება“ და ყურს არ ვუჯერებთ, რომ იგი მაღალი რანგის ქართველი, მართლმადიდებელი მღვდელმსახურია!

უწიგნურობა და „ყანდურები“ ეკლესიასაც რომ მოეძალნენ, ჩვენთვის არახალია, მაგრამ ტელევიზორს მაინც როგორ არ უყურებთ, თქვე დალოცვილებო!

გერმანიასა და ზოგადად უცხოეთში ქართველი კაცის სახედ და სინდის-ნამუსად მიჩნეულ „ქართულ-იბერიული“ სტილის მუსიკოსთა ანსამბლ „შინ“-ის წინა საარჩევნო მიმართვა მაინც როგორ არ მოგისმენიათ, რომელსაც უცვლელად შეგახსენებთ კიდევ ერთხელ:

ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲐ!

ჩვენ ყველანი ერთი დედამიწის შვილები ვართ. დაგვბადა გამჩენმა პატარა, მშვენიერ სამშობლოში, რომელსაც ჩვენებურად დღეს საქართველო ჰქვია, ჩვენ ვართ ახალი საუკუნის დასაწყისის მკვიდრები. დღეს ჩვენი უმეტესობა ემიგრანტია, წინა საუკუნიდან. ვიცხოვრეთ და მოვედით დღევანდლამდე – ვატარეთ და გადმოვიტანეთ იმ დროის ავიც და კარგიც...

დაბადებიდან მოუცია გამჩენს საჩუქრად არჩევანის უფლება და ჩვენ კი მთელი წინა ცხოვრება მოვუწყვეთ ჩვენ თავს არადანის განაჩენი. ისევ ვაბრალოთ სხვას, თუ მივხვდეთ იქნებ, რომ ის არადანი ჩვენი არჩევანი იყო! დღეს ვიყენებთ ღვთისგან ბოძებულ უფლებას და ვირჩევთ, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლო, ანუ ძალიან რბილად რომ ვთქვათ, გამოგვაქვს მისთვის და ჩვენთვის განაჩენი!

უფალო შეგვიწყალენ და შეგვეწიენ!

მე და შენ სხვადასხვანაირად ვფიქრობთ, ვხედავთ მომავალს – ეს ძალიან არსებითია, მაგრამ დამიჯერე, ეს ერთადერთია, რაც განგვასხვავებს!

თურმე დიდი ხანია შეგვყვარებია სამშობლო, გვიოცნებია თვითოეულს თავისებურად ნამდვილ, ღირსეულ მომავალზე. თურმე თავისუფლები ვყოფილვართ და ამიტომ დღეს ვირჩევთ ხვალინდელ საქართველოს. და კიდევ ერთი: არც ერთ ჩვენგანს არ სურს მომავალთაგან, ან უკვე მოსულთაგან და ან უკვე იქ, წინაპრებთან შეხვედრისას, მოისმინოს მძიმე კითხვა ამ დღისთვის:

რატომ?

მე და შენ უკვე გადავწყვიტეთ – ჩვენი არჩევანი შედგა! მაგრამ... ჩვენს გვერდზე დგას მესამე! აი ის, მოყვასი, თავი თვისივით რომ უნდა გვიყვარდეს თურმე. ის ფიქრობს, მას თავისი არჩევანი აქვს მოსაძებნი. გვახსოვს, რა ძნელი იყო ჩვენთვის?!

აი იმ მესამეს, მოყვასს, აქვს ხელთ ის ერთი ხმა – ზუსტად ის ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს საერთო მომავალს!

მაშ რითი დავეხმაროთ მას და საკუთარ თავს?

მე მგონი ერთით: ვაჩვენოთ, რომ ჩვენ – მე, შენ და ის, უკვე დღეს, იმ საქართველოს შვილები შეგვიძლია ვიყოთ!

თუნდაც ერთი თვისებით მაინც, რომელიც სრულიად აუცილებელი იქნება ხვალ: თითქმის სიყვარულამდე მისული პატივისცემით ერთმანეთის პიროვნული თავისუფლებისადმი!

და კიდევ – მოდი ჩვენ ორმა, რომლებმაც უკვე ზუსტად ვიცით – რაც და რატომაც, ვურჩიოთ ამ ჩვენ მესამეს ის, რასაც ჩვენ თავს ვურჩევდით: შეხვდეს საკუთარ თავს სარკის წინ. ჩახედოს ღვთის საოცარ ქმნილებას, საკუთარ თვალებს, შიგნით დაინახოს მოთმინებით მომლოდინე ყველა თავისიანი – აქ ცოცხალი თუ იქ ცოცხალი. ჩაეკითხოს მათ, საკუთარ თავს, ყოველივეს გამჩენს (თუ მას სცნობს, სთხოვოს შეწევნა!) და იდუმალი დამის გავლის შემდგომ წამოიმართოს, მხნედ მიადგეს იმ საოცარ ყუთს და დარწმუნებით ჩაუშვას ის ერთი ხმა, რომელიც გადაწყვეტს ყველა ჩვენთაგანის ბედს!

მე და შენ კი დიდი მოთმინებით, მოწიწებით შევხვდებით ამ წამს. ვიტყვით: იყავ ნებაი შენი!

ის ერთი ხმა გადაწყვეტს ყოველივეს და ჩვენ კი გვეცოდინება, რომ მესამე, ანუ მოყვასი, თითოეული ჩვენთაგანია!

შევძლებთ ამ ყოველივეს?

ალბათ!

რამეთუ საქართველო ერთია – არჩევანი კი ჩვენია!

“ქართულ-იბერიული” სტილის
მუსიკოსთა ანსამბლი „შინ“

ჩვენ ვერ ვასწავლით, როგორ უნდა იქცეოდეს მღვდელ-მსახური (განსაკუთრებით მაღალი რანგის!), მაგრამ ქართველი კაცის პოზიცია დღევანდელ, გავერანებულ, ქართველგამეჩხერებულ საქართველოში ერთმანეთის წაკიდება კი არა, ერთმანეთის მოფერება და უკეთესისკენ სწრაფვა უნდა იყოს, როგორც ეს ზემოთმოხმობილ მიმართვაში წერია.

უვარგისის ქადაგებით კი არა, ბოლომდე ქართველად დარჩენით და სინდის-ნამუსის სიწრფელით, მაღალი მუსიკალური კულტურითა და პროფესიონალიზმით მოხიბლეს „შინ“-ის წევრებმა ახალგაზრდა, გერმანელი ყმაწვილი – ალექსანდერ კილიანი – დღეს რომ ყველა ქართველ „ლექსო“-დ მოიხსენიებს გერმანიაში. არ ურჩევიათ მისთვის არც ბუჩქნარებში ძრომიალი და არც ქალის ქალზე და კაცის კაცზე დამყნობა, როგორც ეს „მეუფეს“ მიერ მოწონებულ „დემოკრატიამოჭარბებულ“ საქართველოშია მიღებული.

ასეთი „მეუფეები“-ს ქადაგებათა გამო გვჭირს, რომ – გერმანელი ყმაწვილისგან უნდა ისწავლონ ჩვენმა ახალგაზრდებმა საქართველოს და ქართული მუსიკის სიყვარული!

მოდით და დატკბით „ლექსოს“ ქართული ჰანგებით „შინ“-თან ერთად, სცენიდან რომ გადმოაფრქვევს ამ დღეებში თელავის, ქუთაისის და თბილისის მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე!

დღევანდელ საქართველოს მტერთა მომრავლება კი არ სჭირდება, როგორც ამას მიშა სააკაშვილი და მისი კრიმინალები აკეთებენ, არამედ მოყვარე გვჭირდება შინ და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის გარეთ.

არამც თუ დღეს, ოცდაათი წლის წინაც „ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠ ᲝᲯᲐᲮ ᲡᲡᲠᲯ-ᲨᲘᲪ“ კი გვიჭირდა ბუნებით შარიან ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობა. წარმოგვიდგენია, თუ რას ნიშნავს, როცა თერთმეტ დახოცილ ახალგაზრდას უგზავნი ჩრდილოეთ კავკასიას. ყოველივე მომხდარის შემდეგ, ვის უყვებიან სააკაშვილი და მისი კრიმინალები, რომ ჩვენთვის უსაფრთხო იქნება ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობა და ახალი მტერი არ გაუჩინეს საქართველოს?

ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო – თქვენ მართლა გჯერათ რომ ასე მარტივადაა საქმე?

აი რას უნდა ინანიებდეს და ქადაგებდეს უმაღლესი საეკლესიო პირი, აი რისთვის უნდა იხდიდეს იგი ბოდიშს, პატიებას სთხოვდეს უფალს და გარდაცვლილთა სულებს „დემოკრატიამოჭარბებული“ ხელისუფალის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო!

ჩვენ, სხვის და საკუთარ შვილებად არ ვყოფთ უდანაშაულოდ დახოცილებს (დღემდე რომ დამაჯერებელი ტყუილიც კი ვერ შეთხზა მათზე, საქართველოს კრიმინალურმა ხელისუფლებამ!), არც რელიგიური ნიშნით განვასხვავებთ მათ.

თავს უფლებას ვაძლევთ, შეგახსენოთ, უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელს, თქვენც ასევე უნდა ფიქრობდეთ და აზროვნებდეთ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲝᲒᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ!

...მაგრამ, ვაი რომ, ეჭვი გვეპარება – თქვენ და თქვენისთანებს უფლისადმი მოწიწება და მისი შიში გქონდეთ!

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ,
ᲒᲘᲕᲘ ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ანტვერპენი, ბელგია

„კავკაზცენტრი“: რა მოხდა სინამდვილეში საქართველო-დაღესტნის საზღვარზე

ინტერნეტგამოცემა „კავკაზცენტრი“ რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საკუთარ წყაროებზე დაყრდობით, სტატიას აქვეყნებს სათაურით „რა ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ“.

„კავკაზცენტრის“ წყარო იმირატის მოჯაჰედების სარდლობიდან ამბობს, რომ მომხდარი ხელსაყრელი არ არის საქართველოსთვის, რომელიც იმყოფება რუსეთის ახალი აგრესიის საფრთხის ქვეშ და არც კავკასიის მუსულმანებისთვისაა ხელსაყრელი, რომლებიც ებრძვიან რუს ოკუპანტებს.

გამოცემასთან საუბარში წყაროები ინციდენტის ზოგიერთ დეტალზე საუბრობენ. მათი ინფორმაციით, დაღესტნის ვილაიეთის სამხედრო სარდლობამ საქართველოსა და რუსეთისგან მალულად მოახდინა მოხალისე ახალწვეულების ჯგუფის კონცენტრაცია საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე, ერთ-ერთ მთიან უბანზე, რომელსაც მხარს უჭერდა დაღესტნის ლოგისტიკის ოპერატიული ჯგუფი.

„მოხალისეების ჯგუფი გაემართა დისლოკაციისთვის განუთვნილ ადგილას, რუსეთის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლებისათვის დაღესტნის ტერიტორიაზე. ოპერაციის ბოლო ეტაპზე მოხდა ინფორმაციის გაჟონვა ჯგუფის მარშრუტის მოძრაობის შესახებ. საქართველოს ხელისუფლებამ მოხალისეების წინააღმდეგ გამოიყვანა სპეცრაზმის გაძლიერებული ნაწილი, რომელიც მხარდაჭერილი იყო ვერტმფრენებით.

საქართველოს სარდლობამ დაიწყო მოლაპარაკება აღნიშნულ ჯგუფთან და მათ იარაღის დაყრა შესთავაზა.

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მის ტერიტორიაზე შეიარაღებული რაზმის გამოჩენას აფასებს როგორც პროვოკაციას, რომელიც, შესაძლოა, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს რუსეთმა, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად.

მოლაპარაკებების დროს, რომელიც თითქმის ერთ დღეღამის განმავლობაში გაგრძელდა, ახალაწვეულმა მოჯაჰედებმა უარი განაცხადეს იარაღის დაყრაზე და საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზეს მათთვის გზის გახსნა, რათა წინააღმდეგობის გარეშე დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია, სადაც ისინი აღმოჩდნენ დისლოკაციის ადგილისკენ გადაადგილებისას. მას შემდეგ მოლაპარეკებები ჩიხში შევიდა და დაიწყო საბრძოლო მოქმედებები“, – წერს „კავკაზცენტრის“ წყარო.

თუმცა, გამოცემის წყარო უარყოფს, რომ მოჯაჰედებმა საქართველოს მოქალაქეები მძევლად აიყვანეს. მათი ინფორმაციით, ახალწვეულებმა 5 ქართველი გაუშვეს, რომელთაც შემთხვევით გადაეყარნენ გადაადგილების დროს – „სწორედ აქედან მოხდა ინფორმაციის გაჟონვა, რომელსაც მოჰყვა შემდგომი ტრაგიკული მოვლენები“.

ლაფანყურში ჩატარებულ დევნის ოპერაციას ასევე გამოეხმაურა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

როგორც მათ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, მისია ყურადღებით ადევნებს თვალს რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე მიმდინარე ღონისძიებებს, რომლის შესახებაც მას ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებამ მიაწოდა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ოპერაციაში მონაწილე ქართველი სამართალდამცველების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

მაგრამ, ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია, რომ დაღუპულებს შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიანო, როცა მოგვიანებით გაირკვა, რომ დაღუპულთა შორის ორი პიროვნება სწორედაც რომ საქართველოს მოქალაქე იყო. ასე რომ, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტ გულწრფელობას არ გამოიჩენს, მანამდე ალბათ ჭეშმარიტების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

„მისიისა და მისი ყველა წევრის სახელით გამოვთქვამ გულწრფელ მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს“,– აცხადებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ანჟეი ტიშკევიჩი.

მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ აფხაზეთის საომარი მოვლენებისას ჩეჩენი ბოევიკები ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთს რომ თამაშობდნენ გაგრის სტადიონზე.

ეს ისე – ინფორმაცია განსჯისათვის!

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი “ილორი” №171-186

ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტიმ სევერინმა ააგო არგოს ანალოგიური ხომალდი და თავისი ექსპედიციით იმოგზაურა (თუმცა, ყველანაირად უშლიდნენ ხელს მაშინდელი საქართველოს პარტიული ლიდერები) არგონავტთა ნაკვალევზე. ექსპედიციამ ღუნა ჩაუშვა 25 კილომეტრით დაშორებულ არგონავტთა ცურვის ბოლო ადგილიდან, რადგან დადგენილად არ მიაჩნდათ კოლხეთის დედაქალაქ აიაიას გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. პოეტმა იაკობ თანდილაშვილმა თავის ლექსს – “ტიმ სევერინს” დაურთო ასეთი ცნობა:

1984 წლის 21 ივლისს 10 სთ. და 30 წთ. საქართველოს წყლებში (სარფში) შემოვიდა ინგლისელი მოგზაური ტიმ სევერინი მისი ორჩხომელით, რომელიც იყო ლეგენდარული „არგოს“ პირი. მიზანი: მითის რეალობის ერთხელ კიდევ დადასტურება. (ცნობილმა ლაზმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ (იაშა) თანდილაშვილმა ეს სიტყვები ეპიგრაფად წაუმძღვარა თავის ლექსს, რომელიც მიუძღვნა ტიმ სევერინს. იხ. ლექსების კრებული „მუზათა საუფლოში მუდამ მასმევდე ტკბილ ნანას, იბერ-კოლხების ერთობას“, კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის გამოცემა, თბ., 2004, გვ. 68.)

კოლხეთში ექსპედიცია ჰყავდათ ჰეიერდალსა და სხვა სწავლულ ენთუზიასტებსაც.

ცნობილი მოგზაურის ტურ ჰეიერდალის შვილიშვილი, 28 წლის ოლაფ ჰეიერდალი სამ ნორვეგიელთან, ერთი შვედისა და პერუელის შემადგენლობით, ტივით – „კონ ტიკით“ გაიმეორებს ჰეიერდალის მიერ 1947 წელს გავლილ მარშრუტს.

ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა 1947 წელს წყნარ ოკეანეში, პერუდან პოლინეზიისაკენ 8000 კილომეტრი 101 დღის განმავლობაში დაფარა. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ პოლინეზიის კუნძულები სამხრეთ ამერიკელებით იყო დასახლებული.

თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში „კონ ტიკი“, ხოლო მოგზაურობის მოტივებით გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა „ოსკარი“ მოიპოვა.

ტურ ჰეიერდალმა 1955-1956 წლებში იმოგზაურა აღდგომის კუნძულზე – საიდუმლოებით მოცულ კუნძულზე, იმ მიზნით, რომ გაერკვია, თუ ვინ იყვნენ ყველა მატერიკისაგან დაშორებული ხრიოკი კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა. წიგნი „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“ საინტერესო მეცნიერული კვლევის შედეგია, ამ პაწია კუნძულის შორეულ მობინადრეებზე, მისი უბრალო ხალხის ნაღვლიან ისტორიაზე.

აღდგომის კუნძული წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილშია განთავსებული და სამხრეთ ამერიკის სანაპიროდან დაახლოებით 3500 მილითაა დაშორებული. იგი 1722 წლის 6 აპრილს მოგზაურმა როგევენმა აღმოაჩინა.

მოგზაურთა განცვიფრება, პირველ რიგში, კუნძულზე მცხოვრებმა ადამიანებმა გამოიწვიეს, რადგან მათ ნახეს როგორც შავკანიანი, ისე წითელი და თეთრკანიანი აბორიგენები. ცხოველ ინტერესს იწვევდა იქ ნანახი ქანდაკებების სიმრავლე. აღდგომის კუნძულებზე ექსპედიციები ძირითადად 1914-1915 წლებში დაიწყო, თუმცა, მისი მთელი საიდუმლოების ამოხსნა დღემდე ვერ ხერხდება.

1988 წელს ავსტრალიელმა პროფესორმა რობერტ მაურმა კუნძულზე ერთი ჭაობის შესწავლისას აღმოაჩინა შუა საუკუნეების დროინდელი ცხენზე ამხედრებული რაინდი. ჭაობზე ტორფის შემადგენლობის გამო მამაკაცისა და ცხენის ნარჩენები შესანიშნავად იყო შემონახული. რაინდის აღჭურვილობის მიხედვით იგი ლივონიის ორდენის წევრი უნდა ყოფილიყო (ორდენი აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში XII საუკუნიდან იღებს სათავეს).

რაინდის წარმომავლობის დადგენა, ფიქრობენ შესაძლებელი გახდა, მაგრამ მეცნიერები ვერ გაერკვნენ იმაში, თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო იგი აღდგომის კუნძულზე.

დიდი განხილვის შემდეგ, „სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა მოწყობილობა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა უდიდეს მანძილზე ადამიანის წამიერ გადაადგილებას, თუმცა, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრი უნდა ყოფილიყო და აქ უკვე ვაწყდებით ანომალიურ მოვლენებს, რომელიც სავარაუდოდ უცხოპლანეტელებს უნდა უკავშირდებოდეს“ (აღდგომის კუნძულის სიურპრიზები, გაზ. „ალია“ 2009, 8-9 იანვარი, გვ. 15.). წერს გაზეთი „ალია“.

წინამდებარე ნაშრომის ავტორს არ მჯერა, რომ შუასაუკუნეებში ასეთ დიდ მანძილზე ადამიანთა „წამიერ“ (თუ გინდ „საათობრივი“) გადაადგილების შესაძლებლობა არსებულიყო. იმაშიც ეჭვი მეპარება, რომ ადამიანები ხშირად ხვდებიან უცხოპლანეტელებს. ევროპა-ამერიკაში ძალიან ხმაურობენ უცხოპლანეტელებზე (განსაკუთრებით ბევრი დაიწერა 2007-2008 წლებში), პრესაში ქვეყნდება მასალები, რომ უცხოპლანეტელები ნახეს „ამ ქალაქში“, „იმ სოფელში“, მაგრამ ფაქტს ვერავინ ადასტურებს და თან დასძენენ: ქვეყნები უცხოპლანეტელების არსებობას საიდუმლოდ ინახავენო, რატომ? სამწუხაროდ ამაზე არავინ არაფერს ამბობს.

მუსლიმანთა წინააღმდეგ ევროპელ რაინდთა ბრძოლაში დავით აღმაშენებლის ჯარის ნაწილებიც მონაწილეობდნენ. ამ პერიოდში და შემდგომში მოლაშქრეთა მონაწილეების გვარები სამეგრელოდან ცნობილია (შელიები, ხაინდრავები და სხვები), რომელთა ერთი ნაწილი ლაშქრობიდან დაბრუნებულნი ევროპის ქვეყნებში დასახლდნენ (ბევრი შელია, შელი ცხოვრობს გერმანიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის კონტინენტზე), მაგრამ რა შუაშია აღდგომის კუნძული, როგორ მოხვდა იქ ევროპელი რაინდი?

როგორც ცნობილია, ჩვენი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან აღდგომის კუნძულზე ცხოვრობდნენ კოლხ-მეგრელები, და სწორედ, მათი ლიდერი ხოტუ (ჰოტუ) იყო კუნძულის პირველი მეფე. ადვილი სავარაუდებელია, რომ ფოსფორიან ჭაობში ავსტრალიელი მეცნიერის მიერ აღმოჩენილი მხედარი იყო ადგილობრივი მცხოვრები მეგრელი, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა (და არა შავკანიანები) და არა ევროპელები, „წამიერად გადაადგილებულნი“. არც ის არის გაუგებარი, რომ ჭაობში ნაპოვნი მხედრის-ევროპულ რაინდთა ერთი დიდი რაზმიც, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ევროპელ რაინდთა იარაღი, აღჭურვილობა ჰქონდათ და ადვილი შესაძლებელია, ასეთი იარაღი აღდგომის კუნძულის მებრძოლებსაც ჰქონოდათ.

გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ აღდგომის კუნძულზე არსებული მრავალრიცხოვანი ქანდაკებებიდან, ზოგიერთი ისეთი მასალისგანაა დამზადებული, რომელიც იქ (კუნძულზე) საერთოდ არ არსებობს.

ქვემოთ მოგვაქვს იბერიელების-მეგრელების უძველეს დროში თითქმის მთელ ჩვენ სამყაროში განთესვის, განსახლების, მათ მიერ განსახლების ადგილებში, ადგილობრივ აბორიგენებში ცივილიზაციის, კულტურის შეტანის საკითხები, რისთვისაც მოტანილი გვაქვს მასალები ცნობილი მეცნიერების, მკვლევარების შრომებიდან. ამით არა მარტო ჩვენი თვალსაზრისის, დებულებების დადასტურება-დამტკიცება გვინდა, არამედ, აგრეთვე, ამით ვცდილობთ პატივი მივაგოთ ჩვენს წინარე და თანამედროვე მეცნიერებს, მკვლევარებს. განხილულ-მითითებული გვაქვს მკვლევართა მიერ ბოლო დროს მიკვლეული – გაშიფრულ-განხილული ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

სწორედ ტურ ჰეიერდალმა „აკუ-აკუ“ და „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“ – როგორც ითქვა, მიუძღვნა აღდგომის კუნძულზე ექსპედიციის ხანგრძლივ ყოფნასა და კვლევის შედეგებს.

ტურ ჰეიერდალის ექსპედიციამ ყოველმხრივ გამოიკვლია და აღწერა კუნძული, 500-ზე მეტი (ზოგიერთი წერს 600-მდე) გოლიათური ქვის ქანდაკება, რომლებიც ქვის უზარმაზარ პიედესტალებზე იდგნენ, მოკლე წვერებით და ზეცას მიპყრობილი თვალებით, – ქანდაკებების სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევს; მაგრამ ვერ ახსნეს მთავარი: რომელი მოდგმის ხალხის ტიპია ქანდაკებებში გამოსახული და რატომ აქვთ კერპებს ძალიან გრძელი ყურები და ქანდაკებების მსგავსად რატომ იგრძელებს ყურებს კუნძულზე მცხოვრებთა ერთი ნაწილი?

აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები თავიანთ ენაზე რაპანუს (დიდი კლდე) უწოდებენ, ხოლო უძველეს პრეისტორიულ თქმულებებსა და ლეგენდებში მას ეწოდება ტე პოტო ო ხენუა – დედამიწის ჭიპი – მეგრულად „ჩუპა“ (უფრო გვიან კუნძულის მცხოვრებნი მას უწოდებდნენ აგრეთვე თვალს, რომელიც ხედავს ზეცას, აგრეთვე „ზეცის მიჯნას“). ეს სახელწოდება – დედამიწის ჭიპი, ბერძნულ მითოლოგიაშიც გვხვდება – ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები, პერნასის მთის ძირში არსებულ რელიგიურ ცენტრს დელფოს. ასეთი სახელი შეარქვეს იუდაელ ქრისტიანულ სარწმუნოებას ადეპტებმა იერუსალიმსაც. (რევაზ ერისთავი, მზის შვილები, გვ. 14,21.)

როგვენი, რომელმაც კუნძული შემთხვევით აღმოაჩინა 1722 წლის 6 აპრილს, იყო ჰოლანდიელი ადმირალი, და რადგან ის დღე ქრისტიანული რელიგიით აღდგომა იყო, კუნძულს აღდგომის კუნძული ეწოდა. 1737 წელს კარლ ფრიდრიხ ბერენსიმ ლეიფციგში გამოაქვეყნა წიგნი 1721-1722 წლებში როგვენის ექსპედიციის შესახებ.

ტურ ჰეიერდალი წერს: „ბერენსს, რომელიც მეორე იალქნიან გემზე იმყოფებოდა, ჩაწერილი აქვს, რომ მეორე დღის განთიადზე კუნძულის მცხოვრებნი პირქვედამხობილნი იწვნენ ნაპირზე და ამომავალ მზეს ეკედრებოდნენ, ირგვლივ კი ასეული კოცონი გიზგიზებდა: ჰოლანდიელთა აზრით, ეს ცეცხლები ღმერთების პატივსაცემად იყო დანთებული. ეს არის ერთადერთი აღწერილობა, რაც მიგვაჩნია აღდგომის კუნძულის მცხოვრებთა მზისთაყვანისმცემლობის ჩვეულებად. (ტურ ჰეიერდალი, აღდგომის კუნძულის საიდუმლოება, თბ., 1965, გვ. 25.)“

კუნძული ლათინური ამერიკიდან დიდი მანძილითაა დაშორებული; ის ტერიტორიულად ჩილეს ეკუთვნის. კუნძულზე არის სკოლა, სასტუმრო, სამედიცინო პუნქტი, აეროპორტი.

თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, 1770 წელს, ორი იალქნიანი გემით, კუნძულთან მივიდნენ ესპანელები დონ ფილიპე გონსალესის მეთაურობით. ესპანელებმა კუნძული ესპანეთის ტერიტორიად გამოაცხადეს და კუნძულს ახალი სახელი სან-კარლოსი (მეფე კარლოსის სახელის მიხედვით) მიანიჭეს.

ესპანელების შემდეგ კუნძულზე მოვიდნენ ინგლისელები ცნობილი მეზღვაურის კაპიტან კუკის მეთაურობით. კუკის მოკლეხნიანი ვიზიტის შემდეგ, 1786 წელს, იქ, იმავე მოკლე ხნის ვიზიტით, მივიდნენ ფრანგები. ლაპერუზის სარდლობით. კუკისა და ლაპერუზის კუნძულზე ყოფნის პერიოდში იქ დაახლოებით ორიათასი კაცი ცხოვრობდა, და სტუმრებმა იხილეს მრავალი ქანდაკება კვარცხლბეკიდან იყო გადმოგდებული და იქვე, მის ძირში ეგდო პირქვე დამხობილი.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე კუნძულს აღარავინ წვევია და მას მოულოდნელად მიადგა ამერიკელი გემის კაპიტანი, რომელმაც „თან წამოიყვანა თორმეტი მამაკაცი და ათი ქალი. როდესაც სამი დღის მგზავრობის შემდეგ მან ტყვეები გემბანზე გამოუშვა, მამაკაცები მყისვე ზღვაში გადაეშვნენ და გაცურეს აღდგომის კუნძულებისაკენ, რომელიც ჰორიზონტს მიეფარა. კაპიტანმა ბედის ანაბარა დატოვა ისინი, უკან გამობრუნდა და ახალი თავდასხმა მოახდინა კუნძულზე.“ (ტურ ჰეიერდალი, აღდგომის კუნძულის..., გვ.33, 58-61.).

გვიან, კუნძულზე შვიდი იალქნიანი გემით მოვიდნენ პერუელები. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც არავითარ ხიფათს არ მოელოდნენ, თავს დაესხნენ პერუელები, შებოჭეს და ათასი კუნძულელი მონა ხელ-ფეხშებოჭილები ტრიუმებში ჩაყარეს, ვინც გაუძალიანდა, დახვრიტეს. ამ ტყვეებს პერუს კუნძულზე გუანი უნდა ეთხარათ. ტაიტის ეპისკოპოსის პროტესტის გამო პერუს ხელისუფლებამ ტყვეები გაათავისუფლა, მაგრამ მათ წასაყვანად სანამ გემები მოვიდოდა, ცხრაასი კაცი დაიღუპა, დარჩენილი ასი კაციდან ოთხმოცდახუთი გზაში გარდაიცვალა, მხოლოდ თხუთმეტი დაბრუნდა კუნძულზე, რომლებმაც თან მოიტანეს ყვავილის ავადმყოფობა და შავი ჭირით ამოხოცა კუნძულის თითქმის მთელი მოსახლეობა და იქ მხოლოდ 111 კაცი დარჩა ცოცხალი. (პერუელებმა აღდგომის კუნძულიდან ათასი კაცი გაიტაცეს 1862 წლის აღდგომის დღეებში).

როგორც ითქვა, კუნძული ჩილემ დაიპყრო და უკვე ჰყავს გუბერნატორი, ექიმი, მღვდელი და სხვ. კუნძულზე შევიდა ცივილიზაცია. კუნძულს ჰყავს ადგილობრივი მცხოვრები მამასახლისი. მაგრამ კუნძულზე არ იყო არც მაღაზია არც კინოთეატრი და საპარიკმახეროც კი.

კუნძულის მამასახლისი ამბობდა: – ჩვენს ენაზე „ყველას გაუმარჯოს“ ასე გამოითქმება „ია ორანა კერუა“ და ამატებს – ამ სოფელში ყველაზე უკეთესი ადგილი არის ანაკენა: „ანაკენა, – მოწიწებით წარმოთქვა მამასახლისმა, – აქ, ანაკენაში, ოდესღაც მეფეები ცხოვრობდნენ. ამ ნაპირს მოადგა ჩვენი პირველი წინაპარი ჰოტუ მატუა...

– სენიორ, – წარმოთქვა მან, – ეს ჰოტუ მატუას მიწაა. ეს ჩემი მიწაა. აქ მე მამასახლისად ვიყავი ოცდარვა წლის განმავლობაში... სწორედ ამ ადგილს მოღვაწეობდნენ ფრინველ-კაცები „ტანგატა მანუ“... ამასთანავე, ირგვლივ გადაშლილია თქმულებებით მოცული მეფეთა ველი, სადაც პირველად შედგა ფეხი ნაპირზე ლეგენდარულმა ჰოტუ მატუამ. ამაზე უკეთესი ადგილის ნატვრაც კი არ შეიძლებოდა.

გაისმა სიმღერა და მომხიბვლელი ხმა სიმებისა, რასაც თან სდევდა რიტმული ტაში, ხომალდის ნათურების შუქი კი ლამაზ ეფექტს ქმნიდა ღამის წყვდიადში და რამპის სინათლეს წააგავდა.

– ტე ტერტერ, ტე ვაკა ტე ჰოტუ მატუა!..

– ო, გო-გო! ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა...

რკალის წინ გაჩერდნენ და გააბეს ჰოტუ მატუას ძველებური სიმღერა, შესაფერისი ტაქტი აიღეს, გაჩუმდნენ, ხელახლა ამდერდნენ, ისევ გაჩუმდნენ. ასე გაგრძელდა მცირე შუალედებით შეღამებამდე, მერე კი დაიშალნენ“ (გვ. 205).

ტურ ჰეიერდალს გადმოცემული აქვს კუნძულზე მცხოვრებ მწყემსთან საუბარი, მისი სიტყვით კუნძულზე ჰოტუ მატუას გამოქვაბულები იყო, მათში დასახლდნენ ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ კუნძულის პირველი აღმომჩენი-მეფე და მისი თანამგზავრები. უფრო გვიან მათ ააშენეს თავისთვის დიდი ქოხები ლაქაშებისაგან. ჰოტუ მატუაზე კუნძულის მკვიდრნი ისეთივე სიყვარულით ლაპარაკობენ, როგორც ინგლისელი ილაპარაკებდა დედოფალ ვიქტორიაზე. აღდგომის კუნძულის მცხოვრებთა აზრით, ჰოტუ მატუას რადაცა შუა ადგილი უჭირავს რელიგიაში ადამსა და ისტორიაში კოლუმბს შორის... ჰოტუ მატუას ნასახლარზე თქვა და მიგვაცილა შემოკავებულ ტერასასთან. სადაც ყველგან ჩანდა ოდინდელი სიდიადის ნაკვალევი..

აქ, ამ ფართო მხარბეჭიანი გიგანტის გვერდით ცხოვრობდა ოდესღაც თვით მეფე ხოტუ მატუა, – მწყემსმა მოწიწებით გვიჩვენა მიწაში დღემდე შემონახული მტკიცე საძირკველი მეფის უძველესი სადგომისა. ამ საძირკველის იქით ჩანდა თავისებური ხუთწახნაგოვანი ქვის ღუმელი – ნიშანი იმისა, რომ ამ ადგილს მეფის სამზარეულო იდგა.

– სენიორ, ამავე ადგილას ააშენა თავისი პირველი სახლი ხოტუ (ჰოტუ) მატუამ, – უთხრა ტურ ჰეიერდალს მწყემსმა... ასევე, ქალი მიმართავს ტურ ჰეიერდალს: – სენიორ კონ-ტიკი – მე ჰოტუ მატუას შთამომავალი ვარ და ეს მიწა მუდამ ჩვენს გვარს ეკუთვნოდა. ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ პიროვნებები, რომლებთანაც ტურ ჰეიერდალს საუბარი ჰქონდა და გვარი და სახელით ახსენებს, ზოგიერთს მეგრული სახელი ერქვა, ტ. ჰეიერდალი წერს: „ამ კაცს ადრე ხათა ერქვა“. აშკარაა: ხათა, ხოთო მეგრული სახელებია.

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული მნიშვნელობის შეცდომა

(გაგრძელება №186-დან)

როდესაც ეს მოხდა, გურიის ერისთავი იყო ვამეყ I-დადიანის შვილი, კახაბერ დადიანი.

ე.ი. პირადი ამბიციის გამო შვილმა მამაც კი არ დაინდო, რაც თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

აფხაზეთის ერისთავმა იმავეს მისაღწევად აშკარად ანტიქართული გზა აირჩია – თითქმის ნებაყოფილებით აღიარა თურქეთის მორჩილება და დაიწყო ჩრდილო კავკასიიდან ადიღების, ბალყარების, ყაბარდოელების, ჩერქეზების და ა.შ. ჩამოსახლება, რომლებსაც იყენებდა სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, სამეგრელოს მთავარმა ლეონ II დადიანმა კელასურთან კედელიც კი ააშენა მათგან სამთავროს დასაცავად, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ აფხაზეთის ერისთავმა შარაშიამ მიაღწია არა თუ დადიანისგან თავის დაღწევას, არამედ, სამეგრელოს სამთავროს წაართვა ტერიტორია სოხუმიდან ენგურამდე (XVII-ს).

სწორედ ამ ეპოქიდან იწყება აფხაზეთისა და აფხაზების გაუცხოება ქართული სინამდვილიდან, რაშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშეს XVII-XVIII-საუკუნეებში აფხაზეთში ჩამოსახლებულმა ჩრდილო კავკასიელებმა, თუმცა, მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო და დღესაც აფხაზების რაოდენობის 10-12%-ს არ აღემატება.

მიუხედავად აფხაზეთის სამთავროს სამეგრელოს სამთავროსთან დაპირისპირებისა, ამ ეპოქაშიც აფხაზეთის სახელმწიფო ენა იყო ქართული, ხოლო აფხაზების სამეტყველო ენა მეგრული და ე.წ. „აფხაზურ-ადიღეური" ენის ხსენებაც არ იყო.

XIX-საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის რიგით „გუბერნიებად" იქცნენ.

რუსებს, რომ აფხაზეთი ისევ სამეგრელოს სამთავროში არ შეეყვანათ, შარაშიამ მათ განუცხადა თითქოს აფხაზები ქართველები (მეგრელები) არ არიან და ტიპიურ აფხაზებად მათ წარმოუდგინა ჩრდილო კავკასიელები, რომლებიც იმ ეპოქაში მთის ხალხებად მოიხსენიებოდნენ.

სხვათაშორის, ცნობილია, რომ დადიანმა სთხოვა – რუსეთის მთავრობას დაებრუნებინა ის მიწები, რომლებიც წაართვეს იმერეთის მეფემ და აფხაზეთის მთავარმა, რაც დაუკმაყოფილეს რუსებმა – დადიანს დაუბრუნეს იმერეთიდან ხონი, ვანი და ზემო საჭილაო, ხოლო აფხაზეთიდან – სამურზაყანო, ტერიტორია გურლიფშიდან მდ. ენგურამდე.

მართლაც, ეს ტერიტორიები კომუნისტურ ეპოქამდე დადიანების მფლობელობაში იყო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ აფხაზეთში გაუცხოების პროცესი უფრო ინტენსიურად წარიმართა.

სამწუხაროდ, სიტუაცია საქართველოშიც დაიძაბა და ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ვერ შეძლეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისთვის სათანადო ყურადღება მიექციათ.

არა და, აფხაზების მმართველი წრეები, რუსებთან მიღწეული პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ისევ ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდნენ, რაც აფხაზების გაუცხოების პროცესს რეალურს ხდიდა.

ისტორიიდან ცნობილია, რომ XIX-საუკუნის 70-იან წლებში ადგილი ჰქონდა აფხაზების გასახლებას თურქეთში, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ამ ეპოქაში თურქეთში არ გაუსახლებიათ არც ერთი ჩრდილოკავკასიური წარმომავლობი აფხაზი, ყველა ვინც წავიდა თურქეთში მეგრელი აფხაზები იყვნენ, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს წარმოდგენა არა აქვთ ე.წ. აფხაზურ-ადიღეურ ენაზე, მაშინ, როდესაც შესანიშნავად მეტყველებენ მეგრულად.

XIX-საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, სათანადოდ საქართველოშიც. საქართველოში ქართველებმა ეროვნებად აღიარეს იმ კუთხის დასახელება, სადაც ისინი ცხოვრობდნენ – კახელი, იმერელი, გურული, აფხაზი, აჭარელი, ხევსური, მეგრელი და ა.შ.

ქართველებად ეწერნენ ძირითადად ქართლელები და ინტელიგენცია.

სწორედ, მაშინ განხორციელდა ბოლო საუკუეებში აფხაზეთში ჩამოსული ჩრდილო-კავკასიელების აფხაზებად ჩაწერა, რაც ქართული საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა.

ანტიქართულმა ძალებმა ეს მოვლენა გამოიყენეს და აფხაზები ერად გამოაცხადეს, რასაც მოყვა ე.წ. აფხაზურ-ადიღეური ენის აფხაზების მშობლიურ ენად დაკანონება, რომელსაც საფუძვლად დაედო, თუ არ ვცდები, ადიღეური ენის ხიჩეპსური დიალექტი.

არა და, ე.წ. აფხაზურ-ადიღეურ ენაში თითქმის არც ერთი სიტყვა არაა აფხაზური, მასში ძირითადად ადიღეური და მეგრული სიტყვებია. ვფიქრობ უფრო გამართლებული იქნებოდა მას მეგრულ-ადიღეური ენა რქმეოდა, მით უმეტეს, აფხაზების მშობლიური ენა ყოველთვის მეგრული იყო.

კომუნისტურ ეპოქაშიც სიტუაცია, ფაქტობრივად არ შეცვლილა, მაგრამ ანტიქართულ პროცესებს აწარმოებდნენ არა შარაშია და თავადური წრეები, არამედ ის ბოლშევიკები, რომლებსაც გაუჩნდათ შანსი აფხაზეთის მთავრობაში მოხვედრილიყვნენ.

კომუნისტური ეპოქის პირველ წლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც შემდგომში გახდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში, რასაც აფხაზები მიიჩნევდნენ მათ დაჩაგვრად, მაშინ, როდესაც არც ერთი სტატუსი და არც მეორე არ ერგებოდათ, და აი რატომ? – არა თუ საკავშირო რესპუბლიკის, არამედ ავტონომიის სტატუსის მისაღებას აუცილებელი იყო აფხაზების რაოდენობა აფხაზეთის მოსახლეობის 30%-მეტი უნდა ყოფილიყო, მაშინ როდესაც მათი რაოდენობა 12-15%-ს არ აღემატებოდა.

სწორედ, აფხაზეთისთვის ავტონომიის სტატუსის დაკანონებისას ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას – რადგანაც უკვე თითქმის გამორიცხული იყო აფხაზეთის შემადგენლობაში სოჭი-ტუაფსეს რეგიონის დაბრუნება, გადაწყდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში მოექციათ სამეგრელოს ტერიტორია მდ. ენგურიდან გურლიფშამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავდა აფხაზეთისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება.

ამდენად, დაიჩაგრნენ არა აფხაზები, არამედ მეგრლები.

ლოგიკურია, როდესაც ამაზე არაფერს ამბობენ აფხაზები, მაგრამ აღმაშფოთებელია, როდესაც ამაზე ხმას არ იღებენ ქართველი მეცნიერები და პოლიტიკოსები.

1932 წელს საბჭოთა კავშირში შემოვიდა პიროვნების პასპორტი, სადაც პირველად იქნა შეტანილი ეროვნების რეკვიზიტი.

ბუნებრივია, ქართული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები ყველანი ქართველებად დაეწერნენ, მხოლოდ აფხაზების ლიდერებმა შეძლეს, რომ „აფხაზი" ეროვნებად დაკანონებულიყო.

კომუნისტურ ეპოქაში საქართველოში ამისთვის თითქმის არავის მიუქცევია ყურადღება, მაშინ როდესაც ეს იყო სრულიად არასწორი გადაწყვეტილება, რომელსაც საშინელი შედეგი მოჰყვა.

ყოველ შემთხვევაში, ამ ეპოქიდან თითქმის ღიად წარიმართა ქართული სინამდვილიდან აფხაზების გაუცხოების პროცესი, განსაკუთრებით 50-იან წლებიდან.

სწორედ ამ ეპოქიდან ე.წ. აფხაზურ-ადიღეური დამწერლობაში ქართული ასოები რუსული ასოებით შეიცვალა.

სხვათა შორის, ამ დამწერლობის ავტორმა დიმიტრი გულიამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა, რომ უძველესი აფხაზები ქართველები (მეგრელები) არიან, მაგრამ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და მეცნიერებს არც ამაზე გაუმახვილებიათ ყურადღება, რასაც გამართლება არა აქვს, მაგრამ ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესებისადმი აშკარად ინერტულად იყვნენ განწყობილი, რასაც მივიჩნევ ეროვნული მნიშვნელოვის დანაშაულად.

როგორ წარიმართა მოვლენები აფხაზეთში და როგორი ტრაგედიით დასრულდა, ეს მეტ-ნაკლებად ცნობილია, მაგრამ აუცილებელია გაკეთდეს ზუსტი პოლიტიკური და მეცნიერული ანალიზი თუ რამ განაპირობა აფხაზეთის საშინელი მოვლენები და დამუშავებული იქნას სახელმწიფო პროგრამა ისტორიული კანონზომიერების აღსადგენად.

XXX

P.S. აფხაზური საკითხის გადაწყვეტის მიზნით დიდი ხანია მინდინარეობს ქართულ-აფხაზური შეხვედრები, რომლებიც უცხო ქვეყნების დიპლომატებიც არიან ჩართული, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ შეხვედრაზე არ დამდგარა საკითხი თქმულიყო სიმართლე აფხაზეთზე, აფხაზებზე, აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართულ პროცესებზე, რამაც ერთ-ერთი უარყოფითი როლი ითამაშა აფხაზურ ტრაგედიაში.

არა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მავანნი გრძნობენ, რომ სიმართლის თქმამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს აფხაზური პრობლემის ობიექტურად გადაწყვეტაში, რის გამოც მათ გადაწყვიტეს დაემტკიცებინათ, რომ აფხაზები ქართველები არ არიან, მაგრამ არ გაუმართლათ, სწორედ მათი გამოკვლევებით კიდევ ერთხელ დადგინდა, რომ აფხაზები ქართველები არიან, უფრო ზუსტად აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს ერქვა აფხაზი.

ყოველ შემთხვევაში სიმართლე აფხაზეთზე შემდეგია:

– „აფხაზეთი" ეგრისის სამეფოს რიგითი საერისთაო იყო ახალი წელღაღრიცხვის I-საუკუნიდან.

– „აფხაზები" ქართველები იყვნენ, უფრო ზუსტად აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს ერქვა აფხაზი, ისევევ, როგორც ლაზიკაში მცხოვრებ მეგრელს ერქვა ლაზი, შემდგომში იმერეთში მცხოვრებს – იმერელი, გურიაში – გურული და ა.შ.

– აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული ენის აფხაზური დიალექტი, ასევე როგორც სენაკური თუ სამურზაყანოული დიალექტები.

– აფხაზებს მხოლოდ მეგრული გვარები ჰქონდათ. აფხაზურ და მეგრულ გვარებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც სენაკურ, ზუგდიდურ თუ მარტვილურ გვარებს შორის.

– აფხაზეთში ყველა ტოპონიმი მეგრული იყო, „აფხა" მეგრული სიტყვაა და „ბეჭს" ნიშნავს.

მართალია, XVII-საუკინიდან აფხაზური ტოპონიმების ნაწილი გადაკეთდა აფხაზურ სტილზე, მაგრამ ყველას ემჩნევა, რომ მეგრული ტოპონიმი იყო.

– აფხაზები, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები I-საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ.

– XVII-საუკუნიდან აფხაზეთში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელები, ადიღები, ბალკარები, ყაბარდოელები და ა.შ., რომლებიც XX-საუკუნის დასაწყისში აფხაზებად დაეწერნენ.

მართალია, მათი რაოდენობა დღესაც არ აღემატება აფხაზების რაოდების 10-12%-ს, მაგრამ მათ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშეს აფხაზურ მოვლენებში.

– XX-საუკუნის დასაწყისში ცნება „აფხაზს" დაეკისრა ეროვნულობის ფუნქცია და ჩამოყალიბდა ე.წ. „აფხაზი ერი".

– აფხაზების სახელმწიფო ენად დაკანონდა ე.წ. „აფხაზურ-ადიღეური" ენა, რომელიც რეალურად „მეგრულ-ადიღეური" ენაა, რადგანაც მასში მხოლოდ მეგრული და ადიღეური სიტყვებია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული.

ყოველივე ეს უნდა იცოდეს არა თუ ქართველმა და აფხაზმა ხალხმა, არამედ მსოფლიო საზოგადოებამ.

სწორედ ამის უთქმელობას მივიჩნევ ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად.

დამერწმუნეთ! – თუ აფხაზები ერთმნიშვნელოვნად გააცნობიერებენ, რომ უძველესი აფხაზები ჭეშმარიტი ქართველები, უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები არიან, შეუძლებელია მათ არ მოინდომონ თავიანთ ხალხში დაბრუნება.

ანზორ შონია
მკვლევარი, „ფაზისის"
აკადემიის წევრი

სამწუხარო ამბავი მოვიდა რედაქციაში – ბატონი ანზორ შონია ინსულტის შეტევის გამო მოთავსებულია ქალაქის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში და მისი მდგომარეობა მძიმედ სტაბილურია. გაზეთ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" რედაქცია, მისი ერთგული მკითხველები იმედოვნებენ, რომ სახელოვანი მეცნიერი და მკვლევარი მალე გამოჯანმრთელდება და კვლავაც გაახარებს მკითხველებს თავისი აქტუალური და საინტერესო პუბლიკაციებით.

ჯანის სიმრთელე ვუსურვოთ ბატონ ანზორს!

პოეზიის კუთხე

მარჩქილითუ

მარჩქილითუ, მარჩქილით,
გაგაგონენთ სასწაულსი.
სამარგალოშ ღულა თხომუ
გირსხაპალე მარგალურსი.
სი, მუსურე ოქრთუქ, ჯიმა,
მუშენრე ტვინ ვაიფუნსი,
მარგალურო ვაშქიდულე,
თენა გურსუ, სი ვარჭუნსი?!
ვორწყექ, მარგალობა დინუ,
მალას ვერაგადუაფუ
ჩქი თისხესი უჯიკუანთ
რობის ქენიბათქუაფუ.
ათეწკუმა მუ ფქიმინათ,
მუჟამს ვეგლებირუაფუ,
"აშო ჩელა" მემდინონან
გური მუჭომ გაცუაფუ.
ოშურეთის სქანი ბაბუს,
ნამუ ნინათ უწოლენქი,
ვარა, მუჭო დაჯერუა
სი თი კოჩიშ მოთა რექი?..
ნინა სქანი ვაწორ უნს და
მარგალ კოჩი სიკვარექი,
დუდ ვეღორა, შხვა ვაღორა,
კოჩანური კოჩი რექი.
ირ ნაბიჯის ქიგიშინი,
მინ რექი დო სო მეურქუ,
მარგალობაქ მეგიდინ და
უჯგუ, გაშქოლასუ შურქი.
მუში ნინაშ გამაჯოგე
დღასუ ვემანგარენს წელსი,
სოთინ თინა ვეშქირე,
ვართ ღურელს დო, ვართი თელსი!

ავერიკო თორია

კათოლიკოს-პატრიარქი – სულიერი საუნჯის შეგროვების მნიშვნელობაზე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სულიერი საუნჯის შეგროვების მნიშვნელობაზე იქადაგა. როგორც მან საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებენ რაიმეს. მისი თქმით, ბავშვობაში თავად თანატოლებთან ერთად მარკებს აგროვებდა და იყვნენ ისეთებიც, ვინც ფულს აგროვებდა. უწმიდესისა და უნეტარესის განცხადებით, მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანები მატერიალური საუნჯის დაგროვებაზე ზრუნავენ, აგროვებენ და არ იციან – რისთვის.

„ხშირად შვილებს ვუგროვებთ და ვუტოვებთ, თუმცა მათ როგორც მიიღეს, ისევ ქარი წაართმევთ და არ დააფასებენ თქვენს შრომას",– აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა და მრევლს სახარებიდან ამონარიდი შეახსენა, როდესაც უფალთან ახალგაზრდა ჭაბუკი მიდის და ინტერესდება, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მოხვდეს სასუფეველში.

„უფალმა უთხრა – არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა... ეს ჭაბუკი ძალიან მდიდარი იყო და უფალმა მას ურჩია გაეყიდა მთელი თავისი ქონება, დაერიგებინა ღარიბებისთვის და მას გაჰყოლოდა. ჭაბუკი დამწუხრდა და წავიდა, რადგან ძალიან მდიდარი იყო",– აღნიშნა უწმიდესმა და უნეტარესმა. მისი თქმით, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა უნდა შეაგროვონ და რისთვის უნდა შეაგროვონ.

„ხშირად ადამიანები აგროვებენ საუნჯეს, რომელიც მიაცილებს მხოლოდ სამარის კარამდე, შემდეგ კი რჩება. იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც დარჩენილ ქონებაზე ჩხუბი ატყდა და ამას ერთი ადამიანი შეეწირა კიდეც. უნდა გვახსოვდეს, რისთვის მოვედით ჩვენ, სად მივდივართ და რას წავიღებთ. ღმერთმა ინებოს, რომ გაგვეხსნას გონება და ყოველმა ჩვენგანმა დაინახოს, სად არის საუნჯე ჩვენი და რა უნდა ვიუნჯოთ. ის საუნჯე, რომელიც მიგვაცილებს მხოლოდ სამარის კარამდე, თუ ის, რომელიც საიქიოშიც გამოგვყვება", – აღნიშნა უწმიდესმა და ისურვა, რომ ღმერთმა მთელ ერს მისცეს სულიერი საუნჯე.

"ცოტა ლენინიზმი" ანუ რით გვაშინებს თვითონ შეშინებული ვერულაშვილი, თავისი "გამაუპატიურებელი" დეკლარაციებით

"ცოტა ლენინიზმი" საარჩევნო კამპანიაში, ბევრი პრობლემა საარჩევნო სიებში, კმაყოფილი ოპოზიცია, მცირედ შეშფოთებული ხელისუფლება, – ასე მოკლედაც შეგვიძლია დავახასიათოთ განვლილი კვირა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ რიკარდო მილიორის მიერ ნახსენებმა ტერმინმა – "ლენინიზმი", გვარიანად შეარყია ჩვენში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები: ვინ მილიორი სულელად გამოაცხადა, მერე კი თავისი სიტყვები უკან წაიღო, ვინ განაცხადა, ეს სიტყვები მმართველ პარტიას დააკვდა ზედო, ვინ კიდევ იძახდა, მილიორი ოპოზიციაზე ლაპარაკობდაო. თუმცა, მგონი, ყველა უფრო იმაზე უნდა ვდარდობდეთ, ევროპელმა დიპლომატმა ზოგადად ლენინიზმის ნიშნები რომ დაინახა ოდესღაც "დემოკრატიის შუქურად" გამოცხადებულ ქვეყანაში. მოკლედ, მიინავლა შუქურა, როგორც ჩანს.

საქართველოს მოსახლეობა უკვე კარგა ხანია ადევნებს თვალს ორგანიზაცია "საქართველო არ იყიდებას" მიერ მომზადებულ ვიდეოკლიპებს, როლებიც ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად და რომელსაც სატელევიზო ეთერში "ნაციონალური მოძრაობა" საკუთარ სარეკლამო დროს უთმობს. მოკლედ, მართალია, გიგა ნასარიძე გვიმტკიცებდა, მე და ჩემმა მეგობარმა, როგორც კერძო პირებმა ისე ვაჩუქეთ ეს კლიპები "ნაციონალურ მოძრაობას" და უკანონო არაფერი ჩაგვიდენიაო, მაგრამ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის გადაწყვეტილებას ამ საჩუქრის უკანონობის თაობაზე მაინც დიდი სიხარულით შეეგება, გაიძახის – ღირსეულად დავისაჯეთ, ჰოდა, დაგვაჯარიმეთ როგორც შეგიძლიათ, დაგვაჯარიმეთო. ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს რომ არ აეტეხათ ერთი ამბავი, არიქა, ნასარიძე კანონს არღვევსო, ალბათ, მოგელაძის სამსახურს არც კი დაესიზმრებოდა ამ საქმის შესწავლა, თუმცა შეისწავლა და... ასე ავიწროებენ "ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის სადარაჯოზე მყოფ ნასარიძესა და მის ორგანიზაციას, თუმცა თვითონ ამით ისეთი ბედნიერია...

"ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატმა მარიკა ვერულაშვილმა ყვარლის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოსახლეობასთან შეხვედრისას იმგვარი სკანდალური ამბავი გაახმაურა, უკვე რამდენიმე დღეა, ქართულ სოციალურ ქსელებში მეტი სალაპარაკო არაფერია. მოკლედ, ქალბატონ მარიკას ისეთი კადრები ჰქონია ნანახი, 2008 წლიდან მოყოლებული შიშისგან სულს ვეღარ იბრუნებს თურმე და ახლა უკვე ჩვენც გვაშინებს: "ისეთი კადრები მაქვს ნანახი, რა მოაქვს რუსის ჯარს და რა გველოდება... 106 ლარი კი არა, საკუთარი თავი დაგავიწყდებათ. კადრები მაქვს, 106 წლის მოხუც ქალს, რომელიც სახლიდან ვერ გაიყვანეს, ხუთი რუსი ჯარისკაცი რიგრიგობით როგორ აუპატიურებს, აი, ეს გველოდება ჩვენ", – განაცხადა ვერულაშვილმა. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე უფრო იაფფასიანი და უხეირო წინასაარჩევნო განცხადება არ მომისმენია... თანაც, როგორც ჩანს, ვერულაშვილს რაღაც სექსუალური ასოციაციები აწუხებს, როცა ასე "წვნიანად" იხსენებს ქალის გაუპატიურების ამბავს და სიღარიბისაგან ისედაც დაზაფრულ მოსახლეობა აშინებს: "რა დროს პენსია, საჭმელი ან სასმელია! მალე, ბიძინა ივანიშვილთან ერთად საქართველოში რუსი შემოვა, შენც გაგაუპატიურებენ, მეც და ტრიფონიასაცო!". მეორეც – სააკაშვილს რომ რუსი ჯარისკაცების მიერ 106 წლის დედაბრის გაუპატიურების ფაქტზე რამე შეეტყო, როგორ გგონიათ, მთელ მსოფლიოს არ დააყენებდა ფეხზე?

კიდევ კარგი, ვინმემ არ ჰკითხა ვერულაშვილს, შენ სად იყავი მაშინ, იმ დედაბერს რომ აუპატიურებენო, თორემ რა ვიცით, რას უპასუხებდა...

მოკლედ, როგორც რუსები ამბობენ: "Ври, но в меру". მაგრამ, რა ჰქნას ქალმა, თუ უკვე მივიწყებული რაღაც-რაღაცეების "ეშინია"?

ქართველები კი, ასეთ მძიმე სექსოპათოლოგიურ შემთხვევაზე, არც მთლად ხუმრობით ამბობენ: "მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა"!

P.S. ანეკდოტი: *ღმერთმა დაიბარა ობამა და სააკაშვილი და განუცხადა, ერთი თვის შემდეგ დედამიწა განადგურდება, წადით, მოსახლეობას აუწყეთ ეს ამბავიო. ობამა შეკრებს ამერიკელებს და განუცხადებს: უნდა გაუწყოთ ორი ამბავი – კარგი და ცუდი. კარგია ის, რომ დავრწმუნდი, ღმერთი არსებობს, ცუდი კი ის არის, რომ ერთი თვის შემდეგ დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდებაო. საქართველოში ჩამოსული სააკაშვილი კი იწვევს საგანგებო ბრიფინგს და აცხადებს: – ჩემო ძვირფასო ხალხო! უნდა გაცნობოთ ორი მეტად სასიხარულო ამბავი! პირველი – ღმერთმა ღირსეულ პრეზიდენტად მცნო, რადგან ყველაზე გავლენიანი ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად მიმასპინძლა, მეორე – კაცობრიობის არსებობის დასრულებამდე მე ვიქნები თქვენი პრეზიდენტიო.*

ნიკოლოზ მჟავანაძე: "ეს ბახმაროს რეაბილიტაცია კი არა, განადგურებაა"

სააკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ბახმარო მალე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი იქნება, რომელსაც დამსვენებელი ზამთარ-ზაფხულ არ მოაკლდება. ამ საკითხზე გვესაუბრება "ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე გვესაუბრება:

– ბახმაროს რეაბილიტაცია ერთი საათამაშო მოედნით, ამფითეატრითა და სასტუმროთი არ ამოიწურება. იქ ელემენტარული პირობები არ არის. სინამდვილეში ბახმაროს რეაბილიტაცია კი არა, მისი განადგურება ხდება. ბახვისწყლის ხეობაში შენდება 5 ჰიდროელექტროსადგური, ჰესების კასკადი, რაც ბახმაროს უნიკალურ კლიმატს რადიკალურად შეცვლის. ამ ჰესების გამო ათეულობით ჰექტარი ტყის მასივი უნდა განადგურდეს და თუ ბახმაროში, ბახვისწყლის ხეობაში ეს უნიკალური ფლორა და ფაუნა არ იქნება, რა აზრი აქვს იქ თუნდაც სასტუმროების მშენებლობას? ეს დანაშაულია.

– ინვესტორი ვინ არის, სამშენებლო სამუშაოებს ვინ წარმართავს?

– ჰესებით სარგებლობის უფლებით თურქული კომპანია "ქეი-ჯი-ემი" ისარგებლებს, რომელსაც ამ სფეროში დიდი გამოცდილება არ აქვს, სამშენებლო სამუშაოებს ატარებს დეველოპერული კომპანია "ჯორჯიან ჰიდრო ფაუერი", რომლის უკან დგას ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი "ზარალა" – გიორგი რამიშვილი. ამ ხუთი ჰიდროელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 57 მეგავატი იქნება, რომელიც შემდეგ 110-კილოვატიანი ხაზით თურქეთს გადაეცემა, ფაქტობრივად, ეს ჰესები თურქეთს მოემსახურება, ადგილობრივ მოსახლეობას კი სარგებელი არ ექნება. მსოფლიოში საკურორტო ზონაში ამგვარ ჰესებს არავინ აშენებს. მიკროკლიმატი შეიცვლება და მერე გინდა "შერატონი" ააშენონ, გინდა –- "ქორთიარდ მერიოტი". თუ ჰესები აშენდა, ბახმაროს ყოველგვარ რეაბილიტაციას აზრი დაეკარგება. არადა, ბახმარო მსოფლიო მასშტაბის მართლაც უნიკალური კურორტია, რომელიც ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარეობს.

ნ. კვიტაშვილი

რეალობის დამახინჯება ბიბლიური ცოდვაა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ნაწილის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სამართლიანი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია „ასავალ-დასავალში" (№34) დაბეჭდილმა ინტერვიუმ სანდრო ბრეგაძესთან და იმავე გვერდზე მოთავსებულმა ფაბრიკაციამ, სადაც ბატონ ზვიად გამსახურდიას, სულიერი ძმის მერაბ კოსტავას ნაცვლად, როგორც ეს აღბეჭდილია ორიგინალურ ფოტოზე, გვერდს „უმშვენებს" ე.წ. „ქართული ოცნები"-ს ლიდერი ბიძინა ივანიშვილი. მართალია, ა.წ. ივნისში, გაზეთ „ვერსიისთვის" მიცემულ ინტერვიუში სანდრო ბრეგაძე ქედმაღლურად და თავდაჯერებულად აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობის ერთადერთი სამართალმემკვიდრეა მოძრაობა „ეროვნულები" (თუმცა, არ აკონკრეტებს ვინ უბოძა ეს სამართალმემკვიდრეობა), ამავდროულად კატეგორიულად ემიჯნება იმ ადამიანებს, რომლებიც დღემდე საფუძვლიანად ითხოვენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, უფრო მეტიც, სულაც „არ აინტერესებს ის ხალხი, ვისაც უტოპიური იდეაფიქსები აქვს და მარგინალიზმისკენ მის მისწრაფებას ვერაფერი აჩერებს", მაგრამ, მაინც, თავს უფლებას ვაძლევ ჩემი აზრი საჯაროდ გამოვხატო თუ კი ამის შესაძლებლობას რომელიმე გაზეთი მომცემს.

დღეს ისეთი ვითარებაა საქართველოში შექმნილი, რომ თუ არც არსებულ რეჟიმს უჭერ მხარს და არც „ქართულ ოცნებას", მაშინ სამშობლოს მტრად, მოღალატედ ითვლები და აზრის გამოთქმის უფლება არ გაქვს. წარმატებით მუშაობს ფორმულა: „შუა უნდა გაიკრიფოს" (რატომღაც, ჯაბა იოსელიანის საყოველთაოდ ცნობილი თეზა: „ყველას მინუს ერთი" – გამახსენდა). როგორც ჩანს, სწორედ ეს ფორმულა და არა რაიმე კონკრეტული იდეა აკავშირებს სანდრო ბრეგაძეს „ქართულ ოცნებასთან". არც ერთმა და არც მეორემ არ იცის, ან არ სურთ იცოდნენ, რომ ე.წ. „შუა" მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც მუდამ იდეა აკავშირებდა, დღესაც აკავშირებს და კვლავაც ძალუძს იდეისთვის, სამართლიანობისთვის, კანონიერებისთვის თავგანწირული, უკომპრომისო, უანგარო ბრძოლა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ყურადღებით ვადევნებ თვალყურს როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე სანდრო ბრეგაძის პუბლიკაციებსა თუ ზეპირ გამოსვლებს, მაგრამ არსად წამიკითხავს და მომისმენია თუ რა იდეამ გააერთიანა ისინი ან რა კონკრეტულ იდეას სთავაზობენ ეროვნული იდეოლოგიის მატარებელ ხალხს. „ეროვნულებისა" და ივანიშვილის აზრთა აბსოლუტური თანხვედრა, როგორც თავად ბრეგაძე ერთ-ერთ ინტერვიუში განმარტავს, იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული იდეოლოგიის აპოლოგეტს ყველაზე მეტად თურმე ის ხიბლავს და აღაფრთოვანებს, რომ ივანიშვილი „რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიის გაბატონების მომხრე კი არაა, ყველა მიმართულების განვითარება და მრავალპარტიული პარლამენტი სურს ქვეყანაში". პირადად მე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი და რიგითი ქართველი, ნაკლებად დავინტერესდებოდი ბრეგაძისა და ივანიშვილის პოზიციებითა და აზრთა თანხვედრით, მოძრაობა „ეროვნულები" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ სამართალმემკვიდრედ თავს რომ არ აცხადებდეს და საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელითა და ფოტოსურათებით არ მანიპულირებდეს. „ქართულ ოცნებაში" აწ უკვე „ინტეგრირებული" „ეროვნულები" ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით კი სამეგრელოს მოსახლეობის გულის აჩუყებას ცდილობენ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით: „ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ საქართველოს სათავეში „ქართული ოცნების" სახით პირველად მოვა ეროვნული და პატრიოტული ხელისუფლება". ბრეგაძისა და მისი თანამებრძოლების აღმაფრენისა და რწმენის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საფუძველს იძლევა ივანიშვილის გამონათქვამი: – „ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იყო პირველი და დღემდე ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება საქართველოში". ქართველი საზოგადოება, მათ შორის სამეგრელოს მოსახლეობა ეჭვს არ შეიტანდა მათ გულწრფელობაში ბიძინა ივანიშვილს, ამ სიტყვების წარმოთქმამდე რამდენიმე თვით ადრე, პოლიტიკურ არენაზე ახალგამოსულს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ დღემდე ჭეშმარიტი ქართველებისთვის (და არა მხოლოდ ქართველებისთვის) ზვიად გამსახურდია გმირობის, სამშობლოსთვის თავგანწირვის, დაუღალავი ბრძოლის, კაცთმოყვარეობის, სამართლიანობის, ღირსების, სინდისის საზომად რჩება, ზვიად გამსახურდია რომ არ მოეხსენიებია აუგად, რაც ინტერვიუდან ჟურნალისტის მიერ მიზანმიმართულად ამოღების მიუხედავად, ფართო საზოგადოებისთვის მაინც გახდა ცნობილი. ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილის გულწრფელობაში, სამართლიანობასა და ეროვნულობაში ეჭვს არ შეიტანდა, თუ კი ის საჯაროდ აღიარებდა იმ ფაქტს, რომ დღემდე არსებული ყველა ხელისუფლება, ყველა არჩევნები უკანონო და ფიქციაა და რომ დღეისათვის საქართველოში არსებული ყველა პრობლემის გადაჭრის ერთადერთი, სამართლიანი და მშვიდობიანი გზა კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა.

სანდრო ბრეგაძე თავს უფლებას აძლევს ილაპარაკოს არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, არამედ სამეგრელოს მთელი მოსახლეობის სახელითაც, რომელიც თურმე სრულ მზადყოფნაშია უყოყმანოდ ჩადგეს იმ ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში, რომელსაც გიორგი ჭყონდიდელის, ილია ჭავჭავაძის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, მერაბ კოსტავას დარად წაუძღვება ბიძინა ივანიშვილი და მათ მიერ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს. ცხადია, ბრეგაძეს ძალუმად სწადია სამეგრელოს მოსახლეობა დაარწმუნოს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, იმ მიზნით, რომ „ეროვნულებმა" ზუგდიდში სექტემბრის თვეში დაგეგმილ „ქართული ოცნების" აქციაზე 20 ათასზე მეტ ადამიანს მოუყაროს თავი. სამწუხაროდ, ავიწყდებათ, რომ ქართველი ხალხი დღეს ვინმეს ბოლომდე რომ ენდოს ამისთვის, მცირე ხნით მაინც, უკან იხედება, საგულდაგულოდ აკვირდება ვინ რა გზა გაიარა, რათა კიდევ ერთხელ არ დარჩეს მოტყუებული, გაცუცურაკებული, იმედგაცრუებული.

ამჟამად, წერილის მიზანი სულაც არ არის ბრეგაძის ინტერვიუში მოხმობილი ჩვენი ღირსეული, საამაყო წინამორბედებისა და „ქართული ოცნების" კოალიციის წევრების მიერ განვლილი გზების შეპირისპირება და შეფასება. ქართველი საზოგადოება ამას თავად შეძლებს. გვინდა ყველა იმ პარტიას, პიროვნებას, ვინც ბატონი ზვიადის სახელით, ფოტოსურათებით, სამფეროვანი დროშებით ცდილობს გაიკვლიოს თბილი სავარძლებისაკენ მიმავალი გზა, მოვუწოდოთ რომ იარონ, იარონ და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი სახელითა და საკუთარი ავტორიტეტით, მით უმეტეს, იმ საჩოთირო არჩევნების წინ, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დადგენილებით და საერთაშორისო სამართლითაც დღემდე უკანონოდ ითვლება. საქართველოს ჰყავს კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, რომელმაც ამ ორიოდე თვის წინ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნა მიმართვა ქართველი ერისადმი და რომელიც, სამწუხაროდ, არც ერთმა „დემოკრატიულმა" გაზეთმა არ დაბეჭდა გარდა „ილორი"-სა (იხ. 3-10 ივნისი, 2012 წ.). კომპეტენტური, უფლებამოსილი პირების გზავნილი უცხოეთიდან პირდაპირ და ნათელ პასუხს იძლევა კითხვაზე: – „აბა რა ვქნათ?"...

და ბოლოს, ყველა სკეპტიკოსის გასაგონად კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ კანონიერი ხელისუფლება აღდგება საქართველოში, აღსრულდება ნება ღვთისა, ნება ერისა, საქართველოს მოსახლეობა გულწრფელად გაიხარებს და იზეიმებს.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი.

ეთერ მგალობლიშვილი

უბედური საქართველოვ საით მიდიხარ!!!

(„ვარდების რევოლუცია“ და სახელმწიფო კანიბალიზმი)

როგორც ჩანს, აკაკი ბობოხიძემ იმდენად დაბალი დონის სასწავლებელი დაამთავრა, რომ მას თავის დროზე ლოგიკის ზოგადი კურსი არ უსწავლია და ბუნებრივია, ლოგიკის ელემენტარულ კატეგორიებსაც არ იცნობს. მისი მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული უცნაური განცხადებიდან გამომდინარე, პოლიტიკურად მეძავ საპარლამენტო ოპოზიციას მისთვის სანდრო გირგვლიანის ნამდვილი მკვლელების დასახელება უნდა მოეთხოვა. სამწუხაროდ, დისკუსია ამ მიმართულებით შეგნებულად არ წარმართეს და გასული საუკუნის 30-იანი წლების კომკავშირელის დონეზე მოაზროვნე ა. ბობოხიძე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენეს. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, ზემოაღნიშნულ კითხვაზე ა. ბობოხიძის მსგავს „კანონშემოქმედებით“ ადამიანებს დასაბუთებული პასუხის გაცემას ოფიციალურად მოსთხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯაროდ ბოდიშს მოახდევინებდნენ. საუბედუროდ, „ნაციონალურ-კანიბალისტური“ პარტიის წევრებისათვის ყველაფერია დასაშვები და საპატიებელი. უკანონობის ამ უზენაესობამ და უზნეო განცხადებების ოფიციალურად გაკეთებამ, გირგვლიანების ოჯახის წევრებს განუზომელი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან წელიწადნახევარში დარდისა და ნერვიულობისგან უსამართლობასთან შეუპოვარი მებრძოლი ქალბატონი ირინა ენუქიძე გარდაიცვალა, შემდეგ ბებია – ქალბატონი ეთერ ფალავანდიშვილი და ბაბუა ჯიმშერ ენუქიძე. ჯერ-ჯერობით ცოცხლად დარჩენილი გურამ გირგვლიანი, დღევანდელ სახელისუფლებო კანიბალიზმს ვაუკაცურად უმკლავდება და გამარჯვების იმედის რწმენა აცოცხლებს.

ბოლშევიზმისა და ფაშიზმის ისტორიის მწარე გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი დიქტატურის შენარჩუნება სამ ძირითად ფაქტორზე იყო და არის დაფუძნებული: ა)იდეოლოგიური ზემოქმედებით მასის მაქსიმალური გამოთაყვანება– „შავის და თეთრის“ ვერგარჩევის დონეზე დაყვანა; ბ)ხელისუფლებისათვის მიუღებელი და საღად მოაზროვნე ადამიანების „ქვეყნისა და ხალხის მტრად“ გამოცხადება; 3)სახელმწიფო სამოქალაქო სისტემის საპოლიციო რეჟიმში მოქცევა. თუკი საქართველოს დღევანდელობას სიღრმისეულად გაავანალიზებთ, ნათელი გახდება, რომ მ. სააკაშვილის მმართველობის სისტემა, ზემოაღნიშნულ სამივე ფაქტორს ემყარება. წარსულთან შედარებით, სააკაშვილ-მერაბიშვილ-ახალაიების ტანდემი, კანიბალური აზროვნების პათოლოგიური გამოვლინების პარალელურად, საზოგადოებაზე შიშის ფსიქოლოგიური ზემოქმედებითაც წარმატებით მუშაობს. განსაკუთრებული თვალსაჩინოების ადგილებში შემინული პოლიციის შენობების მშენებლობები მაქვს მხედველობაში. ამით საზოგადოებას პირდაპირ ეუბნებიან: „გეშინოდეს ჩვენი“! ამ დევიზით მოქმედებდა კანიბალისტური ცნობიერების მქონე ადამიანების ბაზაზე შექმნილი „მხედრიონელთა“ ორგანიზაცია. მისმა წევრებმა დაუდეს სათავე იმ შემზარავ მკვლელობებს, რომელიც სამეგრელოს რეგიონიდან გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს. მხედველობაში მაქვს რუსთავის „მხედრიონის“ წევრების მიერ ქალაქ ზუგდიდში 1993 წლის 8 ნოემბერს ჩადენილი ამაზრზენი მკვლელობების ფაქტი. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრე ტყვედაყვანილი სამი გვარდიელი (ლევან ფაღავა, შალვა ცინცაძე – მესამის ვინაობა დაუდგენელია) მხედრიონელების – დავით გუჯეჯიანისა და დავით გულორდავას ბრძანებით დახვრიტეს, გვამები სოფელ ჭითაწყარის სანაგვეზე ჭაობიან ადგილებში გადაყარეს. ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული საქმის ძიება როლანდ ახალაიას ჰქონდა მინდობილი. გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მისივე ინიციატივით ძიების პროცესი მოულოდნელად შეწყდა და საქმეც დაიხურა. ამ ფაქტიდან 10 წლის შემდეგ, იგივე საკითხი ცნობილმა ჟურნალისტმა დ. ჩუბინიძემ ისევ „გააცოცხლა“ და საქართველოს გენერალურ პროკურორს ნ. გვარამიას პრესის საშუალებით ოფიციალურად მიმართა. „ბატონო ნიკა,– ვკითხულობთ განცხადებაში – გამოითხოვეთ სისხლის სამართლის საქმე №5393869 და ჰკითხეთ ცნობილი ზუგდიდელი მანიაკების – დათა და ბაჩო ახალაიების მამას – სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორს როლანდ ახალაიას, რატომ, რა უფლებით, ვისი ბრძანებით არ მიიყვანა ამ ამაზრზენი მკვლელობის გამოძიება ბოლომდე? ბატონო ნიკა, დაკითხეთ მოწმე ანზორ დამიანეს ძე სართანია, ის თქვენ საინტერესო ამბავს გიამბობთ.“ სამწუხაროდ, ამ სამართლიან მოთხოვნას არანაირი რეაგირება არ მოყოლია. იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალების მიხედვით, ჩნდება ეჭვი, რომ რ. ახალაიას მიერ საქმის მოულოდნელად შეწყვეტა, ზემოაღნიშნულ მკვლელობაში მისი ერთ-ერთი შვილის ფიგურირების ფაქტით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ეს რომ არა, ქვეყნის გენ.პროკურორი დ. ჩუბინიძის განცხადებასთან მიმართებაში გარკვეულ რეაგირებას გააკეთებდა.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტი ერთი მაგალითთაგანია იმ კანიბალისტური ქმედებებიდან, რომელიც ზ. გამსახურდიას მხარდამჭერების წინააღმდეგ ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ და ჯ. იოსელიანის „მხედრიონელთა“ დაჯგუფებამ განახორციელა. ქვეყნისა და საზოგადოების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ მებრძოლი „ჯაბაისტი მხედრიონელების“ აქტიური წევრები, დღეს სახელისუფლებო შტოებშია გადანაწილებული (პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო და ა.შ.) მათი ყოველი ქმედება, „მხედრიონელთა“ წინა წლების სამარცხვინო ფუნდამენტზეა დაშენებული. „ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო“ უთქვამს ჩვენს წინაპრებს. უდანაშაულო ადამიანების მკვლელობების აუცილებლობა, ნაციონალ-ფაშისტური ხელისუფლების ზოგიერთ მინისტრებს შიზოფრენიის ნიშნებივით ისე მოულოდნელად წამოუვლის, რომ მათი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთ რეცეპტს ადამიანის სისხლით ხელების გადაბანვა წარმოადგენს. ქვეყნის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ პოლიციის რიგები ასეთი ავადმყოფური სენით დაავადებული პიროვნებებით იქნა შევსებული. ამის საუკეთესო დადასტურებას, ხელისუფლების მხრიდან სატრაბახოდ ქცეული პოლიციელების მიერ უდანაშაულო ადამიანების მკვლელობები წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არსებული მასალების გაცნობა და პოლიციელთა დანაშაულებრივი ქმედებების ანალიზი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განყოფილების „სამუშაო გეგმის“ შემადგენელი ნაწილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის დადასტურების ერთ-ერთ გამოვლინებას პოლიციელთა მხრიდან 2006 წლის 23 თებერვალს სოფ. ვარციხის (ბადდადის რაიონი) ხიდთან სამი უდანაშაულო ახალგაზრდის ავტომატური იარაღით ჩაცხრილვა წარმოადგენს. მხედველობაში მყავს ბუთხუზ კიზირია – 25 წლის, ზვიად გაბუხარდია – 31 წლის და ვალერი ბენდელიანი – 28 წლის. ეს ახალგაზრდები ქუთაისიდან ვარციხეში წვეულებაზე დაქირავებული ტაქსით მიდიოდნენ. ექსპერტიზის დასკვნით, ბუთხუზ კიზირიას 53 ტყვია ქონდა მოხვედრილი, ერთი იღლიის ქვეშ. ზვიად გაბუხარდიას 19, ვალერი ბენდელიანს 28. პოლიციისადმი დამორჩილების მიუხედავად, თითოეულ მათგანს ავტომატური იარაღის სრული ჯერი ქონდა მიშვერილი. მართალია, პოლიციელთა მხრიდან მოკლული ახალგაზრდების უდანაშაულობა დამტკიცდა, მაგრამ დამნაშავენი არავის დაუსჯია. პირიქით, მომხდარი ფაქტი „წარმატებულ ოპერაციად“ შეფასდა და მისი შემსრულებელბი შინაგან საქმეთა სამინისტრომ საფეხურებრივად დააწინაურა. ვალერი ბენდელიანისადმი (მოკლული ბუთხუზ ბენდელიანის მამა) ნ. ბურჯანაძის და მ. სააკაშვილის მხრიდან მიცემული პირობა – „საქმეს პირად კონტროლზე ავიყვანთო“, იმ ფორმით „შესრულდა“, რომ ძიების პროცესი შეგნებულად „მიაფუჩეჩეს“ და მომხდარი ფაქტის ცოცხალი მოწმე – ტაქსის მძღოლი გია ჩიტაიშვილი საქმეს ჩამოაცილეს, ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით სამუშაოდ საბერძნეთში გაუშვეს.

საქართველოს მომავალი თაობების ამოსაწყვეტად ამოქმედებულ სიკვდილის ცელს, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ვ. მერაბიშვილი და მისი ხელქვეითები წარმატებით იქნევდნენ. მოსახლეობის პერმანენტული შიშის ქვეშ ყოფნის ერთადერთ აუცილებელ საშუალებად, ახალგაზრდებისაგან ქვეყნის მოქალაქეების „გამოხშირვა“ მიაჩნდათ. ამ მიმართულებით გატარებული ნებისმიერი დონისძიების მაღალი ეფექტურობისა და საზოგადოების ფსიქოლოგიურად დათრგუნვის მიზნით, მათ მიერ დაგეგმილი მკვლელობათა სერიალები, დღისით ხალხმრავალ ადგილებში იყო გათვალისწინებული. არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ამორჩეული მსხვერპლი დამნაშავე იყო თუ არა. ქუჩაში ნებისმიერი გამვლელი ახალგაზრდა, ან პროვინციიდან სტუმრად ჩამოსული და ტაქსიდან გადმოსული პიროვნება, პოლიციის ფორმაში გადაცმული კანიბალების გასროლილი ტყვიების მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო. ამის ცოცხალ მაგალითს აჭარიდან, ჩამოსული სამი ახალგაზრდის (ბადრი გორგაძე – 21 წლის, მარადი ართმელაძე – 22 წლის, რომანი სურმანიძე – 18 წლის) სამგორში მანქანიდან გადმოსვლისთანავე ადგილზევე ჩაცხრილვის (2006 წლის 13 იანვარი) ფაქტი წარმოადგენს. მართალია, ამ ახალგაზრდების უდანაშაულობა მალევე დამტკიცდა, მაგრამ დამნაშავენი არავის დაუსჯია. ხელისუფლების მხრიდან ადამიანის სიცოცხლისადმი ასეთი ჰაიჰარად დამოკიდებულება, საქართველოს მოსახლეობის უპასუხისმგებლობის შედეგია. მით უმეტეს, ერისა და ბერის მიერ კონსტიტუციურად მონიჭებული სწორი არჩევანის უფლების გადამწყვეტ მომენტში 20 ლარად „გაყიდულ“ შედეგებს დღეს ვიმკით. მხედველობაში მაქვს ძალოვანი სტრუქტურებისგან განსაკუთრებული თავგასულობის დემონსტრირება, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას 2008 წლის 8 მაისს პოლიციის მიერ 32 წლის გიორგი გამცემლიძის მკვლელობა წარმოადგენს. აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში ყველაზე დიდი ცინიზმი იმით გამოვლინდა, რომ ღმერთისა და ბუნებისგან ნაჩუქარი სიცოცხლის ნაადრევად ხელყოფისათვის, პოლიციის მუნდირში გამოწკეპილ ვახტანგ აბუაშვილს სამართლომ მხოლოდ 2 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ეს არის იმ უგვანო გადაწყვეტილების შედეგი, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა წინა წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს გავაკეთეთ.

დამნაშავე პოლიციელებისადმი ხელისუფლების მიერ მფარველობის კალთის გადაფარებით, საქართველოს მოსახლეობას ერთხელ კიდევ მიანიშნეს, რომ პოლიციელის სანიმუშოდ დასჯას არ დაუშვებდა, რადგან: ა) ძალაუფლების შენარჩუნებისა და სამომავლოდ გაწერილი გეგმების შესრულების საიმედო დასაყრდენს სახელისუფლებო ჩინოვნიკები პოლიციელში ხედავდა; ბ) დაუსჯელობის ზემოაღნიშნული ტენდენციის სახელმწიფოებრივ რანგში აყვანა, პოლიციელს უკანონო მითითებების მონურ შემსრულებლად აყალიბებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავ სისტემაში მომუშავე პოლიციელის ზომბირება პერმანენტული ფორმით მიმდინარეობდა და მისგან XXI საუკუნის კანიბალის კლონს ქმნიდნენ. პოლიციელების მიერ შეძენილი კანიბალისტური თვისებები, ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გურამ შარაძის საჯარო მკვლელობით ერთხელ კიდევ აშკარად წარმოჩინდა. მომხდარი ფაქტით, ქართულ წიაღში ამოზიდულმა ჰაოსიანთა მოდგმის შთამომავალმა მ. სააკაშვილმა, მიწაზე მფორთხავმა ქართველთმოძულე კანიბალმა „სარდალმა“, საქართველოზე და ქართულ კულტურაზე უზომოდ შეყვარებულ საღად მოაზროვნე ადამიანებს „საუკუნის ომი“ გამოუცხადა. ბრიყვი ქართველების ხელშეწყობით და „ვარდისფერის“ წამოსასხამით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდა კანიბალები, გურამ შარაძეში ეროვნული ცნობიერების ფუნდამენტის განმტკიცებელს ხედავდნენ. მათ კარგად ჰქონდათ გაზრებული, რომ ცოცხალი გურამ შარაძის საქმიანობის ფონზე, ალენ დალესის გეგმაზე დაფუძნებული მასონთა იდეების საქართველოს სინამდვილეში განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. მით უმეტეს, გურამ შარაძის დონის მაღალი ინტელექტისა და ამოუწურავი ენერგიის მქონე ადამიანის იდეოლოგიურ ფრონტზე დამარცხება, წიგნთა მოძულე და ქუჩაში მოხეტიალე „კმარელთა“ რიგებიდან გამოსული „ვარდოსნების“ ხელისუფლების მხარდამჭერებს ნამდვილად არ შეეძლო. მითუმეტეს, საქმე ეხებოდა ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უაღრესად მტკივნეულ პრობლემებს. კერძოდ; პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ეროვნების რეკვიზიტისა და მამის სახელის ამოღებას, „თურქი მესხების“ საქართველოში ჩამოსახლებას, რელიგიისა და ქართული ენის შესახებ კანონის მიღებას, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის გადარჩენას, თბილისის მერიის შენობის თავზე „ნაციონალების“ მიერ პარტიული დროშის უკანონოდ აღმართვას, გლდანის მართლმადიდებლური ეკლესიის თემურ ლენგის სტილში დარბევას და იეღოველების წინააღმდეგ მუხლჩაუხრელი მებრძოლის ბასილი მკალავიშვილის უკანონოდ დაპატიმრებას, ქართული კულტურის უნიკალური სამუზეუმო განძის გადარჩენას და ა.შ. ჩემს მიერ ჩამოთვლილი საკითხების გარშემო გამართულ დისკუსიაში, გ. შარაძემ აკადემიურ სტილში ხელისუფლებას ყველა დუელი მოუგო და ოპონენტები უმოწყალოდ მუხლებზე დააჩოქა. არსებული რეჟიმის დამამკვიდრებელ ქაჯ კანიბალებს, გ. შარაძე ხმალამოწვდილი მარტოდ-მარტო შეერკინა. ამ კრიტიკულ მომენტში, ქართული ინტელიგენციის უმრავლესობა განზე იდგა და ერთის მიერ ათასის წინააღმდეგ უთანასწორო ომს შორიდან უყურებდა, ზოგიერთი მათგანი კიდეც „იცინოდა“. ეს ინდიფერენტიზმი ხელისუფლებამ გ. შარაძის მოსაშორებლად შესანისნავად გამოიყენა. მითუმეტეს, კალიფორნიელი სომხების ფულით მოსყიდულ ყოფილ „კმარელებს“ კარგად ქონდათ გაცნობიერებული, რომ ცოცხალი გურამ შარაძის მიერ დარისხებული ზარების გამო, კალიფორნიის სომხური დიასპორა და თურქი „კონკისტადორები“ მათ მიერ გაწეულ მთელ საქმიანობას უარყოფითად შეაფასებდნენ. აქედან გამომდინარე, ქართული ცნობიერების დასასამარებლად შემზადებული საფეხურისათვის გაწეული შრომა „წყალში ეყრებოდათ“. მხედველობაში მაქვს სომეხი და თურქი მილიარდელების მიერ „ნაცების“ სასარგებლოდ „შემოწირულობათა“ მოსალოდნელი კლებადობა. ერთდროს ქუჩაში მოხეტიალე ნიფხავდაკერებულებმა, უცხოური ოქროს შენაკადის „თქვლებით“ ამჟამად უზომოდ გამდიდრებულებმა, „საარსებო მინიმუმის“ დაკარგვის შიშით, მ. სააკაშვილის კაბინეტში ეპოქის შემზარავი გადაწყვეტილება მიიღეს: „გურამ შარაძე, როგორც „გამოუსწორებელი“ და მოუსყიდველი „ნაციონალისტი“ უნდა მოკვდეს!“ მ. სააკაშვილის მიერ ბრძანების ფორმით წარმოთქმული სურვილის აღსრულება მერაბიშვილ-ადეიშვილის უწყებებს დაეკალა. საზოგადოებისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ქართული ეროვნული ცნობიერების სამუდამოდ დასამარების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებას კალიფორნიელი სომხებისგან შეთავაზებული გეგმის ამოქმედება ქონდა მიზნად დასახული, რომლის პირველ საფეხურს გ. შარაძის მკვლელობა წარმოადგენდა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲣᲮᲘᲡᲙᲘᲠᲔᲚᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ოქტომბერში პური 10 თეთრით გაძვირდება

ფქვილი ისევ გაძვირდა. ამ დროისთვის, საქართველოს სხვადასხვა რაიონში 1 ტომარა ფქვილი 40-41 ლარი ღირს. მეპურეების განცხადებით, ან პური უნდა გააძვირონ ან ზარალზე წავიდნენ. თუმცა, ხაბაზების ერთი ნაწილი ამბობს, რომ არჩევნებამდე პურის გაძვირებას ვერ გაბედავენ, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება მოსახლეობაზე ნეგატიურად იმოქმედებს.

არჩევნების შემდეგ პური შესაძლოა, 10 თეთრით გაძვირდეს. სპეციალისტების თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ბირჟებზე ხორბლის ფასი არ შემცირდა, უკვე ოქტომბრის დასაწყისში საქართველოში იაფად შეძენილი ხორბლის მარაგი ამოიწურება და წისქვილკომბინატები იძულებულები გახდებიან, რომ ფქვილი კიდევ უფრო გააძვირონ.

დღეს მარნეულის, კაჭრეთისა და გორის წისქვილკომბინატებში ერთი ტომარა ფქვილი 37 ლარი, თბილისში – 38 ლარი ღირს. არადა, წლის დასაწყისში ერთი ტომარა ფქვილის ფასი საშუალოდ 30-31 ლარს შეადგენდა. შპს "იფქლის" გენდირექტორის შაქრო ბაკურაძის თქმით, პურზე არსებული ფასის შენარჩუნებას მხოლოდ ერთი თვე შეძლებს, ოქტომბრიდან კი უკვე 10 თეთრით გააძვირებს.

აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან დღემდე საერთაშორისო ბაზრებზე ხორბლის ფასმა 60 დოლარით მოიმატა, რაც სპეციალისტთა თქმით, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ფასის ზრდის მთავარი მიზეზი კი გვალვები გახდა. ამასთან, გვალვის გამო რუსეთში ხორბლის მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა. თავდაპირველი პროგნოზით, რუსეთში მოსავალი 95 მლნ ტონა უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეს ირკვევა, რომ მოსავალი 70 მლნ ტონაზე მეტი ვერ იქნება. უკვე ცნობილია ისიც, რომ წლეულს რუსეთი ექსპორტზე მხოლოდ 10-12 მლნ ტონა ხორბალს გაიტანს.

რაც შეეხება უკრაინას და ყაზახეთს, ექსპერტების თქმით, მოსავლის რაოდენობა არც ერთსა და არც მეორე ქვეყანაში არ შემცირებულა. წინასწარი პროგნოზით ყაზახეთში მოსავლის საერთო რაოდენობა შარშანდელის ანალოგიური, 15 მლნ ტონა იქნება, უკრაინაში კი 25-28 მლნ ტონა.

რაც შეეხება საქართველოს, მეხორბლეთა ასოციაციის განცხადებით, საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასების კიდევ მომატების შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში ჩვენთან ფქვილი კიდევ უფრო გაძვირდება. იმპორტირებული ხორბალი კი უკვე გაძვირდა. თუ წლის დასაწყისში ერთი ტონა რუსული და ყაზახური ხორბლის შემოტანა 220-230 დოლარი ჯდებოდა, 2 თვის წინ ის 310 დოლარი ღირდა, დღეს კი მისი ფასი 330 დოლარამდე გაიზარდა.

"ჩვენ ხორბალი 310-320 დოლარად შემოვიტანეთ, ანუ გაძვირებამდე და ამ ეტაპზე ამ ხორბლის 1,5 თვის მარაგი გვაქვს. მარაგები ოქტომბრის დასაწყისში იწურება, მანამდე სტაბილური ფასები იქნება, რა მოხდება შემდეგ, ამის პროგნოზი ძალიან რთულია, რადგან საერთაშორისო ბაზრის ექსპერტებიც კი მაქსიმუმ ერთთვიან პროგნოზს აკეთებენ", – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბრისას მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა.

უახლოეს პერიოდში პურზე ფასის ზრდას არ ელის პურის მე-4 ქარხნის დირექტორი მალხაზ დოლიძე. მისი თქმით, "მიუხედავად იმისა, რომ ფქვილის ფასი ბოლო 2 თვეში თითქმის 5 ლარით გაძვირდა, ჩვენ პურზე ფასი არ მოგვიმატებია და ამის გაკეთებას არც ვაპირებთ. მაგრამ თუ 40 ლარს გადასცდა ერთი ტომარა ფქვილის ფასი, მაშინ დავსხდებით, დავითვლით თვითღირებულებას და შემდგომ მივიღებთ გადაწყვეტილებას", – აცხადებს დოლიძე.

განსხვავებულ განცხადებას აკეთებს შპს "იფქლის" გენერალური დირექტორი შაქრო ბაკურაძე. "მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისიდან დღემდე ერთი ტომარა ფქვილი 8 ლარით გაძვირდა, ჩვენ პური არ გაგვიძვირებია. მაგრამ ასე მუშაობას ნამდვილად ვეღარ გავაგრძელებთ. თუ ფქვილი არ გაიაფდა, მაშინ მაქსიმუმ ერთ თვეში პურზე ფასი 10 თეთრით მოიმატებს. ფქვილი კი სავარაუდოდ არ გაიაფდება, რადგან მსოფლიო ბაზარზე ხორბალი მუდმივად ძვირდება. ჩვენ კი რომ არ გავაძვიროთ პური, მაშინ წარმოება უნდა დავხუროთ, ასე ნამდვილად ვეღარ გავაგრძელებთ", – განუცხადა "ბიზნეს რეზონანსს" შაქრო ბაკურაძემ.

სხვა წვრილი საცხობების მეპატრონეები კი პურზე ფასის ხელოვნურად შენარჩუნებაზე საუბრობენ.

"ბოლო პერიოდში ფქვილი 8 ლარით გაძვირდა, მაგრამ ჩვენ პურს არ გავაძვირებთ, უფრო ზუსტად არ გვაძვირებინებენ, რადგან გვეუბნებიან, რომ არჩევნებამდე პურის გაძვირება ხელისუფლების რეიტინგზე ცუდად იმოქმედებსო. არჩევნების შემდეგ კი პური აუცილებლად გაძვირდება და სავარაუდოდ, 10-15 თეთრით", – ასეთი პასუხი გასცეს ჟურნალისტებს თბილისში მდებარე წვრილ-წვრილ საცხობებში.

რაც შეეხება ხორბლის ადგილობრივ წარმოებას, ექსპერტების თქმით, ის წლიდან წლამდე მუდმივად მცირდება, შესაბამისად, მცირდება თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. მაგალითად, 2003 წელს ხორბალი 117 ათას ჰექტარზე დაითესა, მივიღეთ 225 ათასი ტონა მოსავალი. მაშინ თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელმა 24% შეადგინა. ამჟამად კი ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 9%-ს ჩამოსცდა, ხოლო დამუშავებული ფართობის რაოდენობა გამესამედებულია. ექსპერტთა წინასწარი მონაცემებით, წელს საქართველოში ხორბალი დაახლოებით 40 ათას ჰექტარზე დაითესა.

არადა, მთავრობა 2012 წლისთვის ხორბლის საერთო მოთხოვნილების 35%-ის ადგილობრივი ხორბლით დაკმაყოფილებას გეგმავდა. სინამდვილეში, 2011 წელს, მთლიანობაში, ადგილობრივ ხორბალს, დაახლოებით 9% ეკავა. წელს კი, დარგის ექსპერტების თქმით, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება.

ამჟამად, საქართველოში, მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით, 800 ათასი ტონა ხორბალსა და ხორბლის ფქვილს მოიხმარს. იმისათვის, რომ ადგილობრივმა წარმოებამ მოხმარების 35% უზრუნველყოს, მინიმუმ 280 ათასი ტონა ხორბლის მოსავალი უნდა მოვიდეს. 2003 წლიდან მოყოლებული კი ხორბლის მოსავლის მაჩვენებელი იკლებს.

ე. წიკლაური

"The Times": „სააკაშვილის საზრუნავს თანამდებობიდან დროული წასვლა უნდა წარმოადგენდეს"

ბრიტანული გამოცემა The Times საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო სამომავლო გეგმების შესახებ სარედაქციო წერილს აქვეყნებს სათაურით „რატომ არ უნდა აჰყვეს საქართველოს პრეზიდენტი ავტორიტარიზმის ცდუნებას".

სტატია იწყება რუზველტის მიერ სამხრეთამერიკელი დიქტატორის მისამართით ნათქვამით – „ის ძაღლიშვილია, მაგრამ – ჩვენი ძაღლიშვილი", და ავტორი იქვე აღნიშნავს რომ ეს განცხადება იმ დროს საკმაოდ დესტრუქციული აღმოჩნდა, რადგან შეაფერხა დემოკრატიის განვითარება რეგიონებში, რომლებმაც დასავლეთს მისი ორმაგი სტანდარტები დღემდე ვერ აპატიეს.

„ახლა ეს თითქმის შეუძლებელია. დემოკრატიული ქვეყნებისთვის სულ უფრო და უფრო რთულია, ღიად დაუჭირონ მხარი იმ ქვეყნებსა და ლიდერებს, რომლებიც თავისუფლებას უარყოფენ და დემოკრატიას ზღუდავენ", – ნათქვამია სტატიაში და აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დასავლეთის კეთილგანწყობა ჯერ არ დაუკარგავს.

„მან წამყვანი როლი ითამაშა 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში", პატარა ქვეყნის პრეზიდენტი პირველად 2004 წელს, ხელმეორედ კი 2008 წელს გახდა. ამ ხნის განმავლობაში მან დაიწყო იმ ტოტალური კორუფციის ამოძირკვა, რომელმაც დაამახინჯა ქვეყანა, ასევე, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რათა გაეთანაბრებინა საქართველო დასავლური დემოკრატიებისთვის. შედეგად, მაშინ, როდესაც მის კავკასიელ მეზობლებთან ბიზნესის წარმოებას ყველა გაურბის, საქართველო ინვესტიციების განხორციელებისთვის კარგ ადგილად მიიჩნევა",– ნათქვამია სტატიაში.

თუმცა, როგორც წერილშია აღნიშნული, ამ ქვეყნის დიდი პრობლემა მისი არასტაბილურ და საფავო რეგიონში მდებარეობა, რუსეთთან სიახლოვე და მასთან ურთიერთობაა.

„2008 წელს რუსეთის არმიამ მხარი დაუჭირა გამოყოფილ სამხრეთ ოსეთის რეგიონს, რასაც საქართველოს მოსალოდნელი მარცხი მოჰყვა. ხუთდღიანმა ომმა დასავლეთსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა გაამწვავა; ომმა ბუნებრივად შეაშფოთა რუსეთის სხვა პატარა მეზობლები, რომლებსაც სხვადასხვა დროს საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ის მეთოდები, რომელთაც მოსკოვი მის მოსაზღვრე ქვეყნებთან ურთიერთობისას იყენებს. ასე რომ, საქართველოს დემოკრატიულ პრეზიდენტს უამრავი საზრუნავი აქვს, თუმცა ამ პატარა და ხმაურიანი ქვეყნის მართვასთან ერთად, მის ერთ-ერთ საზრუნავს თანამდებობიდან დროული წასვლა უნდა წარმოადგენდეს. მომავალ წელს (2013) სააკაშვილს პრეზიდენტობის მეორე და ბოლო ვადა უმთავრდება. ბოლო რამდენიმე წელია, გაჩნდა შიში იმისა, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, რომელთა მიზანიც პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გაზრდა იყო, ის პუტინის ნაბიჯის გამეორებას გეგმავს და შესაბამის მომენტში ერთი თანამებობიდან მეორეზე გადაინაცვლებს",– ნათქვამია ვრცელ საგაზეთო სტატიაში.

სარედაქციო წერილის თანახმად, გარდა ამისა, არსებობს დამაჯერებელი პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს მთავრობამ სახელმწიფო მედიასაშუალებები და ადმინისტრაციული რესურსი მმართველი პარტიის სასარგებლოდ ბოროტად გამოიყენა.

„ახლა, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, ოპოზიცია ჩივის, რომ პრეზიდენტი და მისი პარტია მათი ფონდების კონფისკაციით ძირს უთხრიან ოპოზიციის არჩევნებში ბრძოლის შესაძლებლობას. რუსეთიდან კი აშკარა კმაყოფილება იგრძნობა იმით, რომ მათი მტერი ახლა სწორედ მათსავით შეირცხვენს თავს. ქართული ოპოზიცია საკმაოდ უცნაურია. მის სათავეში მილიარდერი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილია, რომელიც რუსეთში გამდიდრდა და რომლის პირადი ქონებაც, როგორც ამბობენ, საქართველოს ეკონომიკის წლიური მოცულობის ნახევრის ტოლია. ეს სერიოზული რესურსია, მაგრამ საქართველოს რეპუტაციაც და დასავლეთში მისი მხარდაჭერაც ცალსახად დამოკიდებულია იმაზე, რომ მან უნდა დაიცვას და რეალურად განახორციელოს დემოკრატიის წესები. იმისთვის, რომ ბატონ სააკაშვილსა და მის მემკვიდრეებს ჰქონდეთ სრულყოფილი მხარდაჭერა, მათ უნდა შემოგვთავაზონ უფრო უკეთესი რამ, ვიდრე არის მტკივნეული უკანდახევა ავტორიტარიზმისკენ და პოლიტიკური კორუფცია. ოქტომბრის არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს და ის აღქმული უნდა იყოს სამართლიან არჩევნებად", – აღნიშნულია სტატიაში.

სტატიის ქართულ ვერსიას **foreig-npress.ge** ავრცელებს.

საქინფორმი

„ქართველი ხალხი რეალურად ვერ გაძლებს რუსი ხალხის გარეშე"

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სარანსკში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს პირველი სხდომა ჩაატარა, რომელიც მორდოვეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის 1000 წლის იუბილეს დაემთხვა.

სხდომაზე ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ერთ-ერთ საკვანძო ცნებად უნდა იქცეს ტოლერანტობა, სხვა ხალხის, ეთნოსის, კულტურისა და ცხოვრების წესის მიმართ პატივისმცემელი დამოკიდებულება".

პრეზიდენტმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში ამ მიმართულებით მუშაობის ფორმების შესახებ. მისი აზრით, ტოლერანტობის ერთგვარი გაკვეთილები აქტუალურია მსხვილი ქალაქებისა და იმ რეგიონებისთვისაც, სადაც ფართოდ არიან წარმოდგენილი შრომითი მიგრანტების ეროვნულ-კულტურული საზოგადოებები და სათვისტომოები.

„ჩვენ არ გვაქვს უფლება, უგულებელვყოთ ნებისმიერი ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც ამ სფეროში წარმოიშობა, და უნდა გვესმოდეს, რომ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტებს შეუძლია არა მარტო შეარყიოს ჩვენი სახელმწიფოებრიობა, არამედ მისი საფუძვლები დაანგრიოს",– განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

„დღეს დემოკრატიის განვითარებისა და თავისუფლების საბაბით სულ უფრო ხშირად წამოყოფენ თავს სხვადასხვა ნაციონალისტური ჯგუფები. ისინი მონაწილეობენ მიტინგებში, მუშაობენ ინტერნეტში და მოზარდთა კლუბებში, სტუდენტურ საზოგადოებებში, გამოდიან ხან „რუსული", ხან „თათრული", ხან „კავკასიური", ხან რაიმე სხვა „რეგიონული" ნაციონალიზმის ლოზუნგებით. არსებითად, ისინი ყველანი ჩვენს ქვეყანაში სეპარატისტული, გამთიშავი ტენდენციების წარმოშობას უბიძგებენ და პროვოცირებას ახდენენ",– განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის წინადადებით, უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს პრეზიდიუმი, რათა ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი ოპერატიულ რეჟიმში იქნეს განხილული.

შემდეგ სხდომაზე ექსპერტები და რუსეთის ეროვნულ დიასპორათა ხელმძღვანელები გამოვიდნენ.

რუსეთში ქართველთა კავშირმა პუბლიკაციები რუსების მომავალი თაობების ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით აღზრდის პრობლემას მიუძღვნა.

„ეროვნული საბჭოს ფარგლებში ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯი მცირედ უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისთვის – მოსკოვში მათთვის მრავალეროვნულ სკოლას ვქმნით, სწორედ უქონელი ბავშვებისთვის. ახალი ვუნდერკინდები და ლომონოსოვები უნდა ვიპოვოთ. მოსკოვის მერმა სობიანინმა ამ მიზნებისთვის ფართი გამოყო – ოქტომბერში უკვე მშენებლობას ვიწყებთ",– ითქვა საბჭოს სხდომაზე.

„ჩვენი წინადადებაა – ამ საბჭოს ფარგლებში მთელ რუსეთში დაიგეგმოს ასეთი სკოლების შექმნა. ვფიქრობ, ადგილებზე დახმარებას ბიზნესი შეძლებს",–აღინიშნა, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს პოზიტიური როლი და მხარდაჭერა, რომელიც „უკვე აწარმოებს მთელ რუსეთში ტალანტების მოძიების სამუშაოს".

„ჩვენ ასეთი ფილმი გადავიღეთ",– განაცხადა სარანსკში რუსეთში ქართველთა კავშირმა. „ძალიან კარგი, სერიოზული ფილმი გამოვიდა საქართველოსა და რუსეთის ხალხების ისტორიული კავშირების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ქართველი ხალხი რეალურად ვერ გაძლებს რუსი ხალხის გარეშე", ნათქვამია კავშირის განცხადებაში.

რატომ ვარ მტერი?

“დღეს თვალები ამეხილა და სხვა სამყაროში მოვხვდი – დავინახე რა დღეშია ხალხი”

“სახელმწიფოს განათლებული ადამიანები აშენებენ. შესაბამისად, თუ სახელმწიფო კი არ აშენებს, არამედ ანგრევს ამ სისტემას, ჩიხი გარდაუვალია. ჩიხში შესული საგანმანათლებლო სფერო კი უმძიმესი პერსპექტივაა ქვეყნისთვის. თუ არსებული ვითარება ძალიან მალე და რადიკალურად არ შეიცვლება, ეს პერსპექტივა განაჩენად იქცევა ჩვენი ახალგაზრდებისა და სახელმწიფოსთვის.” – ასე მიმართა პედაგოგებს გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილმა დირექტორმა მაია მიმინოშვილმა.

მას ზუგდიდში, ანსამბლ “შინის” კონცერტის წინ ვესაუბრეთ. “ქართული ოცნების” მხარდამჭერი ანსამბლის ხელმძღვანელი ზაზა მიმინოშვილი ქალბატონი მაიას ძმაა. “შინმა” 24 აგვისტოს ზუგდიდიდან დაიწყო ახალი პროექტი – “ერთი ხმა, რომელიც ემსახურება მოწოდებას, “ვიყოთ ერთად, რომელ პოლიტიკურ პოზიციასაც არ უნდა ვემსახურებოდეთ”.

მაია მიმინოშვილი: – ეს არის საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც ადამიანებს მოუწოდებს ერთად ყოფნისაკენ, თავისუფლებისაკენ, მიუხედავად იმისა, რომელ პოლიტიკურ პოზიციასაც არ უნდა ემსახურებოდნენ და რა არჩევანიც არ უნდა გააკეთონ პირველ ოქტომბერს. არჩევნების დროს, როდესაც თანამდებობაზე ვიყავი, ჩემგანაც იყო ხმების მოზიდვის მოლოდინი, მაგრამ არასოდეს მითქვამს პედაგოგებისთვის, ვისთვის მიეცათ ხმა და ვისთვის არა. ალბათ ამიტომაც არ აღვიქმებოდი “მათი გუნდის” წევრად. საერთოდ რას ნიშნავს გუნდის წევრობა? ყველას გუნდის წევრი ვარ, ვისაც შეუძლია ჩემი საქმიანობა დააფასოს. რაც დღეს ხდება, მსგავსი რამ არ მახსოვს. თითქოს თვალები ამეხილა და სხვა სამყაროში მოვხვდი – დავინახე რა დღეშია ხალხი. ეს არის კატასტროფა. პრეზიდენტი, რომელიც თითოეული მოქალაქის დამცველი უნდა იყოს, პირში გეუბნება, არ ხარ ჩემთან, ე.ი. ჩემი მტერი ხარო. რატომ ვარ მტერი? იმიტომ, რომ ყველაფერი შემიძლია საერთო საქმისათვის და არა ვინმეს პირადი ინტერესებისთვის? ამ ხელისუფლებას მთავარი და მნიშვნელოვანი რამ დაავიწყდა, ისინი ხშირად იმეორებენ ფრაზას “ხალხის სამსახურში”, რას ნიშნავს ეს? თუ ხალხის არჩეული ხარ, მართლა მისი მსახური უნდა იყო. ბატონი ხალხია, ამიტომაც კეთილი ინებონ და სიტყვები შეარჩიონ მასთან და არა ერთ, სათავისოდ გამორჩეულ ჯგუფთან სალაპარაკოდ.

– თქვენი მოწოდება პედაგოგებისადმი, წინასაარჩევნო მოწოდებასავით გახმოვანდა.

– იმის გამო, რომ სამწუხაროდ წინასაარჩევნო ციებ-ცხელება ყველას შეეხო, პოლიტიკისგან შორს მდგომ ადამიანებსაც კი, ნებისმიერი ხმამაღალი განცხადება აღიქმება პოლიტიკურ განცხადებად, არადა, სულ არ მინდოდა პოლიტიკური ტონალობა მიმეცა პედაგოგებისადმი ჩემი მიმართვისათვის. მაგრამ მტკივნეულია, როდესაც მასწავლებელი საარჩევნო ხმად, სახელისუფლებო რესურსად განიხილება. მათ დიდი ტვირთი და მინიმალური დაფასება აქვთ, ზემდგომი უწყება მხოლოდ მუქარის ენით ესაუბრება. შველა სჭირდება მთელ ქვეყანას და სწორედ ამიტომ უფლება არ გვაქვს, არ ვიყოთ გულახდილები მთელი ერის წინაშე. სწორედ ამიტომ უნდა მივიღოთ ის გადაწყვეტილება, რაც ნაკარნახევი იქნება არა შიშით, ან ვიღაცის წინაშე ვალდებულებით, არამედ ჩვენი გულისა და გონების კარნახით. მეც თქვენთან ერთად ველი იმ დღეს, როცა პედაგოგის ერთადერთი საზრუნავი კარგი გაკვეთილის დაგეგმვა იქნება. ვეცადოთ, რომ ეს დღე მალე დადგეს. საგამოცდო პერიოდი მიმდინარეობდა და არ მინდოდა ამ პროცესს ხელი შეშლოდა, ამიტომაც ამ დრომდე ვდუმდი.

ე. ლომიძე

საბჭოთა პოეტების მუზები

ეს იყო უმოწყალო დრო. დრო, როდესაც ყველა დადგენილი წესი და კანონი იცვლებოდა, როდესაც ხელოვნებასა და სიყვარულს აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკურ თამაშებში.

და მაინც, ისინი ქმნიდნენ და უყვარდათ. სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ბორის პასტერნაკი – საბჭოთა პოეზიის სამი კორიფე. მათი ქალები და მათი მუზები...

“შენი მშვენიერების გაზაფხული”

როდესაც ბორის პასტერნაკი და ოლგა ივინსკაია პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, კაცი ცნობილი პოეტი იყო, ქალი – ჟურნალ “ახალი სამყაროს” უმცროსი რედაქტორი. ბორისი 56 წლის იყო, ოლგა – 34.

იმ დროისთვის პასტერნაკი უკვე ათი წლის დაქორწინებული იყო ზინაიდა ნიკოლაევნა ნეიგაუზზე. იგი, ფაქტობრივად, ორ ოჯახად ცხოვრობდა.

1949 წლის შემოდგომაზე ივინსკაია დააპატიმრეს – პასტერნაკთან კავშირში დაადანაშაულეს, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ბორისი “ინგლისელების აგენტი” იყო...

დაკითხვებზე ოლგა ვსევოლოდოვნამ ვერ შეძლო ორგანოებისათვის პოეტის “ანტისაბჭოთა მოქმედების” შესახებ რამე ეუწყებინა. იგი მხოლოდ ამტკიცებდა: “მე იგი მიყვარს”. იმ დროს ქალი ბორის ლეონიდოვიჩისგან ფეხმძიმედ იყო. ქალი სასტიკად აწამეს. ერთხელ უგონო მდგომარეობაში მორგში მიიყვანეს – თითქოს შეცდომით... ამის შემდეგ ოლგას მუცელი მოეშალა.

შემდეგ გამოუტანეს განაჩენი – “შპიონაჟში ეჭვმიტანილ პიროვნებებთან სიახლოვის” გამო საერთო ბანაკებში ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ერთხელ ოლგა შრომა-გასწორებითი ბანაკის უფროსის კაბინეტში გამოიძახეს და პასტერნაკის წერილი და მისი ლექსების წაკითხვის საშუალება მისცეს. მათი თან წაღება აკრძალული იყო. მთელი ღამე გათენებამდე ოლგა პასტერნაკის ლექსებს ზეპირად კითხულობდა...

1953 წელს ივინსკაია გადასახლებიდან დაბრუნდა. მისი და პასტერნაკის ურთიერთობა აღდგა.

1958 წელს ბორის პასტერნაკს რომანისთვის “ექიმი ჟივაგო” ნობელის პრემია მიანიჭეს. ბოლშევიკებმა აღნიშნული რომანი “ანტისაბჭოთა” ნაწარმოებად გამოაცხადეს. დაიწყეს პასტერნაკის დევნა, მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს, მოითხოვდნენ, რომ რუსეთიდან წასულიყო... პასტერნაკის სახელით ოლგამ ხრუშჩოვს მონანიების წერილი მისწერა, რომელშიც ბორის ლეონიდოვიჩი უარს ამბობდა ნობელის პრემიაზე და რუსეთში დატოვებას ითხოვდა. პოეტმა, რომელიც დევნით დაიღალა, წერილს ხელი მოაწერა. ბორის პასტერნაკი 1960 წელს პერედელკინოში გარდაიცვალა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ოლგა ვსევოლოდოვნასთან შეხვედრებზე უარი განაცხადა, ბრძანა, მასთან მისული ქალი შინ არ შეეშვათ, რადგანაც არ უნდოდა, ოლგასა და მის მეუღლე ზინაიდა ნიკოლაევნას ერთმანეთთან ეჩხუბათ.

ივინსკაიამ ვერ მოახერხა საყვარელ მამაკაცთან გამომშვიდობება, მხოლოდ პანაშვიდებზე მოვიდა...

პოეტი და მოცეკვავე

1921 წელს გამოჩენილი აისედორა დუნკანი სსრკ განათლების სახალხო კომისარ ლუნაჩარსკის მიწვევით სსრკ-ში საცეკვაო სკოლის დასაარსებლად ჩავიდა.

ერთ-ერთ წვეულებაზე “ინტერნაციონალის” აკომპანემენტზე იგი თავის გამორჩეულ როლს – თავსაფრით ცეკვას ასრულებდა. 26 წლის ესენინი, რომელიც საღამოზე საუკეთესო მეგობარმა ანატოლი მარიენგოფმა ძალით წაიყვანა, თვალმოუშორებლად უყურებდა ცისფერთვალება პუტკუნა ქალს, რომელსაც თმა ჟღალად შეეღება და წითელ ნახევრად გამჭვირვალე ქიტონში გამოწყობილი თვალისმომჭრელად ცეკვავდა.

აისედორამაც შეამჩნია ღიაფერთმიანი ახალგაზრდის დაჟინებული მზერა. წყვილი ერთმანეთს გააცნეს...

წვეულებიდან ისინი ერთად წავიდნენ. შეყვარებულები ვერც დიდმა ასაკობრივმა სხვაობამ შეაჩერა, ქალი კაცზე 18 წლით უფროსი იყო, ვერც იმან, რომ აისედორამ საერთოდ არ იცოდა რუსული, კაცმა – ინგლისური...

მას შემდეგ, რაც 1922 წლის აპრილში პარიზში გარდაიცვალა აისედორას დედა, მოცეკვავემ რუსეთიდან დროებით წასვლა გადაწყვიტა.

მას არ უნდოდა ესენინთან განშორება, ამიტომ პოეტს მასთან ერთად ქვეყნიდან გასასვლელი ვიზა რომ მიეღო, წყვილს ქორწინების გაფორმება მოუხდა. ახალგამომცხვარმა ცოლ-ქმარმა ორი გვარის ტარება მოისურვა – დუნკან-ესენინი. პარიზში ორი ბედნიერი თვის გატარების შემდეგ, სამწუხაროდ, სასიყვარულო იდილიამ დიდხანს არ გასტანა.

საზღვარგარეთ ესენინს ცნობილი მოცეკვავის “დანამატად” იღებდნენ. სერგეი თავს მარტოსულად გრძნობდა, ენატრებოდა სამშობლო და ახლობლები, დაეწყო დეპრესია... მწერალმა სმა დაიწყო, მიჯნურებს შორის გამუდმებით სკანდალები იმართებოდა.

1925 წლის 28 დეკემბერს სერგეი ესენინმა ლენინგრადის სასტუმრო “ანგლეტერში” თავი ჩამოიხრჩო... პოეტის სიკვდილის შემდეგ 1927 წლის 14 სექტემბერს დუნკანი ტრაგიკულად დაიღუპა – მისი გრძელი შარფი ავტომობილის ბორბლებმა ჩაიხვია, აისედორას კისერში წაეჭირა და გაგუდა... შექმნილი საბედისწერო გარემოების შედეგად, მისი სიკვდილის მიზეზიც დახრჩობა გახდა...

მაიაკოვსკი და ლილიჩკა

სწორედ ლილი ბრიკს უნდა უმადლოდეს დიდი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის საუკეთესო ლექსებს. უცნაური იყო მათი ურთიერთობა, გაურკვეველი და რაღაც ეტაპზე უიმედოც... პოეტს, რა თქმა უნდა, უყვარდა ეს ქალი. მაგრამ უყვარდა კი მას მაიაკოვსკი?

1915 წლის ივლისში მაიაკოვსკიმ ბრიკების ოჯახი გაიცნო. იგი ლილის უმცროსმა დამ, მომავალში ფრანგმა მწერალმა ელზა ტრიოლემ მიიყვანა შინ. პოეტმა სახლის პატრონებს წაუკითხა თავისი პოემა “ღრუბელი შარვალში”. ელზა ტრიოლე მოგვიანებით იხსენებდა: “ბრიკები აღფრთოვანდნენ და გულით შეიყვარეს პოემა. მაიაკოვსკის სამუდამოდ შეუყვარდა ლილი...” მას შემდეგ პოეტი მთელ თავის შემოქმედებას “ლილიჩკას” უძღვნიდა.

მალე ვლადიმერ მაიაკოვსკი ცოლ-ქმარ ბრიკებთან ერთ სახლში დასახლდა, 1919 წლის მარტში ის და

ლილი ერთად გადავიდნენ მოსკოვში საცხოვრებლად.

თავის მემუარებში ლილი იურიევნა ამბობდა: მას შემდეგ, რაც მაიაკოვსკისთან რომანი გააბა, კანონიერ მეუღლესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. “მე და ოსეის ინტიმური კავშირი აღარასოდეს გვქონია”, – წერდა ლილი.

ამასთან, 1922 წელს იგი მაიაკოვსკის მიმართაც გულგრილი გახდა, გამუდმებით სხვა კაცებთან აბამდა რომანს, მაიაკოვსკისაც ჰყავდა სხვა ქალები.

პოეტმა ლილი უკანასკნელად 1930 წლის 18 თებერვალს, ცოლ-ქმარ ბრიკების საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ნახა. 15 აპრილს ლილიმ პოეტის თვითმკვლელობის შესახებ დეპეშა მიიღო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცხოვრებაში პოეტის მწვალებელმა და მოღალატე ლილი ბრიკმა, რაღაც კუთხით, თავი მის ხსოვნას მიუძღვნა. იგი მაიაკოვსკის ნაწარმოებების გამოცემით დაკავდა, გენდრიკოვის შესახვევში დააარსა მაიაკოვსკის მუზეუმი, მასზე მოგონებებს და სტატიებს წერდა...

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გურამ საღარაძის სოლო პარტია

ქართულ ჭიდაობაზე შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ სახელოვან ქართველ ფალავანს, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ გურამ საღარაძეს.

– ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველა სპორტსმენისთვის საოცნებოა, იქ მოპოვებული ჯილდო კი – სანუკვარი, ამიტომაც ათლეტები მთელი ოთხი წლის განმავლობაში მონდომებით ემზადებიან მსოფლიო ფესტივალზე გამოსასვლელად.

უწინ მედლებს საბჭოთა კავშირთან ერთად უმთავრესად ირანი, თურქეთი, ბულგარეთი, იაპონია და ამერიკა ინაწილებდნენ, დღეს ჯილდოებზე პრეტენზიას აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებიც აცხადებენ, სადაც ჭიდაობა არასდროს ყოფილა ტრადიციული.

ძალიან გაახალგაზრდავდა ასაკიც. ნაღდი ჭიდაობა 17 წლისამ დავიწყე და მხოლოდ 7 წლის შემდეგ მოვხვდი ოლიმპიურ თამაშებზე, როცა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ასპარეზობის საკმაო გამოცდილება მქონდა. ლონდონში კი რა ჰქნა 20 წლის ლაშა შავდათუაშვილმა – "მივიდა, ნახა, გაიმარჯვა".

– ჩვენს "კლასიკოსებს" თუ ჰქონდათ მსგავსი წარმატების შანსი?

– ლადო გეგეშიძეს არბიტრებმა მკერდიდან ჩამოგლიჯეს მედალი. მთელი ჩვენი დელეგაცია ფეხზე უნდა დამდგარიყო, უსამართლობას რომ არ ეზეიმა...

უსიამოვნო ფაქტის მიუხედავად, გეგეშიძემ გული არ უნდა გაიტეხოს. ახალგაზრდა კაცია, მომავალი წინ აქვს. მჯერა, მთელ მსოფლიოს უფრო გააზრებული და ეფექტური ჭიდაობით დაუმტკიცებს, რომ ლონდონის ოლიმპიურ ხალიჩაზე უსამართლოდ დაჩაგრეს.

რევაზ ლაშხსა და მანუჩარ ცხადაიას შეეძლოთ, უკეთესი სინჯის მედლები მოეპოვებინათ, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვეს. დათუაშვილისებურად, უფრო აგრესიული ჭიდაობა იყო საჭირო.

რატომ მოსწონდათ გულშემატკივრებს ვახტანგ ბალავაძის, მირიან ცალქალამანიძის, ვლადიმერ რუბაშვილისა და სხვა სახელოვან ქართველ ფალავანთა ჭიდაობა? იმიტომ რომ მათი პაექრობები იყო წარმტაცი სანახაობა – ესთეტიკურ სიამოვნებას გვრიდა მაყურებელს.

ყოველივეს მიუხედავად, მათ არასდროს ავიწყდებოდათ სიფრთხილე. აბა, თუნდაც ლონდონის ოლიმპიადაზე რამდენი ორთაბრძოლა დავთმეთ საკუთარ ფანდზე წამოგებით? ეს ბიჭები საკუთარმა გაუფრთხილებლობამ იმსხვერპლა.

ძალიან მომწონს ძიუდოს დროის რეგლამენტი: 5 წუთი, ფრის შემთხვევაში პლუს 3 წუთი ოქროს ქულამდე. ვფიქრობ, ჭიდაობა უფრო ეფექტური გახდება.

– რადგან ძიუდოზე ჩამოაგდეთ სიტყვა, იქნებ ჩვენი მოჭიდავეების ლონდონში გამოსვლაზეც გვითხრათ რამე.

– კიდევ ერთხელ მინდა შევაქო ლაშა შავდათუაშვილი. მაგარი ბიჭია, ენერგიით აღსავსე, ქართული ილეთებით გაჯერებული თავბრუდამხვევი ფანდებით გააოგნა მეტოქეები. ბოლო დროს იშვიათად მინახავს ასე აგრესიულად მოჭიდავე ფალავანი.

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი მოჭიდავეები ზედმეტ დატვირთვებს ვერ იტანენ, იოლად იფიტებიან. ქართველ ძიუდოისტებს ზომიერად რომ ევარჯიშათ, ოლიმპიადის წინ აღმა-დაღმა არ ეფრინათ და მეორეხარისხოვან ტურნირებში არ ეჭიდავათ, შესაძლოა, უკეთესი შედეგები ჰქონოდათ.

– ბატონო გურამ, თქვენ ვლადიმერ გეგეშიძის მაგალითი მოიყვანეთ. თქვენ დროს თუ ხდებოდა ასე აშკარა დაჩაგვრა?

– მეტსაც გეტყვით, მელბურნში გიორგი სხირტლაძე ჩემპიონად გამოაცხადეს, ერთი საათის შემდეგ ტიტული სხვას მიაკუთვნეს. თუნდაც 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე უნგრელი პოიაკისა და რომან რურუას ფინალური შეხვედრა ავიღოთ.

– თურქ ისმაილ ოგანსაც ხომ არ გაიხსენებთ?

– პირველად 1963 წელს სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე შევხვდი. მაშინ ის რომის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი იყო. რომ გაოფლიანდა, ხელს ვერ ვავლებდი, რადგან ტანზე ზეთის თხელი ფენა ჰქონდა წასმული.

მსაჯს რამდენჯერმე მივანიშნე. მანაც პირსახოცით გააწმენდინა ტანი, მაგრამ შენიშვნა არ მიუცია. არც იმისთვის გაუფრთხილებია, რომ მეტოქე ჭიდაობას გაურბოდა. ოგანს იმის იმედი ჰქონდა, რომ ვინმესთან წავაგებდი და ჩემთან ფრედ დამთავრებული შეხვედრით ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ყველა შეხვედრა მოვიგე, თურქი ქულებით დამარცხდა ბულგარელ პეტკო დერმენჯიევთან და მესამე ადგილზე გავიდა. მე კი პირველად მოვიპოვე მსოფლიოს ჩემპიონობა.

– "მაზანდარანელ ვეფხვთან" თქვენი შერკინება ლეგენდად დარჩა.

– 1962 წელს ირანის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ტრიუმფით გაიარეს მოსკოვი და მინსკი. ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა იმამ ალი ჰაბიბიმ საკავშირო ნაკრების წევრი გარსევან ნებიერიძე დაამარცხა. თბილისში ირანელის წინააღმდეგ ვახტანგ ბალავაძეს უნდა ეჭიდავა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა ჰაბიბიმ, მაგრამ ბატონი ვახტანგი მაშინ შეუძლოდ იყო და ხალიჩაზე გასვლა ვერ შეძლო.

ეტყობა, "მაზანდარანელი ვეფხი" არ ელოდა ახალგაზრდა უცნობი მეტოქისგან აქტიურ შეტევებს და ზედიზედ 6 ქულა ავართვი. მერე და მერე გამიძნელდა. ძლივს ვსუნთქავდი. ჰაბიბი თანდათან წამომეწია. ძლივს მომისწრო გონგის ხმამ...

– საქართველოში ჭიდაობის დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?

– გულახდილად შემიძლია ვთქვა – ჭიდაობა ჩვენთან ფეხზე დგას. ლონდონში მიღწეული წარმატებებიც ამის დასტურია. თითქოს დაფინანსებაც არა აქვთ ურიგო, მაგრამ სპორტის ამ სახეობას მეტი ყურადღება სჭირდება.

ძიუდოისტებს დიდომში შესანიშნავი სარბიელი მოუწყვეს, ოლეგ იაძის დიდი მცდელობით სამბისტებმა ვაკეში შესანიშნავ ბაზას გამოკრეს ხელი. აი, ჩვენი ფალავანთა კლუბი კი დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს. ქართველმა ფალავნებმა საერთაშორისო სარბიელზე მიღწეული გამარჯვებებით დიდი ხანია, დაიმსახურეს – თბილისში ჭიდაობის სასახლე ჰქონდეთ.

რამდენჯერმე ვიყავი დაღესტანში. იქ თითქმის ყველა აულშია თანამედროვე კეთილმოწყობილი დარბაზები, რომლებშიც დილიდან საღამომდე არ წყდება ყიყინა. დიდ ქალაქებში კი თანამედროვე საჭიდაო ცენტრები აქვთ.

თეირანში არის ერთი დიდი სახლი უჩვეულო მრგვალი ფორმის, "ზურ-ხანე" ჰქვია, სპეციალურად მოჭიდავეებისა და ძალოსნებისთვის აშენებული. ჩვენი ფალავნები და, უპირველესად, ეროვნული საუნჯე – ქართული ჭიდაობაც მსგავსი პატივის ღირსია.

– ოლიმპიელთა ჯილდოებზეც გვინდა გკითხოთ...

– კარგია, როცა სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ოლიმპიადის მედალოსანი სათანადოდ დაჯილდოვოს. ოღონდ აქაც ზომიერებაა საჭირო.

თანაც ამ პრემიების შესახებ სპორტსმენებმა ოლიმპიადამდე დიდი ხნით ადრე უნდა იცოდნენ, რომ შეჯიბრების წინ ფსიქოლოგიურ წნეხად არ დააწვეთ. ახალგაზრდა, ძალაუნებურად ფულზე იწყებს ფიქრს და "ქილა ერბოს" არაკისა არ იყოს, ყველაფერი წყალში არ ჩაგვეყაროს...

ვისარგებლებ შემთხვევით და ვლადიმერ ხინჩეგაშვილსა და მის მწვრთნელებს მივულოცავ ოლიმპიურ ვერცხლს. მჯერა, რომ ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მომავალში უამრავ ჯილდოს დაიმსახურებენ.

იუმორი

პაციენტმა ექიმთან ანალიზების პასუხი შეიტანა.

– რამდენი წლის ხარ?

– ამ თვეში ორმოცდაათის გავხდები.

– ექიმი ანალიზებს კითხულობს:

– ჩემ ფეხებს გახდები!...

*** * ***

სტადიონის შესასვლელში:

– ბიჭუნა სად იშოვე ბილეთი ასეთ ძვირად ღირებულ მატჩზე?

– მამაჩემმა იყიდა.

– თვითონ სად არის?

– სახლში, ბილეთს ეძებს...

*** * ***

– ჭიჭიკია აქ ცხოვრობს?

– არა

–კაცო შენ ჭიჭიკია არა ხარ?

– მე კი ვარ, მარა ეს ცხოვრებაა?...

*** * ***

„ნეტავ რომელმა დებილმა უთარგმნა ჩინელებს სადღეგრძელო „იხარეთ და იმრავლეთ"?

*** * ***

აეროპორტის საბაჟოს სიამაყე – კოკერსპანელი ყურშა – საეჭვო ჩამოდანს სუნავს და ხითხითებს.

*** * ***

– ბატონო თქვენ გურული ბრძანდებით?

– პირიქით, ბატონო, მე მეგრელი ვარ.

*** * ***

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:

– როგორ ხარ?

– გადასარევად შენ?

– მე გადავირიე უკვე!

შსს-ს საჯარიმოზე გადაყვანილი მანქანები დაჭყლეტილია!

გასულ თვეს მოსული სეტყვის შემდეგ შსს-ს საჯარიმო ავტოსადგომზე დაყენებული 180 მანქანა ერთიანად გადაჭეჭყილია. ავტოსადგომზე მისულ ნათია კორკოტაძეს თავისი მანქანის დანახვაზე გული წაუვიდა. მან საჩივარი შეიტანა პროკურატურაში და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ნათია კორკოტაძე, ადვოკატი:

– 2012 წლის 25 ივნისს ვმოძრაობდი ვაკეში და მოხდა ისე, რომ ბაზალეთის ქუჩაზე მცირე ავტოსაგზაო შემთხვევა შემემთხვა, რის გამოც მანქანა საჯარიმოზე დამაყენებინეს. ამის შემდეგ დაინიშნა ჩემი ავტომანქანის ტრანსოლოგიური, სასამართლო სამედიცინო და ავტოტექნიკური ექსპერტიზა.

– მანქანა დაგიბრუნეს?

– მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული სიტუაცია გაიწელა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. მე იძულებული გავხდი, უკვე ერთი თვის თავზე მიმემართა "ენდიაის" დირექტორისთვის ლუის ნავაროსთვის. შემხვდა ნავარო, მომისმინა ძალიან გულისყურით და მკითხა, ხომ არ მქონდა ისეთი გახმაურებული საქმე, რითაც შეიძლება პროკურატურა იყო დაინტერესებული და ხომ არ მყავდა პროკურატურა განაწყენებული. გესმით არა?! ნავარო რას მეკითხება! ეს უკვე სკანდალური განცხადებაა, ხომ არ იყო პროკურატურა განაწყენებული. ამასობაში ჩემი საქმის პროკურორი, ანჟელა გეთია, არ პასუხობდა არც ტელეფონს და არც მესიჯებს.

– ამდენი ხანი თქვენი მანქანა საჯარიმოზე ეყენა?

– დიახ. ველოდებოდი, რომ ივლისის ბოლოს მანქანას მომცემდნენ. 12 აგვისტოს კიდევ ველაპარაკე ანჟელა გეთიას და ვკითხე, რა ხდება-მეთქი. ამაზე მიპასუხა, რომ უფროსობაო, ვინ უფროსობაზეა საუბარი, ვერ გეტყვით, 17-ში გამოდის და ვეტყვი და მანქანას უპრობლემოდ გამოიყვანთო.

– როგორ აღმოჩნდა თქვენი მანქანა ერთიანად დაჭეჭყილი?

– მარტო ჩემი?! თქვენ იცით, რა ხდება შს სამინისტროს საჯარიმო "სტაიანკაზე"? 100-150-ათას დოლარიან ჯიპებს ზედ არ შეეხედებათ. ერთიანად გადაჭეჭყილია 80-მდე მანქანა. 19 აგვისტოს თბილისში მოვიდა სეტყვა. ჩემი მანქანა იდგა საჯარიმოზე. ე.წ. "მჯდ-ს სტაიანკაზე" კახეთის გზატკეცილ 15-ში. ტელევიზიით რომ შევიტყვე, ძლიერი სეტყვა მოვიდა, გადავრეკე საჯარიმოზე და იქ მორიგემ მითხრა, რომ ახლა ვერ გადავხედავთ თქვენს მანქანას, ისეთი სეტყვაა, რომ გარეთ ვერ გავდივართო. ამის შემდეგ დავურეკე ჩემს მეგობარს და სასწრაფოდ გავედი "სტაიანკაზე". ადგილზე რომ მივედი და ჩემს მანქანას დავხედე, ეგრევე ჩავიცელე – გონება დავკარგე.

– რატომ?

– მანქანა არის ახალი, 8 თვის გამოყვანილი "ჰიუნდაი აქცენტი", 20 ათასამდე დოლარი მაქვს გადახდილი და სამწლინახევრის კრედიტი გაკეთებული. იგი ერთიანად იყო ჩაჭეჭყილი. როდესაც ჩემი ავტომანქანა გადაიყვანეს 25 ივნისს საჯარიმოზე, სპეციალური ოქმი შევადგენინე, რომ მანქანას არანაირი დარღვევები არ აღენიშნებოდა, და იქ სპიდომეტრის მონაცემებიც ჩავწერე, რამდენი კილომეტრი ჰქონდა გავლილი. იქ ვუთხარი გამომძიებელს, რომ კილომეტრაჟებს ვიწერ და მანქანა არ გაატაროთ-მეთქი. მერე, როდესაც მივედი და ვნახე, მე არ ვეწევი სიგარეტს და აღმოჩნდა, რომ ჩემი მანქანის სალონი ფერფლით იყო გავსებული. სპიდომეტრზე კი უჩვენებდა, რომ 50 კილომეტრით მეტი იყო გატარებული. ავტეხე ერთი ამბავი, ოქმი შევადგინე, მორიგეებიც შეწუხდნენ თვითონ. ვიღაცამ იარა და მოიხმარა მანქანა.

მე ადვოკატი ვარ და კანონი კარგად ვიცი. კანონში ასეა, რომ მანქანა უნდა იყოს დახურულ საცავში. როდესაც საგამოძიებო მოქმედება დამთავრდა 31 ივლისს, მანქანა კი 19 აგვისტოს დაზიანდა, ვისი ბრალეულობაა? უნდა გენახათ, იქ სხვა მანქანები რა დღეშია, "G" კლასის მერსედესის ჯიპი იდგა ჩემ გვერდით, ე.წ. შეიხების მანქანა და იმის პატრონი დამანახა ახლა, ალბათ, ჩემზე უარეს მდგომარეობაში ჩავარდება. ის 100 ათას დოლარზე მეტი ღირს და თითქოს ტყვიები დაუშინესო "ბრონირებულ" მანქანას, ისეა დაზიანებული. მე რომ ვნახე ჩემი მანქანა, რა დღეში იყო, გამოვიძახე საპატრულო, ოქმი შევადგენინე. ხომ გეუბნებით, პირველად რომ დავინახე ჩემი მანქანა, ცუდად გავხდი, წამივიდა გული, გამოძახებული ყოფილა სასწრაფო დახმარება, რომელიც 45 წუთი არ მოდიოდა, ეს 45 წუთი ვერ მომიყვანეს გონზე. მეორე დღეს მივედი ქალაქის პროკურატურაში, ვნახე ჩემი საქმის პროკურორი ანჟელა გეთია და ვკითხე, რატომ არ მეუბნებით, ვინ იყო დაინტერესებული ჩემით, თუკი 31 ივლისს დასრულდა საგამოძიებო მოქმედება, რატომ არ დამიბრუნეთ მანქანა-მეთქი.

– რას აპირებთ?

– ამას ასე არ დავტოვებ, მივყვები ბოლომდე. ვერ ავიტან ამდენ უსამართლობას. ახლა მე მივდივარ, საგზაო პოლიციიდან უნდა ავიღო ოქმი, რომ მანქანა რომ ჩაიბარეს, არანაირი დაზიანება არ ჰქონდა, შემაქვს პროკურატურაში განცხადება. ჩემი მანქანა ისეა დაზიანებული, შეიძლება 3 ათასი დოლარიც არ მეყოს აღდგენაზე. დაზღვევაში სტიქიური უბედურება არ წერია, ამიტომ იძულებული ვარ, ვისი მიზეზითაც დაზიანდა ჩემი მანქანა, აანაზღაუროს თვითონ ქალაქის პროკურატურამ.

ჟურნალისტები კომენტარისთვის იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ხათუნა იოსავას დაუკავშირდნენ:

– სამწუხაროდ, სეტყვამ ძალიან ბევრი მანქანა დააზიანა. მას აქვს უფლება, შემოიტანოს სარჩელი და ბუნებრივია, პროკურატურა მიიღებს მას და განიხილავს. მაგრამ მე, უბრალოდ, ახლა ვერ გაგცემთ წინასწარ პასუხს.

თ. როსტიაშვილი

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge